როგორი განცხადებებიც უნდა გააკეთონ, რაც უნდა სცადონ, მჯერა ჩემი ხალხის სიბრძნის და გონიერებისა.

ედუარდ შევარდნაძე.

პრეზიდენტი

„საქართველოს ხელისუფლება იმოქმედებს მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში"

– განაცხადა 17 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან რიჩარდ მაილსთან შეხვედრისას.

ედუარდ შევარდნაძემ და რიჩარდ მაილსმა განიხილეს საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები და გამოხატეს გულწრფელი სურვილი, რომ მოიძებნოს დაპირისპირების პოლიტიკური გადაწყვეტის გზა.

საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს 2 ნოემბერს გამართული არჩევნების საბოლოო შედეგებს, რასაც მოჰყვება ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა.

„საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს და კვლავაც იმოქმედებს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილი ნორმების ფარგლებში, კონსტიტუციისა, რომლის დარღვევის ან უგულებელყოფის უფლებას არავის მივცემთ," – განაცხადა ქვეყნის მეთაურმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ედუარდ შევარდნაძე: „სიტუაცია საქართველოში რთულია, მაგრამ უიმედო არ არის"

საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ სიტუაცია ქვეყანაში „რთულია, მაგრამ უიმედო არ არის". კვირა საღამოს იტარ-ტასისათვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან განაცხადა: „მე ოპოზიციასთან ხელისუფალთა დიალოგის განგრძობის მომხრე ვარ – ეს არის სიტუაციის შენელების ერთადერთი ხერხი. დიალოგი ახლაა საჭირო, ათი დღის შემდეგ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ექნება". როგორც მან თქვა, „რადიკალური ოპოზიცია მოითხოვს დათმობებს, მაგრამ დიალოგი როდი ნიშნავს ცალმხრივ დათმობებს, იგი კომპრომისების მიღწევასაც გულისხმობს".

შეეხო რა რადიკალური ოპოზიციის მიერ გამოცხადებულ „ხელისუფლების ორგანოებისადმი დაუმორჩილებლობის" კამპანიას და მათ გეგმებს, ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწიფო დაწესებულებებს თბილისსა და რეგიონებში, შევარდნაძემ თქვა: „ასეთი მოქმედება კანონით ისჯება, ჯერჯერობით არ მინდა ავამოქმედო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებანი, მაგრამ, თუ ისინი არ მოისურვებენ ამის გაგებას და ხელს არ აიღებენ თავიანთ გეგმებზე, მაშინ იძულებული ვიქნები ვიმოქმედოთ კანონის შესაბამისად, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ყველა, ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და პრეზიდენტიც". შევარდნაძე ვარაუდობს, რომ „საქართველოს ხალხი მხარს არ დაუჭერს რადიკალური ოპოზიციის მოწოდებებს მუშაობა შეწყვიტონ საწარმოებმა, შეწყდეს სწავლა, არ გადაიხადონ გადასახადები, არ დაემორჩილონ ხელისუფლების აღნიშნულ ორგანოებს". „ეს მოწოდებები არარაობად აქცევენ ყოველივე იმას, რითაც ბოლო წლების მანძილზე მივაღწიეთ ეკონომიკის აღორძინებას", – თქვა მან.

იხ. მე-4 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..." ედუარდ შევარდნაძე

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №311 (4690) სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

შპს „საქართველოს რკინიგზა"
The Georgian Railway Ltd

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

„მინდა გავაფრთხილო ყველა, მათ შორის, ის პიროვნება, ვინც უკვე სავსებით აშკარად ცდილობს თავი წარმოაჩინოს, როგორც დღევანდელი პრეზიდენტის ალტერნატივა, რომ ძალადობით, მიტინგებით, ანტიკონსტიტუციური მოწოდებებით საქართველოს პრეზიდენტის პოსტს ვერავინ დაეუფლება"

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 17 ნოემბრის რადიოინტერვიუ

– ბატონო პრეზიდენტო, პარლამენტის არჩევნების შედეგებს მასშტაბური მოვლენები მოჰყვა. როგორ აფასებთ მოვლენებს, რომლებიც თბილისში და მთელ საქართველოში განვითარდა? – ჟურნალისტის ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა:

იხ. მე-2 გვ.

ხელისუფლება და პრესა

„ულტიმატუმებით საუბარი ჩემთან შეუძლებელია, გამოცდილებაც ამას მკარნახობს და საკუთარი თავმოყვარეობაც. დიალოგი დიალოგია, და თუ ნორმალური დიალოგი გაიმართება, ამას არ გავურბივარ"

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია 2003 წლის 17 ნოემბერს

ტელეკომპანია „მზე": ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მხარს უჭერთ გაგრძელდეს დიალოგი ოპოზიციასთან, ოპოზიცია კი მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას და აღარ სურს დიალოგის გაგრძელება. გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლებელია დაინიშნოს ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნები და პარალელურად ხელმეორედ გაიმართოს პარლამენტის არჩევნები. თქვენი კომენტარი...

იხ. მე-3 გვ.

სხვა გაზეთებიდან

ასლან აბაშიძე: „გადატრიალება არ უნდა დავუშვათ"

აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის ბლიც-ტურნეს საბოლოო პუნქტი, რომელიც ამ კვირაში ეწვია სომხეთსა და აზერბაიჯანს, მოსკოვი გახდა. საქართველოში პარლამენტის არჩევნების შემდგომ მაშინვე დაწყებული ცხარე პოლიტიკური კრიზისის დროს, ასლან აბაშიძე შეეცადა მხარდაჭერისათვის მეზობლები შეეპირებინა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურთან იგორ ივანოვთან სასტუმრო „მეტროპოლში" გუშინდელი მოლაპარაკების წინ გაიმართა ასლან აბაშიძისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვალერი ლოშჩინინის ორსაათიანი შეხვედრა. იმაზე, თუ როგორი სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები ქვეყანაში, ასლან აბაშიძემ ილაპარაკა „იზვესტიის" მიმომხილველის ელენე ლორიასათვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

– ბატონო ასლან, შეიძლება თუ არა ოპოზიციასთან მოლაპარაკება?

– ისინი ამას არ მოისურვებენ, რადგან მათ გარკვეული მიზნები აქვთ. ყველაფერი უკვე გაცხადებულია – არის პროექტი, არის მისი დაფინანსება.

– ძალისმიერი მხარდაჭერა ოპოზიციას აქვს?

– მათ სავსებით შეუძლიათ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სამხედროები გამოიყვანონ და ამით ყველაფერი დამთავრდება. ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით 90-იანი წლების დამდეგს. მხედველობაში მაქვს გამსახურდიას მმართველობის პერიოდი. ყველაფერი ამას ძალიან წააგავს.

იხ. მე-4 გვ.

ცხელი თემა

ვიყიდი, ვიყიდი რამეს, ანუ მიტინგებისთვის განწირულები

ეს იყო



თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 1992 წლის იანვარი.

ადამიანს, შეიძლება, გაუჩნდეს მიდრეკილება აბსოლუტურად ყველაფრისადმი, საუბარია არა მხოლოდ ნარკოტიკებზე, აზარტულ თამაშებსა და ალკოჰოლურ სასმელზე, არამედ...

ეს „არამედ" ვნახოთ.

კვირაში ორჯერ სილვია საყიდლებზე მიდიოდა და ყოველთვის ხელდამშვენებული ბრუნდებოდა. წინდების, საცვლის და ამგვარი წვრილმანების ყიდვით ერთობოდა. მაგრამ ამ, ორმოცი წლის ქალბატონს, სამი შვილის დედას წარმოდგენაც კი არ შეეძლო იმისა, რომ ეს უწყინარი გართობა დაუძლეველ მიდრეკილებად შეიძლება გადაქცეოდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. სილვიამ ვერ დაძლია ეს ჩვევა. რვა წლის განმავლობაში იგი ოჯახური ბიუჯეტის ფულს ხარჯავდა ისეთი საგნების შესაძენად, რომლებიც არც მას, არც არავის სჭირდებოდა. მაგრამ რომ არ ეყიდა, არ შეეძლო: მაღაზიაში სისტემატური სიარული, ტანსაცმლის ყიდვა მისთვის ბედნიერების სიმბოლოდ იქცა, საკუთარი წარმოსახვით შექმნილი ბედნიერების სიმბოლოდ.

რა არის ეს – ავადმყოფობა თუ ჩვევა?

იხ. მე-4 გვ.

რეპორტაჟი

გუშინდელი შეძახილები ცარიელ აუზთან ალექსანდრეს ბაღში

პარლამენტის შენობის წინ, მიკროფონთან მანანა არჩვაძე-გამსახურდია დგას და იმაზე საუბრობს, ძმათა დაპირისპირება მომავალს რომ შავად ფერავს. გზის გაღმიდან კი ახალგაზრდები უსტვენენ. შორიდანვე აშკარაა, ვისი მხარდამჭერები არიან – ხუთჯვრიანი დროშები უკვე მათს სავიზიტო ბარათად არის ქცეული.

ის-ის იყო, ქაშუეთს ვუახლოვდებოდი, როცა „ნაციონალისტებმა" 9 აპრილის ბაღში ჩაუხვიეს. უკან მივყევი.

– სად მიდიხართ? – ვკითხე ერთ ქალბატონს.

– არ ვიცი, წადითო, გვითხრეს და წამოვედით.

ვიდეოკამერის წინ შეჩერდა. თაბაშირის ჯვარი აღმართა და ოპერატორს მიმართა:

– გადამიღეთ, სააკაშვილის მომხრე ვარ.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

ტრასეკას მომავალი

დამტკიცდა 2004-2008 წლებისათვის ტრასეკას პროგრამის განვითარების სტრატეგია. იგი ითვალისწინებს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ტვირთნაკადების ზრდას, საბაჟო პროცედურების და იურიდიული ბაზის ჰარმონიზაციას, ინვესტიციების მოზიდვას და ახალი პროგრამების დაფინანსებას. ათი წლის მანძილზე ევროკომისიამ ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისთვის 110 მილიონი ევრო გამოყო, ხოლო ტრასეკას პროგრამის მონაწილე ქვეყნების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას 700 მილიონი მოხმარდა.

ნავთობის მოპოვების მოცულობა იზრდება

წლევანდელი წლის 9 თვის შედეგების მიხედვით საქართველოში 405 000 ტონა ნედლი ნავთობია მოპოვებული. ეს 67 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

საქართველოში ნავთობს 4 კომპანია მოიპოვებს. მათ შორის სამი ერთობლივი კომპანიაა – (კანარგო „ნინოწმინდა", ivpl „იორის ველი", „ფრონტერა".) და „საქნავთობი". „საქნავთობის" მიერ მოპოვებული ნავთობის მოცულობა გასული და მიმდინარე წლების მაჩვენებლების მიხედვით, სტაბილურია. წელს მოპოვებულია 29 000 ტონა ნედლი ნავთობი.

შეუფერხებლად მუშაობენ

ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს მსხვილი საწარმოები შეუფერხებლად მუშაობენ.

„ჭიათურმანგანუმში" თვის დასაწყისიდან 315,6 ათასი ლარის პროდუქციაა წარმოებული, მოპოვებული და გადამუშავებულია 13 641 ტონა მანგანუმის მადანი და გამოშვებულია 3425 ტონა მანგანუმის კონცენტრატი.

„მადნეულში" გამოშვებულია 2 217,1 ათასი ლარის პროდუქცია, მოპოვებულია 27 589 ტონა და გადამუშავებულია 72478 ტონა სპილენძის მადანი, გამოშვებულია 2477 ტონა სპილენძის კონცენტრატი.

„აზოტში" წარმოებულია 1 685,2 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია, გამოშვებულია 14 199 ტონა ამონიუმის გვარჯილა და 160 ტონა ამონიუმის სულფატი.

„თბილავიამშენში" დღეისათვის შესრულებულია 3 მლნ. ლარის სამუშაოები. „ელმავალმშენებელში" მიმდინარეობს მაგისტრალური ელმავლის რემონტი და მისთვის სათადარიგო ნაწილების დამზადება. თვის დასაწყისიდან შესრულებულია 550 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები.

ქუთაისის „საავტომობილო ქარხანაში" კი 150 ათასი ლარის პროდუქციაა წარმოებული.

ამჟამად – „აღორძინება"

„დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წარმომადგენლები დღეს, 12 საათზე, თბილისში, სპორტის სასახლეში შეხვედრას გამართავენ, საიდანაც ისინი მშვიდობიანი საპროტესტო მსვლელობით საქართველოს პარლამენტთან გადაინაცვლებენ.

ამის შესახებ, „დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, დღევანდელი შეკრების მიზანია დააფიქსირონ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულება „ფაშიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ".

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

სულიერება

ლოცვა მშვიდობისათვის

გასულ კვირას, 16 ნოემბერს საქართველოს თითქმის ყველა მოქმედ ტაძარში აღევლინა ლოცვა მშვიდობისათვის. ამ მიზნით გადასვენებულ იქნა ღვთისმშობლის ხარებისა, როგორც საქართველოს განსაკუთრებული მფარველისა. სიონის საკათედრო ტაძარში ხარებისა გადაიხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

საქინფორმი.

უკანასკნელ საათს

შარონი მიიჩნევს, რომ დროა, პალესტინელებს მიეცეთ სახელმწიფო. ბარსელონის გაზეთისთვის „La Vanguardia" მიცემულ ინტერვიუში ისრაელის პრემიერმა განაცხადა, რომ ნამდვილი და ხანგრძლივი მშვიდობის სანაცვლოდ მზად არის, წავიდეს ნებისმიერ მტკივნეულ დათმობაზე და წინადადება წამოაყენა, ისრაელმა ცნოს პალესტინის სახელმწიფო.

ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის ხავიერ სოლანას თქმით, აშშ მზად არის, რომ მის ჯარებს ერაყში საერთაშორისო კონტროლი დაუწესდეს. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ერაყში სამარცხვინო ჩავარდნა, აშშ-მ სასწრაფოდ უნდა გააკეთოს ეს, თვლის სოლანა. მისი აზრით, ამგვარი გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში იქნება მიღებული.

ამინდი დღეს

თბილისში	– მზიანი ამინდი.	ღამით +1°,	დღისით +11°.
ბათუმი	– ცვ. მოღრ.	ღამით +6°,	დღისით +13°.
სოხუმი	– ცვ. მოღრ.	ღამით +4°,	დღისით +11°.
ფოთი	– ცვ. მოღრ.	ღამით +4°,	დღისით +12°.
ქუთაისი	– ცვ. მოღრ.	ღამით +4°,	დღისით +14°.
გორი	– ცვ. მოღრ.	ღამით +1°,	დღისით +9°.
თელავი	– მზიანი ამინდი.	ღამით +1°,	დღისით +11°.

ლარის კურსი

18 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.6998	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1900	ლარი
ევრო	1	2.5855	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0735	ლარი.

ინტერპანორამა

„ვაშინგტონ პოსტის" აზრით, უკვე ცხადია დიქტატურის დამყარების პუტინისეული გეგმა. პუტინის მმართველობის შედეგი იქნება „მართვადი დემოკრატიის" ჩამოყალიბება, რომელიც სულაც არ არის დემოკრატია, ასკვნის გაზეთი.

გასინჯურ ბალიშიანმა იაპონურმა მატარებელმა სიჩქარის რეკორდი დაამყარა – 560 კილომეტრი საათში. რეისი შესრულდა უპილოტო რეჟიმით, რათა გამოცდილიყო კონსტრუქციათა საიმედოობა. მალე ასეთი მატარებლები შეცვლიან იაპონიაში ჩვეულებრივ ელექტრომატარებლებს. ინჟინრები ამბობენ, რომ ეს ზღვარი არ არის და სიჩქარეს 580 კილომეტრამდე გაზრდიან.

ყურადღება!

ძვირფასო მკითხველო! დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 2004 წლის პირველი ნახევრისათვის.

თუ გსურთ, იდგეთ ქუჩის ჭორებზე მაღლა, გქონდეთ ოპერატიული, ყველაზე მართალი ინფორმაცია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ჩვენი ყოველდღიური ყოფისა თუ პრაქტიკული საქმიანობის ნებისმიერ დარგში მიმდინარე პროცესების თაობაზე,

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

ამ გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ სს „საქპრესის" ნებისმიერ საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში, „მაცნეს" ოფისებში, კერძო გამავრცელებლებთან და ჩვენი რედაქციის შენობაში (კოსტავას ქ. № 14, სართული მე-4, ტელ: 93-26-99).

გაზეთის ფასია 6 თვით — 90 ლარი; 3 თვით — 45 ლარი; 1 თვით — 15 ლარი. გაზეთის ინდექსია — 66434.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 311. სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2003 წელი

„მინდა გავაფრთხილო ყველა, მათ შორის, ის პიროვნება, ვინც უკვე სავსებით აშკარად ცდილობს თავი წარმოაჩინოს, როგორც დღევანდელი პრეზიდენტის ალტერნატივა, რომ ძალადობით, მიტინგებით, ანტიკონსტიტუციური მოწოდებებით საქართველოს პრეზიდენტის პოსტს ვერავინ დაეუფლება"

პირველი გვერდიდან

— მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო. ჯერ ერთი, ნახევრად ხუმრობით გეტყვით, რომ, როგორც მითხრეს, ამ წუთებში ზოგიერთებს დიდი წივილ-კივილის ატეხა სურდათ, რათა რაღაც საშუალებებით, არ ვიცი, ეს სიგნალები იქნება თუ სხვა რამ, ჩაახშონ ჩვენი რადიოინტერვიუ. უნდა გითხრათ, რომ ასეთი მცდელობები უშედეგოა. მე ყველა შემთხვევაში მივაწვდენ ხმას ჩემს ხალხს. დარწმუნებული ვარ, იგი მომისმენს და გამიგებს კიდეც.

ახლა — უფრო სერიოზულად. ძალიან მოკლედ თუ ვიტყვით, ის, რაც ბოლო თვეებში, განსაკუთრებით ბოლო დღეებში ხდება საქართველოში, არის ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

ბრძოლა, რომელიც წარმოებს სრულიად უკადრისი ხერხებითა და მეთოდებით — ათასობით ადამიანის გულწრფელი ნდობის ბოროტად გამოყენებით.

თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად თითქოს საქმე ეხება პარლამენტის არჩევნებს, სინამდვილეში (პირდაპირ გეტყვით, ჩემი გამოცდილება, ცოდნა და ანალიზიც ამას მკარნახობს) ეს არის ბრძოლა სწორედ პრეზიდენტის სავარძლისათვის!

ამიტომ, მე მინდა გავაფრთხილო ყველა, მათ შორის, ის პიროვნება, ვინც უკვე სავსებით აშკარად ცდილობს თავი წარმოაჩინოს, როგორც დღევანდელი პრეზიდენტის ალტერნატივა, რომ ძალადობით, მიტინგებით, ანტიკონსტიტუციური მოწოდებებით საქართველოს პრეზიდენტის პოსტს ვერავინ დაეუფლება.

კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტის უფლებამოსილება იწურება 2005 წლის აპრილში.

ხოლო, თუ ვინ იქნება საქართველოს შემდეგი პრეზიდენტი, ამას გადაწყვეტს არა ერთი რომელიმე ფინანსურ-პოლიტიკური დაჯგუფება (როგორი რესურსებიც, მათ შორის, საინფორმაციო რესურსებიც უნდა ჰქონდეს), არამედ ქართველი ხალხი და საქართველოს მთელი მოსახლეობა.

ასეთი ეჭვი იმიტომ გამიჩნდა, რომ არსებობს სავსებით აშკარა წინააღმდეგობა ოპოზიციის ამ ნაწილის ორი სხვადასხვა დაჯგუფების მოთხოვნებს შორის.

მიაქციეთ ყურადღება: ერთი მათგანი მოითხოვს, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რაც შეიძლება სწრაფად გამართოს სხდომა და, მათი მეთვალყურეობით მონაცემთა დაჯამების შემდეგ, სასწრაფოდ გამოაცხადოს პარლამენტის არჩევნების შედეგი.

ხოლო მეორე დაჯგუფება, პირიქით, კატეგორიულად მოითხოვს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არათუ არ გამოაცხადოს არჩევნების შედეგი, არამედ არჩევნები ცნობილ იქნეს ჩაშლილად, ხოლო პარლამენტმა (როგორც იმუქრებიან) არ გაბედოს შეკრება პირველ პლენარულ სხდომაზე.

ყველაზე უცნაური და, ცოტა არ იყოს, კომიკურიც კი ის გახლავთ, რომ ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნის ავტორები ერთობლივ მიტინგებს მართავენ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.

ახლა მე ვეკითხები იმ გულწრფელ, პატიოსან ადამიანებს, ვინც ამ დღეებში იკრიბებოდა მრავალრიცხოვან მიტინგებზე: ძვირფასო თანამემამულენო, ნუთუ ვერ ამჩნევთ ამ კარდინალურ წინააღმდეგობას და ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ბრმა იარაღად გაქციეს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში?

აქვე, კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს პატივისცემას იმ ადამიანთა მიმართ, ვინც თავის პოზიციას გამოხატავდა მშვიდობიანი მანიფესტაციებითა და მიტინგებით. ისევე, როგორც პატივს ვცემ იმ ათასობით ადამიანის პოზიციას, ვინც სხვა პარტიებს, მათ შორის, ოპოზიციურ პარტიებს დაუჭირა მხარი.

მით უმეტეს, რომ მათ, ვინც მანიფესტაციებში მიიღო მონაწილეობა, უმაღლესი სახელმწიფოებრივი შეგნება და კულტურა გამოამჟღავნეს. როგორც იტყვიან, ერთი ფოთოლი არ მოწყვეტილა და ერთი შუშაც კი არ ჩამტვრეულა ამ ღონისძიებების დროს. მოქალაქეები მყავს მხედველობაში.

ოღონდ, აქვე, ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ასეთივე მაღალი კულტურა, თავშეკავება და პროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს იმათ, ვისაც ევალებოდა წესრიგის დაცვა.

მე მადლობა გადავუხადე მომიტინგეებს და მინდა, აგრეთვე, დიდი მადლობა, მართლა გულწრფელი მადლობა ვუთხრა იმ ჭაბუკებს, ვინც ასევე წვიმაში, ყინვაში, ზოგჯერ ასევე მშიერ-მწყურვალი იდგა და იცავდა კონსტიტუციას, იცავდა კონსტიტუციურ წესრიგს და ამით იცავდა თავის სამშობლოს, ვინაიდან ყველა შეგნებულ ადამიანს ესმის, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა კონსტიტუციური სისტემის, კონსტიტუციური შენობის მდგრადობის შენარჩუნებაა. იცით, ვისაც ვგულისხმობ. ეს არის შინაგანი ჯარი, პოლიცია, უშიშროება, მათი ხელმძღვანელები და, რა თქმა უნდა, თავად ეს კონტინგენტი.

როგორც კი კონსტიტუციის ტაძარი (დიახ, ტაძარი!!!) დაირღვევა, ქვეყანაში საზარელი ქაოსი გარდაუვალი გახდება. გარდაუვალი იქნება ის, რასაც ისტორიკოსები და პოლიტოლოგები უწოდებენ: „ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ".

საერთოდ კი, გულწრფელად რომ გითხრათ, არაფერი მოულოდნელი ჩემთვის არ არის.

ჩვენ ამას ველოდით. დაკვირვებული თვალი იმთავითვე შენიშნავდა, როგორ მზადდებოდა შესაბამისი საინფორმაციო ფონი, მიზანმიმართულად იქმნებოდა ისტერიული ატმოსფერო არჩევნებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ.

ვიმეორებ: მთავარი სამიზნე აქ პარლამენტი არ ყოფილა. იგი განიხილებოდა ერთგვარ „პლაცდარმად", პირველ ეტაპად სახელმწიფოს მეთაურის პოსტის დასაუფლებლად.

მაგრამ არ გამოუვიდათ და ამ გზით, ამგვარი ხერხებით არც არაფერი გამოუვათ.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ყურად არ უნდა იღოს სამართლიანი და სავსებით კანონზომიერი მოთხოვნები, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აყენებს.

მაგალითად, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ მზადა ვარ მთლიანად შევასრულო უმთავრესი მოთხოვნა, რომელსაც ჩემი თანამემამულენი მიტინგებზე აყენებდნენ: უსასტიკესად იქნება დასჯილი ყველა, ვინც მონაწილეობა მიიღო ამა თუ იმ ფორმით არჩევნების გაყალბებაში (არა აქვს მნიშვნელობა, ეს ათ უბანს შეეხება თუ ორ ოლქს და ა.შ. სადაც მოხდა გაყალბება, ყველგან უნდა იყოს სათანადო რეაგირება), საარჩევნო უბნების დარბევაში (იცით, რამდენი საარჩევნო უბანი დაარბიეს და ვინ დაარბია, ისიც ცნობილია), სხვადასხვა მაქინაციებში, განურჩევლად მათი პარტიული კუთვნილებისა, თანამდებობისა და რანგისა.

ამასთანავე, რაკი თავად ამბობენ, რომ გაყალბების უმთავრესი წყარო გახდა საარჩევნო სიები, მე გუშინ მივიღე ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, გნებავთ, კომისია, თუ გნებავთ უმაღლესი რანგის სახელმწიფო კომისია უშიშროების მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც უმოკლეს ვადებში ფარდას ახდის საარჩევნო სიების გაყალბებასთან დაკავშირებულ ძალიან ბნელ ისტორიას.

ახლა შევეცდები განვმარტო, რატომ არის ეს ბნელი ისტორია, რას ვგულისხმობ. საქმე ის გახლავთ, რომ თვით იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების აღიარებითა და შეფასებით, ვინც მონაწილეობდა სიების სხვადასხვა ვარიანტის შედარებასა და შეჯერებაში, ყველაზე სრული იყო სია, რომელიც ჯერ კიდევ ზაფხულში ადგილობრივ მონაცემებზე დაყრდნობით მოამზადა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ვიმეორებ: ეს არის არა ჩვენი შეფასება, არამედ საერთაშორისო მეთვალყურეთა აღიარება, მათი, ვინც არჩევნებამდე იყო საქართველოში.

თუმცა, გარკვეული ცდომილება იმ დოკუმენტშიც იყო, ალბათ, და შეუძლებელია არ ყოფილიყო, როცა საქმე ეხება რამდენიმემილიონიან სიას.

მაგრამ სერიოზულ ზეგავლენას არჩევნების შედეგებზე ასეთი ცდომილება ვერ მოახდენდა.

სულ სხვა საქმეა სიების კომპიუტერული ვერსია (ბევრმა არც კი იცის, რა არის ეს. მას შემდეგ, რაც სიები წარადგინეს, ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ იკისრა ვალდებულება, შეეტანა კომპიუტერში და საბოლოოდ ვიხელმძღვანელებდით კომპიუტერული ვერსიით). მასში ნამდვილად იყო ქაოსი, სრული გაუგებრობა — თავდაპირველად საკუთარი ოჯახის წევრებიც კი ვერ აღმოვაჩინე ამ სიებში. სამაგიეროდ, იყვნენ 1800 წელს დაბადებული ადამიანები, 1700 წელს დაბადებული და ა.შ. ანუ გარდაცვლილი ადამიანების გვარები, სახელები და მამის სახელები იყო შეტანილი. ვის დასჭირდა ეს? ხელისუფლებას სჭირდებოდა ეს ამბავი?

მაგრამ, მოდით, ვიკითხოთ: ვინ შეადგინა სიების კომპიუტერული ვერსია? რომელმა ორგანიზაციამ? რომელმა ჯგუფმა? ვინ აკონტროლებდა ამ პროცესს, ვისი მეთვალყურეობით მიმდინარეობდა იგი?

ყველაფერი გაირკვევა და ის ადამიანები, ვინც ახლა „გუგულივითაა გატრუნული" (თითქოს ეს ყოველივე მას არ ეხება) და, უფრო მეტიც, ცეცხლზე ნავთს ასხამს თავისი პროვოკაციული განცხადებებით, უსასტიკესად აგებს პასუხს — სისხლის სამართლის კოდექსის მთელი სიმკაცრით.

ეს არის ჩვენი მოქალაქეების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა (დაისაჯონ სიების გამყალბებელნი) და ამ მოთხოვნას უეჭველად შევასრულებთ.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ბრძანეთ, რომ კომისია შეიქმნება. დაახლოებით როდის იქნება ცნობილი შედეგები. სამწუხაროდ, ხანდახან იქმნება კომისიები, მაგრამ ძალიან დიდხანს გრძელდება მათი მუშაობა...

— ძალიან ძნელია დავასახელო თარიღი, რადგან გამოძიება — გამოძიებაა. თუ არ ვცდები, 15 საქმე უკვე აღძრულია. გამოძიება დაიწყო და მისი შედეგები გამოცხადდება ნაწილ-ნაწილ, იმის მიხედვით, როგორ დამთავრდება გამოძიება ცალკეულ რეგიონებში. გამოცხადდება და მოსახლეობა ყველაფერს გაიგებს — რატომ მოხდა, რომ სიები აირ-დაირია და ბევრი ადამიანი მართლა გაწვალდა. ვინც სიაში იყო, იმასაც გაუჭირდა ხმის მიცემა, რადგან, ვინც არ იყო სიაში, ისინი იდგნენ რიგში.

რაც შეეხება მეორე, მთავარ მოთხოვნას: „პრეზიდენტმა აღიაროს ოპოზიციის გამარჯვება 2 ნოემბრის პარლამენტის არჩევნებში".

საქვეყნოდ ვაცხადებ და ვაღიარებ, რომ კოალიციამ „ახალი საქართველოსათვის" პარლამენტის არჩევნებისას მიიღო ხმების დაახლოებით 20-21 პროცენტი. დანარჩენი 80 პროცენტი მიიღეს სხვა პარტიებმა, რომელთა დიდი ნაწილი, ალბათ, ოპოზიციური ძალაა. მათ შორის განსაკუთრებით შთამბეჭდავ შედეგს მიაღწია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ".

ამასთანავე, გულსატკენია, რომ ეს მოძრაობა და მისი ლიდერი თავის შთამბეჭდავ წარმატებას იყენებენ ანტიკონსტიტუციური მოწოდებების, მოქმედებებისა და მთლიანად კონსტიტუციური სივრცის ხელყოფისათვის.

ყველას შეახსენებ, რა განცხადებები კეთდებოდა და კეთდება ამ დღეებში: „გადავაგდოთ პრეზიდენტი", „დავამხოთ პრეზიდენტი", „გადავქელოთ ხელისუფლება", „მოვახდინოთ ხელისუფლების პარალიზება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე", „გადავკეტოთ სტრატეგიული სატრანსპორტო მაგისტრალები", „არ შევუშვათ შენობებში ხელისუფლების წარმომადგენლები", „არ იმუშაონ ბიზნესმენებმა", „გააჩერონ საწარმოები" და ა.შ. და ა.შ. რას ჰგავს, რა არის ეს?!

თითქოს სხვა კატეგორიის მაგალითია, მაგრამ ძალიან ზუსტად მეტყველებს მისი ავტორების მაღალ ინტელექტსა და გონიერებაზე: „არ გადავიხადოთ გადასახადები"!

კი მაგრამ, ოჯახაშენებულო, თუ პრეტენზია ხელისუფლებაზე გაქვს, ხომ უნდა გათვალო, რომ ასეთი მოწოდებები ასმაგად დაგიბრუნდება, თუ ეღირსე და მოხვედი ხელისუფლებაში?! თავად ხომ უნდა, გქონდეს მორალური უფლება ბიზნესმენებს გადასახადების გადახდა მოსთხოვო? ხომ უეჭველია, რომ შენც გეყოლება ოპოზიცია და მასაც ხომ შეუძლია ასეთი მოწოდებით გამოვიდეს?

მაგრამ, როგორი განცხადებებიც უნდა გააკეთონ, რაც უნდა სცადონ, მე მჯერა ჩემი ხალხის სიბრძნის და გონიერებისა.

საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ცეცხლივით მწვავედ გვახსოვს ის საზარელი ეროვნული ტრაგედია, რომელიც ამ ქვეყანაში დატრიალდა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ.

ნურავინ იტყუებს თავს, თითქოს აქ კონკრეტულ პიროვნებაშია საქმე. თუ კონსტიტუცია დაირღვა, კანონიერების საფუძველი მოიშალა, ისევ დაიყო საქართველო ურთიერთდაპირისპირებულ ე.წ. „საძმოებად", უკონტროლო შეიარაღებულ ფორმირებებად, სისხლისღვრა გარდაუვალია. მე ვთქვი, რომ სამოქალაქო დაპირისპირებიდან (ეს უკვე ფაქტია) სამოქალაქო ომამდე ერთი ნაბიჯია. ვაფრთხილებ ყველა ჩემს თანამემამულეს.

რაც შეეხება ჩემს გადადგომას, ვთქვი და კვლავ ვიმეორებ: პიროვნულად ჩემთვის ეს ყველაზე ნაკლებ პრობლემატურია.

მე ამ ქვეყნისათვის გავაკეთე ყველაფერი, რაც კი ობიექტურად შესაძლებელი იყო იმ რეალობისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით, რაც საქართველოში დამხვდა გახურებული სამოქალაქო ომის პერიოდში.

ოღონდ დავფიქრდეთ: დავუშვათ, პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ ან მას ძალადობით შეუწყვიტეს უფლებამოსილება (როგორც იტყვიან „მანამდე გვერდები არ აუდგეთ!"): ლეგიტიმური სახელისუფლებო ორგანო ქვეყანაში, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს მანამ, სანამ პარლამენტი არ დაიწყებს მუშაობას.

ესენი კი წინააღმდეგი არიან იმისა, რომ ახალმა პარლამენტმა მუშაობა დაიწყოს.

ახალი პარლამენტი ჯერ არ შეკრებილა; ძველი პარლამენტის უფლებამოსილებაც უკვე საკმაოდ საეჭვოა, მამასადამე, კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში, ჩვენ ვბრუნდებით არა 1995 წელში, როდესაც კონსტიტუცია მივიღეთ, არამედ ბევრად უფრო ადრინდელ პერიოდში. რით დამთავრდა ის ყოველივე, შესანიშნავად მოგეხსენებათ.

ზოგიერთი ჩვენი უცხოელი მეგობარი მწვავედ გვაკრიტიკებს. როგორ შეიძლება, ასეთ რეაქციას არ იწვევდეს ვითარება, როდესაც ქვეყანაში არსებობს ორი პარლამენტი, ორივე ლეგიტიმური თუ ორივე არალეგიტიმური, პრეზიდენტი გადამდგარია თანამდებობიდან ან გადააყენეს და ასე შემდეგ. ქვეყანა ვის ხელში რჩება?

შესანიშნავად მესმის, რომ ადამიანებს უჭირთ. ათიათასობით ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხშირად იგვიანებს პენსია, ხელფასი. სწორედ ამით სარგებლობენ პოლიტიკოსები, უფრო სწორად, პოლიტიკანები. მაგრამ, განა საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისია? გავაანალიზოთ, რა ხდება მრავალ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში. ეს ჩვენთვის შედავათი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე განვითარდა მოვლენები, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში ხდება ის, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

ამასთან (შეიძლება, ამაზე ლაპარაკი ბევრს აღარც სიამოვნებს), უნიკალური პროგრამაა შედგენილი რამდენიმე წლის განმავლობაში სიღარიბის დაძლევისათვის, რომელიც მოიწონეს მსოფლიო ბანკმა, სავალუტო ფონდმა, ჩვენმა პარტნიორებმა, დონორებმა და შეგვიძლია ხვალ-ზეგ უკვე შევუდგეთ მის რეალიზაციას.

უსინდისო ტყუილია, თითქოს, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველგან მდგომარეობა ბევრად უკეთესია. და ეს იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ჩვენს ქვეყანას არც ნავთობი აქვს, არც გაზი, არც სხვა რამ სტრატეგიული რესურსი (წყალი ბევრი გვაქვს, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის ის რესურსი, რომელსაც შეიძლება სტრატეგიული დაარქვა), რომ მხოლოდ მან გადაიტანა საზარელი სამოქალაქო ომის ორი ტალღა, ორი სისხლისმღვრელი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, ყველაფრის დანგრევა, განადგურება, დაშლა, შეიარაღებული ბანდების თარეში, ძარცვა-გლეჯა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

გახსოვთ, რუსთაველის გამზირი? გახსოვთ, პარლამენტის შენობის ნანგრევები? გახსოვთ, დანგრეული პირველი საშუალო სკოლა, მიწასთან გასწორებული სასტუმრო „თბილისი", რომლის აღდგენასაც უცხოელი ბიზნესმენების დახმარებით ამდენი წელი დასჭირდა? ანდა მხატვართა სახლი, რომლისგანაც ერთი აგურიც აღარ დარჩა? ამის დავიწყება არ შეიძლება. ასეთ მოვლენებს უნდა ვიმახსოვრებდეთ და დასკვნებიც უნდა გამოგვქონდეს.

კი ბატონო, ღმერთმა და ერმა განსაჯოს, თუ ვინმე სხვა შეძლებდა ეს ქვეყანა გამოეყვანა სამოქალაქო ომის ქაოსიდან, თავიდან აეცილებინა მისი საბოლოო დაშლა ლიხის ქედის გასწვრივ. ან იმაზე მეტის მიღწევა, რასაც მივაღწიეთ ეკონომიკაში. მე ვფიქრობ, იმის მაქსიმუმი გაკეთდა, რის შესაძლებლობაც არსებობდა.

მე გამოვაქვეყნე ჩემი ხედვა იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს უახლოეს წლებში, რათა შეძლებისდაგვარად კიდევ გადავდგათ რამდენიმე ნაბიჯი, რათა ქვეყანას განვითარების ენერგია შევუნარჩუნოთ.

ჩემთვის გამაოგნებელია, რატომ უნდა უარყოფდე, რატომ არ უნდა გიხაროდეს შენი ქვეყნის წარმატება. ხომ უეჭველი ფაქტია, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მიმდინარე წელს, ყველა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორის მიუხედავად, არ შეწყვეტილა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა (მეუბნებიან, არ უნდა ილაპარაკო ამაზე, არ სიამოვნებთ ამის მოსმენაო, მაგრამ ფაქტია: 9-11 პროცენტის ფარგლებშია შიდა ეროვნული პროდუქტის ზრდა, მათ შორის, მრეწველობაში 12 პროცენტი. მშენებლობაზე აღარ ველაპარაკობ. აქ ძალიან დიდი გავლენა იქონია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობამ და ა.შ.), ვინარჩუნებთ მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ხორციელდება დიდი პროექტები, შეძლებისდაგვარად ვიღებთ გადაწყვეტილებებს ხელფასების ზრდის თაობაზე, მათ შორის, პედაგოგებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის. ეს არ გვახსოვს? ეს არ არის ასტრონომიული ზრდა, მაგრამ ორჯერ, 60 პროცენტის ფარგლებში ხომ გაიზარდა მათი ხელფასი.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ ეტაპზე ქვეყანას მეტის შესაძლებლობა არა აქვს.

მიუხედავად ამისა, კვლავ და კვლავ ვიმეორებ: 2005 წელს, როდესაც ქვეყანას ეყოლება ხალხის მანდატით აღჭურვილი ახალი პრეზიდენტი, მე მას პირველი მივულოცავ ერის ნდობას და ვუსურვებ წარმატებას მისი პროგრამის განხორციელებაში. თუ მთხოვს, რჩევასაც მივცემ — დადებითი გამოცდილებაც მაქვს და უარყოფითიც.

ჯერჯერობით ასეთი პროგრამა არ მინახავს (ის ხალხი მყავს მხედველობაში, ვინც ხელისუფლებისათვის იბრძვის). ის, რაც ქვეყნდება, არის ცარიელი დემაგოგია და პოპულიზმი: „გავაუქმოთ გადასახადები", ამავდროულად „გავზარდოთ პენსიები" (რა ჭკვიანები არიან! როგორც ჩანს, ამ „ბრძნული" პროგრამის ავტორებს მიაჩნიათ, რომ დღევანდელი პრეზიდენტი და ხელისუფლება ვერ ხვდება, რამდენად გაზრდის პენსიას გადასახადების გაუქმება) და ასე შემდეგ.

ყველაფრის მიუხედავად, კვლავინდებურად მზად ვარ დიალოგისათვის. ეს არის ჩემი მტკიცე ნება. ამისკენ მოგვიწოდებენ ჩვენი მეგობრებიც.

მაგრამ, მომიტევეთ, დიალოგში ხომ, როგორც მინიმუმი, ორი მხარე, ორი ადამიანი მაინც უნდა მონაწილეობდეს!

როდესაც მეორე მხარე დიალოგზე უარს აცხადებს, ასეთი დიალოგი ვერ შედგება.

მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ დაგვიკავშირდა ბატონი ზურაბ ჟვანია (მადლობელი ვარ, რომ დარეკა. იგი ხშირად ურეკავს ჩემს ერთ-ერთ თანაშემწეს, რაც სავსებით ნორმალური მოვლენაა) და გვთხოვა, მოგვეწვია ქალბატონი ნანა დევდარიანი, რათა გაგვემართა კონკრეტული მოლაპარაკება (ამჯერად კანცელარიაში მოვიდოდნენ. წინა შეხვედრა გაიმართა კრწანისში. მოითხოვეს, ნეიტრალური ტერიტორია იყოსო და, თითქოს უცხოელები იყვნენ, მივიღეთ კრწანისში).

სხვათა შორის, არავითარი წინასწარი პირობა, მოლაპარაკების დაწყებამდე, ბატონ ზურაბს (ისევე როგორც არც ჩვენ) არ წამოუყენებია.

დავარღვიე ელემენტარული კოლეგიალობა, დაუწერელი კანონი და, იმის მიუხედავად, რომ უფლება არ მქონდა, მაინც ვთხოვე ქალბატონ ნანას, მობრძანებულიყო სახელმწიფო კანცელარიაში. მოგეხსენებათ, მისი სტრუქტურა აბსოლუტურად დამოუკიდებელია. პრეზიდენტი არც უნდა ცდილობდეს ხშირად შეხვდეს და, მით უმეტეს, ხშირად მოიკითხოს ამბები, რომლებიც დაკავშირებულია არჩევნებთან. ქალბატონი ნანა მაინც მოვიდა.

ველოდეთ ერთი საათი, ორი საათი, სამი საათი. მინდა ეს ჩვენმა მსმენელებმა იცოდნენ. ბოლო შეთანხმება იყო, რომ 10-ის ნახევარზე მოვიდოდნენ. ველოდეთ შუაღამემდე, მაგრამ არ მოვიდნენ. რას ჰგავს ეს, რა არის?! თუ სერიოზული ხალხი ხართ, მაშინ ამის გაკეთება შეუძლებელია. თუ მე არა ვარ სერიოზული, მაშინ დამიმტკიცე, რომ არ ვარ სერიოზული. სამი საათი ვისხედით. მერე იძულებული ვიყავით პრესა მოგვეწვია და ავუხსენით ყველაფერი. ყველას აინტერესებდა, რა მოხდებოდა. მოხდა ის, რომ არ მოვიდნენ ჩვენი მეგობრები და ოპონენტები.

დღესაც მზადა ვარ, შევხვდეთ, ვისაუბროთ, კომპრომისებზეც ვიფიქროთ, მაგრამ ერთი ურყევი პირობით: კონსტიტუცია არ უნდა დაირღვეს, ხოლო კომპრომისი მხოლოდ კანონიერების ფარგლებში უნდა ეტეოდეს.

მაგალითად, მე მოვუწოდებ ჩემს ოპონენტებს: გაასაჩივრონ არჩევნების შედეგი თუნდაც ყველა საარჩევნო ოლქში. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ტყუის ეს ბლოკი, რომელმაც ხმების 20 თუ 21 პროცენტი მიიღო, ჩვენ არ გავასაჩივრებთ უზენაესში. დაე, ეს იყოს საბოლოო გადაწყვეტილება, თუ ისინი მართალი არიან. მე დღეს მჯერა სასამართლოების. მათ არაერთი საკითხი განიხილეს და საკმაოდ ობიექტური გადაწყვეტილებები მიიღეს.

აი, სხვათა შორის, სასამართლო განხილვის ზოგიერთი შედეგი. სასამართლომ 80 ათასი ხმა გააუქმა. ცოტაა ეს თუ ბევრი? მე მგონია, რომ ბევრია. ვიჩივლეთ სადმე? ძირითადად ეს შეეხო ბლოკს და მიმაჩნია, რომ სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ბევრ ოლქში დაადგინა ხმების გადათვლა. ბევრ უბანზე საერთოდ გააუქმა არჩევნების შედეგები.

ხმების გადათვლა არ არის ერთადერთი გამოსავალი, მაგრამ ერთ-ერთი გამოსავალი, შედარებით უმტკივნეულო, არის.

გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენი კოალიციის ზოგიერთი წევრი წინააღმდეგი იყო და მსაყვედურობდა კიდეც, რატომ ხართ ასეთი გულგრილიო და სხვა და სხვა.

მაგრამ, ბოდიშს ვიხდი, როდესაც ჩვენგან გარანტიებს ითხოვენ, მე არ შემიძლია (პარლამენტის შემადგენლობის გათვალისწინებით), ვინმეს წინასწარ მივცე გარანტია, რომ იგი შეინარჩუნებს ან ვერ შეინარჩუნებს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს. არსებობს შესაძლებელი და არსებობს შეუძლებელი, მით უმეტეს, პოლიტიკაში.

და კიდევ ერთი: ყურადღებით შევისწავლოთ, როგორია საერთაშორისო გაერთიანების გამოხმაურება.

ამ დღეებში ხშირად გაიგონებთ დემაგოგიას რაღაც „მსგავსების" თაობაზე ამჟამინდელ მოვლენებსა და აღმოსავლეთ ევროპაში გასული საუკუნის 80-იანი წლების „ხავერდოვან რევოლუციებს" შორის.

ეს დემაგოგია მათი ავტორების სინდისზე იყოს!

ცინიზმით ზნეობრივ გამარჯვებას ვერ მიაღწევ.

მათ იციან, რომ ადამიანს იქ უნდა „დაარტყა", სადაც ყველაზე მეტად ეტკინება.

ის, რასაც ისინი გულისხმობენ, დიახაც, ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი ფურცელია. და მე ამით სამართლიანად ვამაყობ კიდეც!

ხოლო რამდენად მართებულია ასეთი „დემაგოგიური პარალელები", სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, იქიდანაც ჩანს, თუ რა განცხადებებს აკეთებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და მეგობარი ქვეყნები.

როგორ არ ეცადნენ ზოგიერთები, როგორმე მოეშხამათ ეს ურთიერთობა, ვერაფრით მიაღწიეს მათთვის სასურველ ერთმნიშვნელოვან განცხადებებს.

რა თქმა უნდა, ლაპარაკია ნაკლოვანებებზე, დარღვევებზე, არასრულყოფილებაზე.

მაგრამ, აი, კონკრეტული მოწოდება, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა. მოვიტან ციტატას ეუთოში ამერიკის ელჩის განცხადებიდან: იგი მოუწოდებს ყველა პარტიას, ყველა მხარეს, დაელოდონ საარჩევნო პროცესების დასრულებას, დაელოდონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას, და მხოლოდ ამის შემდეგ გაასაჩივრონ სასამართლოში, სწორია, თუ არ არის სწორი.

გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ დემონსტრაციები, ისევე როგორც ხელისუფლების პასუხი ამ დემონსტრაციებზე, მშვიდობიანი სახის იყო.

დაახლოებით ასეთივე სულისკვეთებაა ყველა სხვა განცხადებაში.

რომელ მათგანშია საუბარი (მაპატიეთ, არ მინდოდა ჩემი ოპონენტების ნათქვამის გამეორება) „დიქტატორულ რეჟიმზე", მილოშევიჩზე, ჩაუშესკუზე და სხვებზე? ყველა რომ ჩამოვთვალო, ვისაც შემადარეს, ჩვენი ინტერვიუ, ალბათ, დიდხანს არ დამთავრდება.

უამრავი პრობლემის, ტკივილის, ნაკლის, სოციალური სიდუხჭირის მიუხედავად, ვის შეუძლია უარყოს, რომ პიროვნული თავისუფლების თვალსაზრისით, მათ შორის, სიტყვის თავისუფლებით საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია!

ვინ გაბედავს ამტკიცოს, თითქოს რომელიმე დიქტატორივით საქართველოს პრეზიდენტი ემალება თავის ხალხს!

განა მე არ მივედი იმ გამძვინვარებულ ადამიანებთან, რომლებიც ჩემს ჩაქოლვას მოითხოვდნენ?

დამისახელეთ სხვა მაგალითი, ვინც ესოდენ ღია, ესოდენ ტოლერანტული და კოლეგიალურია ჟურნალისტების მიმართ. ალბათ, არის კიდეც სადღაც, მაგრამ მე ჩემს თავზე და ჩვენს სინამდვილეზე ველაპარაკობ.

ერთხელ თუ ამომიღია ხმა ამდენი შეურაცხყოფის, ზღვარსგადასული ლანძღვა-გინების გამო, რაც ჩვენი გაზეთების ფურცლებზე წამიკითხავს.

ერთ რომელიმე ჟურნალისტს თუ შექმნია რაიმე პრობლემა არათუ პრეზიდენტის კრიტიკის, არამედ უშვერი შეურაცხყოფის, მისი დამხობისაკენ პირდაპირი მოწოდებისათვის.

ეს არის მილოშევიჩი? ეს არის ჩაუშესკუ?

უსინდისოს გარდა, ვის შეუძლია ამტკიცოს, თითქოს დღეს რეპრესიული რეჟიმია საქართველოში? როგორ არა გრცხვენიათ, ახალგაზრდები ხართ, მთელი ცხოვრება წინ გაქვთ, ნუთუ გგონიათ, ასეთი უსამართლობით, ასეთი უსამართლო მოთხოვნებით ზნეობრივ და სულიერ გამარჯვებას მიაღწევთ? ვერ მიაღწევთ.

და, რაც მთავარია, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ დღეებში გამოგვეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, რომელთა ელჩებსაც შევხვდი ამ დღეებში. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა რუსეთის პრეზიდენტს, რომელმაც სამჯერ დარეკა და თქვა, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს სახით სტაბილური მეზობელი ჰყავდეს და ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ამ სტაბილურობას ხელი შევუწყოთ.

ამავდროულად, ჩვენი ქვეყნის შიგნითაც, ყველას, ვინც გონიერება და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა გამოამჟღავნა.

ჩვენს ახალგაზრდა მასმედიას (გამონაკლისის გარდა) - უდიდესი მოქალაქეობრივი შეგნებისა და შინაგანი ცენზურისათვის.

დიახ, „შინაგანი ცენზურისათვის", რაც სხვა არაფერია, თუ არა სინდისი და სამშობლოს ბედისადმი პასუხისმგებლობა.

თორემ ბევრი რამ მათაც არ მოსწონთ და აქვთ უფლება, უკმაყოფილო იყვნენ.

კიდევ ერთხელ ვიხრი ქედს ჩვენი სამშობლოს უმტკიცესი ციხესიმაგრის, ჩვენი აჭარის, მე ასე ვამბობ ხოლმე, ჩემი აჭარის მიმართ.

ისიც მინდა ვთქვა, რომ ბატონმა ასლან აბაშიძემ ამ დღეებში კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უმთავრესი მრწამსი: რომ განუყოფლად მიაჩნია აჭარისა და საქართველოს ინტერესები. და ბევრად მნიშვნელოვანი იყო ეს განცხადება. თქვენ იცით, იყო სხვა რანგის განცხადებები, სხვა მასშტაბისა და შინაარსის.

ჩემთვის ბოლო დღეების ბედნიერი მოგონებაა ის, რაც ვინახე სამეგრელოში. მოვინახულე ჟიული შარტავას ძეგლი, მისი დედმამა, ეს უდიდესი სულის ადამიანები გულში ჩავიკარი და შემდეგ ათასობით ადამიანს შევხვდი.

უნიკალური იყო შეხვედრები ბათუმში. მე ვთქვი, რომ 22-ჯერ ვარ ჩასული ბათუმში, ყოველთვის კარგად მხვდებოდნენ, მაგრამ ეს იყო ზღაპრული შეხვედრა — გაჭედილი სტადიონი და ამდენი გაცისკროვნებული ქართული სახე — პატრიოტული სიყვარულითა და შემართებით აღსავსე.

არ არის ეს ბედნიერება? ხშირად მეუბნებიან: რატომ წახვედი აჭარაში, რატომ წახვედი სამეგრელოში? აბა, რა ვქნა? მე ვიყავი ჯავახეთში, ვნახე უნივერსიტეტის ფილიალი, შევხვდი 800-კაციან აუდიტორიას, სხვა შეხვედრებიც მქონდა. ამ დარბაზში შევხვდი ახალგაზრდებს, სტუდენტური საბჭოების თავმჯდომარეებს. გუშინ შევხვდი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ქვემო ქართლიდან. მე თვითონ უნდა ჩავსულიყავი. უზარმაზარი, 30-ათასკაციანი მიტინგი იყო, მელოდებოდნენ. ვერ ჩავედი და წერილი მივწერე, ვთხოვე, იქნებ თავად ჩამოსულიყვნენ 30-40 კაცი მაინც. მართლაც ჩამოვიდნენ და საუბარი იყო მხოლოდ ამაზე: თქვენ იყავით მაგრად. თავის დროზე აზერბაიჯანული რაიონებიდან, დმანისიდან 800 ოჯახი გაასახლეს. ჩვენ ყოველდღე შიშით ველოდით, რომ ჩვენთანაც მოვლენ და გაგვასახლებენ. ჩვენ ეს არ გვინდა. ეს ჩვენი სამშობლოა და ჩვენ მისი მოქალაქეები ვართ. ამიტომ გადავწყვიტეთ სახელმწიფო ენის შესწავლა და ა.შ.

ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი იმ დღეს, როცა აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები და სხვები სწავლობენ ქართულ ენას, სახელმწიფო ენას. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ახალქალაქის უნივერსიტეტში ქართველი ახალგაზრდები სწავლობენ სომხურ ენას. თავისი სურვილით, არავინ აძალებს.

ყველას მოვუწოდებ, ძალიან ფრთხილად ვიყოთ, როცა ლაპარაკია ცალკეულ რეგიონებზე, თუნდაც აჭარაზე. ერთხელ რომ საქმეს გააფუჭებ, მერე მისი გამოსწორება თითქმის შეუძლებელი ხდება. განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებს ეხება ეს. გაუვლიან-გამოუვლიან ხოლმე. დღევანდელი საქართველოს მრავალეროვნულობა ჩვენი სიძლიერეა, ეს ხალხი ჩვენ გვიჭერს მხარს. ყველა არჩევნების დროს 80 პროცენტს ვიღებდი ამ რაიონებიდან. მეუბნებიან, რომ გულწრფელი იყვნენ მაშინაც და გულწრფელი არიან ახლაც. მთავარია არ შედრკეთ, რადგან ჩვენ თქვენი იმედი გვაქვსო.

კიდევ ერთხელ უდიდეს მადლობას მოვახსენებ მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მისი კეთილი ნებისათვის, ძალიან საჭირო სიტყვებისათვის.

იყო ასეთი წინადადებაც, რომ საპატრიარქოში გამართულიყო ჩემი და ოპოზიციის შეხვედრები. მაგრამ მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად უწმინდესის შეწუხება ასეთ საკითხებზე და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი საპატრიარქოს პოლიტიზება. არ არის ეს სწორი. მისმა უწმინდესობამ თქვა ის, რაც უნდა ეთქვა.

უწმინდესის ერთადერთი და უმძლავრესი იარაღი არის სიტყვა და, თუკი მის სიტყვას არ ისმენენ, მით უარესი მათთვის.

ამ რთულ დღეებში საქართველოს შეიარაღებული ძალები, მესაზღვრეები აკეთებენ თავიანთ საქმეს, გადიან წვრთნას. რა ხდება აქ, ალბათ, დაახლოებით იციან, მაგრამ იციან თავიანთი მოვალეობაც. ისინი ახლა კარგ დონეს ინარჩუნებენ და ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია სიხარული არ გამოვხატო. ჩვენი, საქართველოს სიძლიერეა, რომ ასეთი დონის შეიარაღებული ძალები გვყავს.

დარწმუნებული ვარ, დიალოგით, ორმხრივი კომპრომისებით, სადაც შესაძლებელია, მაქსიმალური დათმობებით ჩვენ დავძლევთ ამ კრიზისს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია უახლოეს დღეებში გამოაცხადებს არჩევნების შედეგს. შეიკრიბება პარლამენტი. უნდა შეიკრიბოს. როგორც კი გამოცხადდება შედეგები, კონსტიტუციით ვალდებული ვარ, დავნიშნო სხდომა. ისიც არის მითითებული, რა ვადაში უნდა შეიკრიბოს პარლამენტი.

მე ვაპირებ (საბოლოოდ არ მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ, ალბათ, მოვახერხებ) გამოვიდე ახალი პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე და კვლავ შევთავაზო საკანონმდებლო ორგანოს ძალიან სერიოზული რეფორმები. მათ შორის, სერიოზული საკონსტიტუციო ცვლილებები, რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით. თქვენ იცით, რომ არჩევნებთან ერთად გაიმართა რეფერენდუმიც. ჩემს მიერ დასმულ კითხვას — შემდეგი პარლამენტის რაოდენობა შევამციროთ და დავიყვანოთ 150 კაცამდე თუ შევინარჩუნოთ ეს რაოდენობა? — აბსოლუტურმა უმრავლესობამ უპასუხა, რომ შემცირება აუცილებელია. მაგრამ არა მარტო შემცირებაა საჭირო, არამედ მოფიქრებაც, როგორი საკონსტიტუციო ცვლილებები გვჭირდება დღეს საქართველოში. მე მაქვს ამასთან დაკავშირებით მოსაზრებები და შევეცდები წარვუდგინო პარლამენტს.

ამჟამად ჩემი უმთავრესი მიზანია, 2005 წლის აპრილამდე ქვეყანა მივიდეს სამოქალაქო თანხმობის პირობებში.

მზად ვარ, დარჩენილი წელიწად-ნახევრის განმავლობაში მივიღო თუნდაც ყველაზე სარისკო, თუნდაც ყველაზე არაპოპულარული გადაწყვეტილებები რეფორმათა გაღრმავების თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, ჩემს თავზე მივიღო დარტყმა, რათა შემდეგ პრეზიდენტს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა აირჩევს, საქმე გაუადვილდეს.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ის დიდი აქტი, რომელიც 2005 წელს უნდა განხორციელდეს, იქნება ხელისუფლების დემოკრატიული ცვლის პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ აღნიშნეთ, რომ მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა ქვეყანაში. მაგრამ, როცა ადამიანებს უჭირთ, ისედაც მინიმალური პენსიები და ხელფასები გვიანდება, ეს ადამიანისათვის ძნელი აღსაქმელია. იმ მოვლენებიდან გამომდინარე, რომლებიც ხდება დღეს ქვეყანაში, მინდა გკითხოთ: ეს ყველაფერი გავლენას ხომ არ მოახდენს დიდი პროექტების დაფინანსებაზე?

— თქვენ იცით, ჯერ კიდევ როდის დავიწყე საუბარი „დიდი აბრეშუმის გზაზე". ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსების შესახებ უკვე მიღებულია მსოფლიო ბანკისა და ევროპის ბანკის გადაწყვეტილებები. რა თქმა უნდა, გაითვალისწინეს ჩვენი შუამდგომლობაც, წერილები გავაგზავნე, პირადად ვესაუბრე, სხვა ქვეყნების თხოვნაც იყო — აზერბაიჯანის, ამერიკის შეერთებული შტატების. მეორედ განიხილეს და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება. ეს იქნება მსოფლიოში ყველაზე უფრო გრძელი ნავთობსადენი, დიდი გამტარუნარიანობით, რომელიც საქართველოს ბევრ სიკეთეს მოუტანს.

ამასთან ერთ საკითხს გამოვყოფდი, რომელიც განსაკუთრებით აღინიშნა — ეკოლოგიური მხარე. რა სახის ექსპერტები არ ჩართეს სხვადასხვა ქვეყნიდან, ვერანაირი ნაკლი ვერ მოუძებნეს და დაასკვნეს, რომ ეკოლოგიურად ასეთი საიმედო და უსაფრთხო პროექტი ჯერ არ განუხილავთ.

უახლოეს დროში დღის წესრიგში დადგება დიდი გაზსადენის მშენებლობის დაწყების საკითხი. მე უკვე ვილაპარაკე საქართველოს სრული გაზიფიკაციის შესაძლებლობაზე. ვითარდება „დიდი აბრეშუმის გზა", სახმელეთო და საზღვაო კომუნიკაციები. სწორედ ეს შემოსავლები შეადგენს ერთი წლის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტის თითქმის ნახევარს.

ასი ათასჯერ ვუხდი ბოდიშს, ვისაც პენსია და ხელფასი დავუგვიანეთ, ანდა სიმბოლური პენსია აქვს, მაგრამ ეს გზა უნდა გავიაროთ. ეს პროექტები აუცილებელი იყო საქართველოსათვის. და მე მჯერა, ცოტაც მოვითმინოთ და ჩვენი მოსახლეობა, ქართველი ხალხი, საქართველოს მოქალაქეები ნორმალურად იცხოვრებენ.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ხელისუფლება და პრესა

პირველი გვერდიდან

— ჩემი აზრით, არც ერთი დასახელებული ვარიანტი რეალური არ არის. ამ დღეებში ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოაცხადებს არჩევნების შედეგებს. კონსტიტუცია მავალებს, რომ როგორც კი არჩევნების შედეგები გამოცხადდება, დავნიშნო პარლამენტის პირველი სხდომა. ალბათ, პარლამენტის პირველივე სხდომაზე აირჩევენ საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს, სხვა ხელმძღვანელებს და პარლამენტი ჩვეულებრივი რეჟიმით დაიწყებს მუშაობას. რაც შეეხება პრეზიდენტის წინააღმდეგ წარმართულ კამპანიას, ზოგადი მსჯელობა საქმეს ვერ უშველის... არსებობს კონსტიტუცია და პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის კონსტიტუციური ვადა — 2005 წლის აპრილამდე. თუ პრეზიდენტი თავად არ მოისურვებს გადადგომას, განცხადებას არ დაწერს ამის თაობაზე, მანამდე იგი არ გადადგება. ზოგიერთები შეიძლება იმედგაცრუებულიც კი არიან ამ ფაქტით. ანდა შეიძლება მოითხოვონ პრეზიდენტის იმპიჩმენტი. ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა ან ქვეყანა უნდა დაანგრიოს, ანდა დიდი ცოდვები უნდა ჩაიდინოს. და ეს ყველაფერი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს. არც ერთია მოსალოდნელი და არც მეორე. ჯერჯერობით, რთული სიტუაციის მიუხედავად, პროცესები ქვეყანაში მართვადია.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“: ბატონო პრეზიდენტო, მას შემდეგ, რაც თბილისში ოპოზიციამ საპროტესტო აქციები დაიწყო, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციიდან რაიმე მკაცრი კონკრეტული განცხადება არ გაკეთებულა, არ შემდგარა სატელეფონო საუბარი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან. არ იგულისხმება სახელმწიფო დეპარტამენტის ზოგადი ხასიათის განცხადებები. თქვენ რით ახსნით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დასავლურ პრესაში საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

— ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მხრიდან რეაქცია არ არის მკვეთრად გამოხატული. შესაძლებელია, რაიმე პოზიცია უკვე გამოიხატოს დღის ბოლომდე, დაგეგმილია შეხვედრა ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან რიჩარდ მაილსთან, მგონი, მას აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების წერილი თუ მიმართვა. თუ აქამდე არ იყო ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია, ამ ფაქტს იმით ვხსნი, რომ პარლამენტის არჩევნებამდე ორი დღით ადრე ჩვენ მივიღეთ პრეზიდენტ ბუშის წერილი. ამ წერილში დეტალურად იყო ჩამოყალიბებული ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის რეკომენდაციები, თხოვნა და სურვილი, რომ საქართველოში არჩევნები გაიმართოს დემოკრატიულად, სამართლიანად, კანონიერად. ეს წერილი გამოქვეყნდა პრესაში. თუ კარგად გაეცნობით, ნახავთ, რომ მასში, ფაქტობრივად, არჩევნების შესაძლო შედეგებზეც არის გაკეთებული მინიშნებები. ასევე საკმაოდ ზომიერი და ნორმალური განცხადება გაკეთდა სახელმწიფო დეპარტამენტშიც. შესაძლებელია, კიდევ მივიღოთ რაიმე განცხადებები, შეფასებები და ეს ცნობილი გახდება საზოგადოებისათვის.

რაც შეეხება დასავლეთის სხვა ქვეყნებს, ამ დღეებში შევხვდი ევროგაერთიანების ელჩებს. საკმაოდ კარგი საუბარი გაიმართა. საარჩევნო სიებთან დაკავშირებით ელჩებმა გამოთქვეს საკუთარი აზრი. კერძოდ, მათი თქმით, ჩვენს მიერ კომპიუტერებში შესატანად წარდგენილი საარჩევნო სიები, აბსოლუტურად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, მათ გამოთქვეს კმაყოფილება. მას შემდეგ, რაც სიები კომპიუტერში შეიტანეს, რაღაც გაურკვევლობა მოხდა. ამ პროცესს უცხოური ორგანიზაცია ახორციელებდა. ამიტომაც დაგვჭირდა ხელმეორედ გადამოწმება. მოგეხსენებათ, იტალია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა, სწორედ ამ ელჩის მეთაურობით, ყველა დანარჩენ ელჩს მოვუსმინე. რა თქმა უნდა, იყო ცალკეული კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ არადრამატული. გაიმართა ჩვეულებრივი მეგობრული საუბარი. იყო თხოვნა, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე შეცდომაა დაშვებული, იგი დროულად გამოსწორდეს. ჯერჯერობით ამგვარი განწყობილებაა.

ახლა მთავარია პარლამენტმა დაიწყოს მუშაობა და ძალაში შევიდეს კანონიერი ხელისუფლება, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო.

რადიო „იმედი“: ბატონო პრეზიდენტო, საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი ბოლო ვიზიტი აჭარაში, შემდეგ კი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის შემოვლითი გზებით ვიზიტი რუსეთში, გარკვეულ გარანტიებს უკავშირდება. იგულისხმება, რომ ბათუმმა მიიღო ერთგვარი გარანტიები ოფიციალური თბილისისგან, ხოლო თბილისმა კი — გარკვეული გარანტიები ოფიციალური მოსკოვისგან. რა სახის გარანტიებზეა ლაპარაკი?

— არავითარ გარანტიებზე საუბარი არ ყოფილა. დიდი ხანია, ბატონ ასლან აბაშიძეს ჰქონდა სურვილი, სავსებით კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ჩასულიყო ბაქოში. ამიტომაც თხოვნით მივმართე აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვედროდა ასლან აბაშიძეს. მათ შორის გაიმართა საქმიანი საუბარი. ასევე მოხდა სომხეთში, ბატონ რობერტ ქოჩარიანს ვთხოვე შეხვედროდა ბატონ ასლანს. ხოლო, როცა მოსკოვში გაიმართა ასლან აბაშიძის შეხვედრები კრემლის ადმინისტრაციაში, ამას წინ უსწრებდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სატელეფონო ზარი. მან დამირეკა და მითხრა, რომ კრემლის ადმინისტრაციაში იმყოფება ბატონი ასლან აბაშიძე და თუ საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევდა საჭიროდ და შესაძლებლად, რუსეთის პრეზიდენტი შეხვდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს. როგორც ვიცი, გაიმართა ხანმოკლე შეხვედრა, ბატონმა ასლანმა წერილიც მომწერა ამის თაობაზე. მაქვს ინფორმაცია, რომ აჭარის მოსახლეობა აპირებს მიტინგის გამართვას. ამის მიზეზია რამდენიმე გამონათქვამი, რომელიც შეურაცხმყოფელი იყო ამ რეგიონისათვის.

> **„ულტიმატუმებით საუბარი ჩემთან შეუძლებელია, გამოცდილებაც ამას მკარნახობს და საკუთარი თავმოყვარეობაც. დიალოგი დიალოგია, და თუ ნორმალური დიალოგი გაიმართება, ამას არ გავურბივარ“**

როცა ლაპარაკია რეგიონებზე, განსაკუთრებით, ავტონომიურ რესპუბლიკაზე, ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რაიონებზე, ძალიან დიდი სიფრთხილე და წინდახედულობაა საჭირო. რამდენიმე დღის წინათ შევხვდი ქვემო ქართლის მოსახლეობის წარმომადგენლებს, აქ იყვნენ აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ქართველები... ეს იყო უნიკალური შეხვედრა. ძალიან ვნანობ, რომ მათ ვერ შევხვდი ადგილზე, სადაც 30 ათას კაცამდე იყო შეკრებილი და ელოდებოდნენ ჩემს ჩასვლას. მაგრამ იმ დღეს ჩემი გამგზავრება ქვემო ქართლში არ მოხერხდა. ზოგიერთი სვამს კითხვას: — რატომ უჭერენ მხარს საქართველოს პრეზიდენტს 80-85 პროცენტით, ერთსულოვნად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები? იცით, რა მითხრეს? თავის დროზე, საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ თვეებში 800 ოჯახი გაასახლეს საქართველოდან ყოველგვარი მიზეზის გარეშე. შეხვედრაზე ქვემო ქართლის მოსახლეობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მაშინ ყველა მათგანი ელოდებოდა, რომ გაასახლებდნენ. ხოლო მათი თქმით, საქართველოში პრეზიდენტ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ, ეს შიში მოიხსნა. ისინი ამბობენ, რომ იდეალურ პირობებში არ ცხოვრობენ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისინი ცხოვრობენ როგორც დანარჩენი საქართველოს მოქალაქეები, სწავლობენ სახელმწიფო ენას და კვლავაც ისწავლიან.

მოვუწოდებ ყველას, აჭარასთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილეა საჭირო, ისევე, როგორც სხვა რეგიონებთან დაკავშირებით. ამ რეგიონებში ადამიანები ცხოვრობენ, ისინი ქმნიან პოლიტიკას, ამინდს, შრომობენ და პატივი უნდა ვცეთ მათს აზრს, განწყობილებას.

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, „მოამბე“: ბატონო პრეზიდენტო, თქვენი აზრით, შეხვედრას, რომელიც შესაძლებელია გაიმართოს თქვენსა და რადიკალური ოპოზიციის ლიდერებს შორის, უნდა დაესწრონ თუ არა იმ ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებიც, რომლებმაც პარლამენტის არჩევნებში მოსახლეობის გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვეს?

— არა ვარ დარწმუნებული, გაიმართება თუ არა ამგვარი შეხვედრა. რადიოინტერვიუში უკვე ვთქვი, რამდენიმე დღის წინათ შევთანხმდით რადიკალური ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის თაობაზე. მათი ერთადერთი თხოვნა იყო, რომ ამ შეხვედრას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი დასწრებოდა. იმის უფლება, რომ ქალბატონი ნანა — ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამ შეხვედრაზე მოწვეული არ მქონდა. პირადად დავურეკე ნანა დევდარიანს და ვთხოვე, თუ მისთვის ეს ძალიან მძიმე პროცესი არ იქნებოდა, მონაწილეობა მიეღო ოპოზიციასთან შეხვედრაში. ცესკოს თავმჯდომარე დამთანხმდა, მაგრამ ჩვენ 3 საათზე მეტ ხანს ველოდეთ ოპოზიციის ლიდერებს და ისინი არ მოვიდნენ. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. შეიძლება ისინი ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ, არავის ვადანაშაულებ, შეიძლება ზოგს უნდოდა ამ შეხვედრაზე დასწრება, ზოგს კი — არა, ხდება ხოლმე ასე. ახლა კი რამდენად არის შესაძლებელი ახალი შეხვედრის დანიშვნა, ეს უკვე მათზეა დამოკიდებული. თუ მათ ახალი ულტიმატუმები წამოაყენეს არჩევნებთან ან პარლამენტთან დაკავშირებით — ულტიმატუმებით საუბარი ჩემთან შეუძლებელია, გამოცდილებაც ამას მკარნახობს და საკუთარი თავმოყვარეობაც. დიალოგი დიალოგია, და თუ ნორმალური დიალოგი გაიმართება, ამას არ გავურბივარ.

პირადად, ოპოზიციასთან დიალოგი დავიწყე მაშინ, როცა პარლამენტის წინ გავარვარებული ლავა, დროშების ფრიალი და „გადადექის“ ყვირილი იყო... არ ვიცი, რომელი პრეზიდენტი გააკეთებდა ამას. მივედი პარლამენტთან, 40 წუთი ვიდექი, ვისთანაც შეიძლებოდა დალაპარაკება, დაველაპარაკე. ამ ყვირილის ფონზე ცოტა რთული იყო ლაპარაკი, მაგრამ ვალდებული ვიყავი, იქ მივსულიყავი. ამ ნაბიჯით დავიწყე დიალოგი ოპოზიციასთან, მაგალითი მივეცი... ვაჩვენე, რომ ამგვარ რთულ პირობებშიც კი არ გავურბივარ დიალოგს.

„როსიისკაია გაზეტა“: ბატონო პრეზიდენტო, საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე რუსეთის ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა პუტინმა მკაფიოდ გამოხატეს დიდი დაინტერესება საქართველოში სტაბილურობის დამკვიდრებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ. რა კონკრეტული ფორმით მოელის საქართველო რუსეთისაგან მხარდაჭერას, თუ ქვეყანაში უკიდურესად გამწვავდება მდგომარეობა?

ქართველმა კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ „შრომის დეზერტირები“ უწოდა იმ არშემდგარ ბიოლოგებს, ფიზიკოსებს, იურისტებს, რომლებმაც თავიანთი მწირი პროფესიული შესაძლებლობების ფარგლებში უპირატესობა მიანიჭეს ლიტერატურულ საქმიანობას, რადგანაც შედარებით ფინანსურად მომგებიან და, ამასთან, მარტივ საქმიანობად სწორედ ეს სფერო მოეჩვენათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ვერც მწერლებად გამოდგნენ. თქვენი აზრით, ხომ არ ხდება ამგვარი პრინციპით ქართული პოლიტიკური სპექტრის საკადრო შევსება როგორც ოპოზიციაში, ასევე ხელისუფლებაში?

— მიმაჩნია, უწინარესად, თავად ფაქტი, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სამჯერ დამირეკა და დაინტერესდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებით, ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. მან რამდენჯერმე მკითხა, რა შეიძლება რუსეთმა გააკეთოს ამ ვითარებაში საქართველოსათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული საქართველოს სტაბილურობით. მისი თქმით, არასტაბილური საქართველო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის, კერძოდ კი, სამხრეთი რაიონებისათვის. სხვა სახის დაპირებები რუსეთის პრეზიდენტს არ მოუცია, ერთადერთი, ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთი მზად არის კონკრეტულ საკითხებში დაეხმაროს საქართველოს სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

არ მოვახდენდი კონსტანტინე გამსახურდიას ციტირებას, ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი კონკრეტული მოსაზრება მაქვს. არა მარტო ლიტერატორები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, არამედ ბევრი სხვა პროფესიის ადამიანი, ავად თუ კარგად, ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. ეს ხან კარგია, ხანაც კი — ცუდი, იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი პოლიტიკოსი ვერ გახდა, ზოგიერთი კი — პირიქით, და არცთუ ცუდ პოლიტიკოსებად ჩამოყალიბდნენ. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და საქართველოც არ არის გამონაკლისი. ამგვარი პროცესები სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს, მათ შორის, ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებშიც. ასე რომ, ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შეფასებების გარეშე, ფაქტებით გელაპარაკებით. ფაქტი კი ჩვენს ქვეყანაში ასეთია — ქართულ პოლიტიკაში მოღვაწეობენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, მათგან ზოგიერთი კარგი პოლიტიკოსია, ზოგიც კი — შეუმდგარი.

ტელეკომპანია „მე-9 არხი“: ბატონო პრეზიდენტო, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, გავრცელდა ინფორმაცია სავარაუდო საკადრო ცვლილებების შესახებ. იმ ფონზე, როცა ოქტომბრის ბიუჯეტი 14 მილიონით გაირღვა, წინასწარი მონაცემებით არც ნოემბერშია კარგი მდგომარეობა, აპირებთ თუ არა ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებების განხორციელებას?

— საკადრო ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ქვეყანაში. მაგრამ, ვიდრე პარლამენტი არ შეიკრიბება და არ დაიწყებს მუშაობას, ამ საკადრო ცვლილებების განხორციელებას აზრი არა აქვს. უკვე დანიშნულია იუსტიციისა და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრები. ორი თვე გავიდა და ეს მინისტრები თავიანთ საქმიანობას ვერ შეუდგნენ. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტის განკარგულება ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შედის, როცა პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებს. როცა საკონსტიტუციო ცვლილებებზე და გარკვეულწილად რეფორმებზე ვლაპარაკობ, ერთ-ერთი საკითხი ესეც არის. რუსეთში, უკრაინაში, სხვა ქვეყნებში ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებას ჩვეულებრივად პრეზიდენტები იღებენ. ისინი, რა თქმა უნდა, კონსულტაციებს აწარმოებენ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც პრეზიდენტი იღებს. შეიძლება ქვეყანას იუსტიციის მინისტრი ორი თვე არ ჰყავდეს? ეს ქვეყნისათვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი სამინისტროა. ამიტომაც, ამ ეტაპზე საკადრო ცვლილებების განხორციელება აზრს კარგავს.

„უორლდ სთრით ჯორნალი“: ბატონო პრეზიდენტო, თქვენი აზრით, ის რეფორმისტები, რომლებიც თქვენ ჩამოიყვანეთ საქართველოში, რატომ გამოდიან თქვენს წინააღმდეგ? ნანობთ თუ არა, რომ საერთოდ მოიყვანეთ ეს ხალხი ქართულ პოლიტიკაში?

— უნდა გითხრათ, რომ არც ერთი პოლიტიკოსი არ ჩამომიყვანია. ეს სულ აქაური ახალგაზრდები იყვნენ, ზოგიერთი საკმაოდ ნიჭიერი იყო და ამ ფაქტს ძალიან დიდი ყურადღება მივაქციე. სხვა რა გზა იყო? ან უნდა მომეყვანა ხალხი საბჭოთა რეჟიმიდან, როგორც ვამბობთ, ტოტალიტარული რეჟიმიდან, ან კიდევ კურსი ამეღო ახალგაზრდობაზე. ბევრმა ახალგაზრდამ გაამართლა, ზოგიერთი ჩემს ოპოზიციაში აღმოჩნდა, ძალიან განვიცდი ამ ფაქტს. მაგრამ, გავა დრო და ამას ჩვეულებრივ მოვლენად შეაფასებენ. ამგვარი რამ არა მარტო საქართველოში ხდება, ასეა დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა საქართველოში. ეს ადამიანები არ ჩამომიყვანია, ისინი დამხვდნენ ქართულ პოლიტიკაში, მათ შორის ნიჭიერები კი დავაწინაურე. რამდენიმე ადამიანი ოპოზიციაში გადავიდა, აბსოლუტური უმრავლესობა კი ისევ ჩემს მხარდამჭერად დარჩა, ჩვენ ერთად ვმუშაობთ და პრობლემებს არ ვუქმნით ერთმანეთს. არის ოპოზიციაში 2-3 ახალგაზრდა (არადა, არც ისე ახალგაზრდები არიან, კაცს თუ ჭკუა აქვს, მას 35-38 წლის ასაკში უკვე უნდა ჰქონდეს ეს ჭკუა, თორემ მერე ბევრი არ ემატება)...

გაზეთი „ახალი თაობა“: ბატონო პრეზიდენტო, ერთ-ერთ ინტერვიუში ჯორჯ სოროსმა განაცხადა, რომ ქვეყანაში მთავარი პრობლემა პრეზიდენტია და ეს პრეზიდენტი არის მოსაშორებელი. ცოტა მოგვიანებით მან უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ პრეზიდენტ ბუშის მოსაშორებლად იგი 15 მილიონ დოლარს გამოუყოფს ოპოზიციას. ასევე ცნობილია, რომ უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას საწინააღმდეგოდ იგი აფინანსებდა რადიკალურ ოპოზიციას. ასევე ცნობილია, რომ საქართველოში ოპოზიციური მიტინგების ორგანიზატორები, რამდენიმე ორგანიზაცია სწორედ სოროსის ფონდმა დააფინანსა. ფიქრობთ თუ არა, რომ სოროსმა მოსაშორებელ პრეზიდენტებში თქვენც გიგულისხმათ?

— შეიძლება მიგულისხმა, მაგრამ სოროსიც ხომ პრეზიდენტია, მართალია, არა ქვეყნის, მაგრამ მის მიერვე დაფუძნებული ორგანიზაციისა. სოროსი გაასახლეს რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ზოგიერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნიდან. გადაუმოწმებელი ფაქტებით ლაპარაკი არ შემიძლია, მაგრამ, როგორც ვიცი, სოროსი მართლაც განწყობილია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

იგი ორჯერ ვნახე ნიუ-იორკში, გამოვხატე მადლიერება, რომ მეცნიერებისათვის დააწესა რამდენიმე გრანტი, ეს ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა. მაგრამ ახლა, როცა მან მეტისმეტი მოიწადინა — პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა, ეს უკვე არ არის მისი საქმე. არ ვიცი, ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორ გამოეხმაურებიან სოროსის გამოსვლას პრეზიდენტ ბუშის წინააღმდეგ. მან ისიც თქვა, რომ არა მარტო 15 მილიონ დოლარს გამოყოფდა, არამედ ყველაფერს გაყიდდა, რაც აქვს, ყველა ძალისხმევას იხმარდა, რომ ბუში აღარ იყოს პრეზიდენტი. არც ეს არის მისი საქმე. ჯერჯერობით არ მიფიქრია, დარჩეს თუ არა იგი საქართველოში. მაგრამ თუ სოროსი გააგრძელებს ვიღაც-ვიღაცეების დაფინანსებას ხელისუფლებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუნდაც მხარდამჭერებს აფინანსებდეს — არ არის ეს მისი საქმე. არ გამოვრიცხავ, რომ საქართველომ იგივე გაიმეოროს, რაც მოხდა უკრაინაში, რუსეთში, ბელორუსიაში და სხვა ქვეყნებში.

რუსეთის ტელეკომპანია „ნტვ“: ბატონო პრეზიდენტო, რადიოინტერვიუში განაცხადეთ, რომ მკაცრად დაისჯებიან ისინი, ვინც არჩევნების გაყალბების პროცესში მიიღო მონაწილეობა. ნიშნავს თუ არა, რომ ამ ნაბიჯით ერთგვარ კომპრომისზე ხართ თანახმა. რამდენად გართულდება ეს პროცესი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამომრჩეველთა დაახლოებით 17 პროცენტი საარჩევნო სიებში არ იყო, ხოლო 77 პროცენტი მზად არის მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის ხელმეორე არჩევნებში? მზად ხართ თუ არა, დანიშნოთ ხელმეორე არჩევნები და გააუქმოთ 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები?

მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციური გამოსვლები განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით შეიცვალა...

— უწინარესად, მინდა აღვნიშნო, რომ ბევრ საარჩევნო უბანში, იქ, სადაც არსებობდა ამის საფუძველი, არჩევნების შედეგები გაუქმებულია და დანიშნულია ახალი არჩევნები. რაც შეეხება საარჩევნო ოლქებს, ორ ოლქში — რუსთავსა და ქუთაისში მიდის ხმების გადათვლა და ეს პროცესი იქ ნორმალურად მიმდინარეობს. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, სამტრედიაში მეორე ტური დაინიშნა. ეს არის არჩევნების თანამდევი აბსოლუტურად ნორმალური პროცესები. ადრე უფრო რთული მდგომარეობა იყო, არც ახლაა იდეალური, მაგრამ წინა წლებისაგან განსხვავებით მდგომარეობა გამოსწორდა. პოლიტიკოსები გაიზარდნენ, პოლიტიკური კულტურა ქვეყანაში ამაღლდა, საარჩევნო ტექნოლოგია ავითვისეთ, გამოცდილება შევიძინეთ... ყველაზე დიდი ცოდვა იყო ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომები. ეს საქმე საქართველოს გენერალური პროკურორისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო მეთვალყურეობისა და პასუხისმგებლობის საგანი იყო. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით და გაირკვევა — ვინ არის დამნაშავე. როცა სიების პირველი ვარიანტი განიხილეს, თავად ევროპელი კოლეგებიც ამბობდნენ, რომ ეს იყო იდეალური სიები. მას შემდეგ, რაც ამ სიების დაკომპლექტებაზე სხვა ორგანიზაციაც (ჯერჯერობით საგანგებოდ არ ვასახელებ მის ვინაობას) ჩაერია, შეიტანეს სიები კომპიუტერში, ბევრმა შეცდომამ და დარღვევამ იჩინა თავი. ეს ყველაფერი უნდა გამოვიძიოთ. ვიცი, რომ ზოგიერთები ახლა ნერვიულობენ, გვირჩევენ, რომ სიების პრობლემა აღარ წამოვწიოთ. არა, ეს საქმე ბოლომდე უნდა გამოვიძიოთ, გავარკვიოთ, რა მოხდა! თუ პოლიციას, ან ცენტრალურ აპარატს აქვს დაშვებული შეცდომა, ისინი აგებენ პასუხს, თუ სხვა არის დამნაშავე, იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება იგი, ისიც პასუხს აგებს.

ხელმეორე არჩევნები კი მარტო იმ უბნებში და საარჩევნო ოლქებში გაიმართება, რომლის შესახებაც უკვე მიიღო გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. ქვეყნის მასშტაბით კი ხელმეორე არჩევნები აღარ გაიმართება. ამ დღეებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გამოაქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგებს. კონსტიტუციის თანახმად კი უნდა დაენიშნო პარლამენტის სხდომა.

რაც შეეხება ორიენტაციას, არაერთხელ მითქვამს, ჩვენ ორიენტირებული ვართ მეგობრებზე, იქ სადაც არიან მეგობრები, რომლებიც მხარს გვიჭერენ და გვეხმარებიან. ჩვენ ვამბობდით, რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, გავწყვიტოთ ყველანაირი ურთიერთობა რუსეთთან. ის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა სამჯერ დარეკა და დაინტერესდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებით, აღვითქვა შესაძლო მხარდაჭერა, ნიშნავს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პერსპექტივის გაღრმავებას. მხოლოდ იმით შემოფარგლა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ამის გამო აღარ ვითანამშრომლოთ გერმანიასთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, არ არის მართებული.

ბრიტანული სააგენტო „რეიტერი“: ბატონო პრეზიდენტო, საქართველოში შექმნილი კრიზისი ბევრი პოლიტიკური ექსპერტისა და ანალიტიკოსის აზრით, ჩიხში შევიდა. ერთი მხრივ, თქვენ სთავაზობთ დიალოგს ოპოზიციას, ოპოზიცია კი უკვე აცხადებს, რომ არ სურთ დიალოგის გაგრძელება. მეორე მხრივ, თქვენ ამბობთ, რომ ამ დღეებში ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოაქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგებს და კონსტიტუციის თანახმად უნდა დანიშნოთ ახალი პარლამენტის პირველი სხდომა. ამ შემთხვევაში კი ოპოზიცია მასობრივი გამოსვლებით იმუქრება. ამ გამოსვლებში მონაწილე ხალხი შესაძლებელია იმდენად არც იცავს ოპოზიციის ლიდერთა ინტერესებს, რამდენადაც მძიმე სოციალური ფონის გამო ეწინააღმდეგება არსებულ ხელისუფლებას. თქვენ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, არსებული მდგომარეობიდან რა გამოსავალს ხედავთ?

— გამოსავალი არსებობს, უწინარესად, ეს არის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება. ასევე პარლამენტის სხდომის დანიშვნა, მისი ხელმძღვანელის არჩევა. შემდეგ კი ვაპირებ, როცა ეს შესაძლებელი გახდება, პარლამენტში გამოვიდე მოხსენებით და წარმოვადგინო ჩემი შეხედულებანი. ძალიან მაწუხებს, რომ არ ხერხდება პენსიებისა და შემწეობების დროულად გაცემა. ზოგიერთ პენსიონერს სიმბოლური პენსია — 14 ლარი აქვს. ოპოზიციას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს გადასახადები. როგორ წარმოუდგენიათ მათ პენსიებისა და ხელფასების გაცემა, თუ რკინიგზა გაჩერდება, თუ ყველა საწარმო და ქარხანა მიიღებს გადაწყვეტილებას შეაჩეროს მუშაობა? მიმაჩნია, რომ ამ გზით საქართველო არასდროს ივლის. ჩვენ მოვაწესრიგებთ პრობლემებს მხოლოდ კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში.

„რეიტერი“: ბატონო პრეზიდენტო, ოპოზიცია არ აპირებს უკან დახევას. თუ თქვენ მოიწვევთ პარლამენტს, ოპოზიცია მოიწვევს ხალხს... იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა გამწვავდება, ვინ იკისრებს პასუხისმგებლობას შესაძლო მსხვერპლზე? შესაძლებელია მსხვერპლი მართლაც იყოს...

— მსხვერპლი შეიძლება დემონსტრაციის გარეშეც იყოს, თუ ვინმეს ამის სურვილი აქვს. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ არ იყოს სამოქალაქო დაპირისპირება. უკვე ვთქვი, რომ სამოქალაქო დაპირისპირებიდან სისხლისღვრამდე ერთი ნაბიჯია. ამიტომაც, ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ ყველაფერი მოხდეს კანონის ფარგლებში, პროცესებმა ჩაიაროს მშვიდად. ის ადამიანები, ვინც პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ, მის წინააღმდეგ გამოდიან, ყველა ოპოზიცია როდია. დავასახელე კიდეც ციფრები, სახელისუფლებო ბლოკმა, რომელსაც ვხელმძღვანელობ, არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 20-21 პროცენტი მიიღო. ხმათა დანარჩენი რაოდენობა ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტიკურმა ძალებმა მიიღეს. რა ვქნათ ამ შემთხვევაში? ვფიქრობ, ყველა ოპოზიციურ ძალასთან, ვისთანაც მოლაპარაკება გვაქვს, ნორმალური თანამშრომლობაა, მათთან კი, ვინც ქუჩაშია გამოსული, დიალოგი უნდა გაგრძელდეს. სხვანაირად რთული იქნება. მიმაჩნია, როცა პარლამენტი დაიწყებს მუშაობას, უნდა მიიღოს იმგვარი კანონი, რომ ეს პროცესები მოწესრიგდეს. ძველმა პარლამენტმა ყველაფერი გააკეთა, რომ არსებული კანონები, რომლებიც ამ პროცესებს მოაწესრიგებდა, გაეუქმებინა. ახალმა პარლამენტმა რეალურად უნდა შეაფასოს არსებული მდგომარეობა და მიიღოს ახალი კანონმდებლობა.

საფრანგეთის გაზეთი „მონდი“: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ აღნიშნეთ, რომ მიმდინარეობს ბრძოლა პრეზიდენტის სავარძლისათვის. რა საკითხზე შეგიძლიათ მოილაპარაკოთ ოპოზიციასთან ამ ეტაპზე? მიმდინარეობს თუ არა მსჯელობა სამინისტროების გადანაწილებაზე? გამორიცხავთ თუ არა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ოპოზიციის წარმომადგენლებიც მოვიდნენ?

— მთავრობის ფორმირება ჩვეულებრივი პროცესია. პარლამენტის გარეშე ეს ვერ მოხდება. ალბათ, პარლამენტში გაიმართება დისკუსიები, მსჯელობა, იქნება გამოთქმული ერთგვარი პრეტენზიები, მოთხოვნები. ბუნებრივია, ჩვენ თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ გავითვალისწინებთ რამდენად კანონიერი და სასარგებლო იქნება ესა თუ ის პოლიტიკური ძალა იყოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. თქვენთვის ცნობილია ოპოზიციის მხოლოდ ორი თუ სამი წარმომადგენელი. ოპოზიციაში ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებთანაც შეიძლება დიალოგი. ასე რომ, შესაძლებელია ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი შევიდეს ხელისუფლებაში...

გაზეთი „მონდი“: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელმეორე არჩევნები გაიმართება რამდენიმე საარჩევნო ოლქში. გამორიცხავთ თუ არა, რომ არჩევნები ხელმეორედ გაიმართოს აჭარაშიც?

— აჭარის ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში არჩევნების ხელმეორედ გამართვის საფუძველი არ არსებობს. ახლახან წავიკითხე ბრიტანული ჰელსინკის ჯგუფის პუბლიკაცია, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა აჭარაში საარჩევნო პროცესს. მათი თქმით, მოსახლეობის აქტივობა იყო საკმაოდ მაღალი, იყო ყველა საშუალება იმისათვის, რომ ადამიანებს გაეკეთებინათ არჩევანი. სხვა პრეტენზია მათ არ გამოუთქვამთ. ჩვენ დაველოდებით სხვა მეთვალყურეთა შეფასებებსაც. აჭარაში არჩევნები შედგა. თუ რამდენად დარღვევებით გაიმართა ეს პროცესი, უნდა დაველოდოთ შედეგებს, ადგილობრივ და უცხოელ მეთვალყურეთა შეფასებებს.

გაზეთი „მონდი“: ბატონო პრეზიდენტო, სამომავლოდ ვის ხედავთ თქვენს მემკვიდრედ? რა ტიპის პიროვნება გესახებათ საქართველოს მომავალ პრეზიდენტად?

— ძალიან რთული შეკითხვაა. მსურს, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი უწინარესად იყოს პატიოსანი და წესიერი ადამიანი, განათლებული, პრინციპული, მომთხოვნი და ჰუმანური. ვფიქრობ, შეიძლება ამგვარი ადამიანის პოვნა. ყოველ შემთხვევაში, ახალი პრეზიდენტი ახლანდელ პრეზიდენტს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

გერმანიის გაზეთი: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ აღნიშნეთ, რომ დაშვებული იყო გარკვეული შეცდომები სიებთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, ეს გამოსვლებიც სწორედ ამას უკავშირდება? რა ზომები უნდა მიიღოთ პარლამენტის მოწვევასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის საფუძველზე, როცა ოპოზიცია ითხოვს არჩევნების შედეგების გაუქმებას?

— არსებობს სხვადასხვანაირი მოთხოვნები — სამართლიანი, საფუძვლიანი და არსებობს მხოლოდ მოთხოვნები, რომლებიც არ შეესაბამება კანონსა და კონსტიტუციას. ზოგიერთ საარჩევნო უბანში არჩევნების შედეგები გაუქმდა. შესაბამისმა სტრუქტურებმა დაითვალეს, რომ 80 ათასი ამომრჩევლის ხმა არასწორად იყო გაფორმებული. ამ უბნებში ხელმეორედ დაინიშნა არჩევნები. ორ საარჩევნო ოლქში — ქუთაისსა და რუსთავში მიმდინარეობს ხმების ხელმეორედ დათვლის პროცესი. ვნახოთ, როგორი შედეგი იქნება, მაგრამ ეს არ შეცვლის არსებულ სურათს. თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სადაც ყველა პოლიტიკური ძალაა წარმოდგენილი, გამოქვეყნებული შედეგები საკმარისი იქნება იმისათვის, რომ პარლამენტი შეიკრიბოს, კონსტიტუციური უფლებით დავნიშნავ პარლამენტის სხდომას.

საქინფორმი.

ინფორმაცია

გუშინ სამეგრელოს რაიონებში სიმშვიდე იყო

ზუგდიდში გუშინ დილის საათებიდან სამხარეო ადმინისტრაციის შენობას და ზუგდიდის რაიონის გამგეობის შენობას სამართალდამცველთა რაზმები იცავდნენ ოპოზიციის შესაძლო აგრესიისგან.

გაერთიანებულ ოპოზიციას დილიდან არანაირი საპროტესტო აქცია, გამოსვლა და სახელმწიფო დაწესებულებების პიკეტირება არ ჩაუტარებია. სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები, ისევე როგორც მხარის გუბერნატორი, რაიონის გამგებელი და სხვა ხელმძღვანელი პირები დაუბრკოლებლად შევიდნენ თავიანთ სამუშაო კაბინეტებში.

შს სამხარეო სამმართველოს უფროსი გენერალი ელგუჯა ჯამბურია აცხადებდა, რომ ასეთივე სტაბილური მდგომარეობაა სამეგრელოს სხვა რაიონებშიც. მისი განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები მოაწყობენ დესტაბილიზაციას, პოლიცია იმოქმედებს კანონის ფარგლებში. მან არ გამორიცხა ძალის გამოყენებაც.

გუშინვე ზუგდიდის რაიონის ყველა სკოლაში, რომელთა პედაგოგების უმეტესობა გაფიცული იყო ხელფასების მოთხოვნით, მეცადინეობა განახლდა.

ქუთაისში ქუჩები რამდენიმე წუთში გაიხსნა

გუშინ ქუთაისში 11 საათზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა და „კმარას“ აქტივისტებმა ქალაქის ცენტრალური ქუჩები გადაკეტეს და სიგნალებითა და სტვენით აქცია დაიწყეს. ამით მათ მოსახლეობას ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდეს.

დაპირების მიუხედავად, აქციის მონაწილეებს იმერეთის გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის სამუშაო კაბინეტი არ აუფეთქავთ. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას დილიდან პოლიციის გაძლიერებული დაცვა იცავდა. აქციის მონაწილეებმა ქუჩები რამდენიმე წუთში გახსნეს.

რუსთავში — უექსცესოდ

რუსთავში გუშინდელმა დილამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. ოპოზიციის დაგეგმილი ღონისძიება — ადმინისტრაციული შენობების კარებების აჭედვა, რუსთავში არ შედგა.

რუსთაველ „ნაციონალებს“ და „დემოკრატებს“, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ აქტიურობით, არანაირი აქცია არ წამოუწყიათ. ადმინისტრაციულ შენობაში დაუბრკოლებლად შევიდა მხარის გუბერნატორი ზურაბ კობიაშვილი. რაც შეეხება ქალაქის მერს მერაბ ტყეშელაშვილს, იგი სამსახურში მივლინებაში ყოფნის მიზეზით არ გამოცხადებულა.

ზუსტად 11 საათზე, რუსთავის მერიის წინ, მთავარ მოედანზე ხუთჯვრიანი დროშებით „ნაციონალების“ ექვსი მანქანა შეიკრიბა და გაბმული სიგნალებით ჯერ მოედანს შემოუარეს, შემდეგ კი ქალაქის ცენტრალური ქუჩით „საპატიო წრე“ დაარტყეს.

„ნაციონალების“ აქციას ჟურნალისტების გარდა, რომლებიც მერიის წინ იდგნენ და განსაკუთრებულ მოვლენებს ელოდნენ, არავინ გამოხმაურებია.

რკინიგზის თანამშრომლები არ გაფიცულან

„საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ სიცრუე და დეზინფორმაცია უწოდა გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამოცხადებულ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას რკინიგზის სამტრედიის დეპოს თანამშრომლები შეუერთდნენ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩხაიძემ განაცხადა, გავრცელებული ინფორმაცია სრული სიცრუეა, რადგან ამგვარი რამ არ მომხდარა.

„სამტრედიის დეპოს თანამშრომლები თავიანთი გრაფიკით მუშაობენ და ამგვარი დეზინფორმაციის გავრცელება იმ პოლიტიკურ ძალებს აძლევს ხელს, რომლებიც რკინიგზელთა ამ აქციაში ჩათრევას უშედეგოდ ცდილობენ“, — განაცხადა ჩხაიძემ.

მისი თქმით, ყველა მემანქანე თავის სამუშაო ადგილზეა და უზრუნველყოფს ტვირთების გადაზიდვას. გუშინ „საქართველოს რკინიგზამ“ 30 ტონა ტვირთი გადაზიდა და, როგორც ჩხაიძემ განაცხადა, უკანასკნელ დღეებში, რკინიგზაზე ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით წარმოქმნილი შეფერხება თანდათან სწორდება.

„შუა აზიის ქვეყნებთან ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, რათა მათ ტვირთების გადმოზიდვა საქართველოში არ შეაჩერონ და ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ შესაძლო გართულებების თავიდან აცილებას“, — აღნიშნა ჩხაიძემ.

რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აპირებს სამართალდამცველ ორგანოებს მიმართოს, რათა ასეთი დეზინფორმაციის გავრცელება აღმოიფხვრას.

„რკინიგზის გაჩერება საქართველოს გაჩერებას ნიშნავს“, — აცხადებს ჩხაიძე.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 311. სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2003 წელი

წერილი ამერიკიდან

სეზამ, გაიღე!

ანუ ფიქრები მამონტის მღვიმის კარიბჭესთან

ცნობილი ქართველი სპელეოლოგი და ჟურნალისტი ჯუმბერ ჯიშკარიანი უკვე რამდენიმე წელიწადია ამერიკაში მუშაობს, თუმცა იმ საქმეს, რასაც აქ აკეთებდა, ამერიკაში „ნაღვაწით“ ვერ გადაწონის.

და მაინც, ჯუმბერი იქაც ახერხებს პროფესიული დონის „ამაღლებას“. მან რამდენიმე ათეული წლის წინანდელი ოცნება აისრულა ამერიკის მღვიმეების მონახულებით. დანარჩენს მისი ამერიკიდან გამოგზავნილი ამ წერილით შეიტყობთ.

ოცი წლისა ვიყავი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში რომ მივედი, კარტოგრაფიის განყოფილებაში. ეს იყო 1959 წელს.

ერთი წლით ადრე ინსტიტუტში დაარსებულა კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია, ამ სახის ერთადერთი სტრუქტურული ერთეული ყოფილი საბჭოთა კავშირის აკადემიურ ინსტიტუტებში. ლაბორატორიაში მუშაობდნენ მღვიმეებზე, ბუნებაზე შეყვარებული ადამიანები, ნამდვილი ფანატიკოსები — შალვა ყიფიანი, ზურაბ ტატაშიძე, გურამ თიკანაძე, არსენ ოქროჯანაშვილი, ბორის გერგედავა... მერე გურამ თიკანაძე ფოტოხელოვნებამ გაიტაცა და ჟურნალ „დროშაში“ გადავიდა.

სპელეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობა რომ შემომთავაზეს, სიამოვნებით დავთანხმდი, თუმცა მღვიმე არასოდეს მენახა.

ასე მოვხვდი პირველად იაზონისა და სათაფლიას, ნავენახევისა და საკაჟიას, გოდოგანისა და ქვილიშორის, ყუმისთავის, აბრსკილისა და ოტაპის მღვიმეებში.

მე მღვიმეების აგეგმვა მევალებოდა.

აღმოჩენის სიხარულიც იმავე წელს განვიცადე.

სათაფლიას ნაკრძალის ტერიტორიაზე, ცნობილი მღვიმის მახლობლად, სულგანათლებულმა პეტრე ჭაბუკიანმა მშრალ ხევთან მიგვიყვანა. ხევი კლდესთან იხშობოდა.

ბატონმა პეტრემ თავისი განუყრელი ხელჯოხი ხავსიან ლოდს მიუკაკუნა.

— დანამდვილებით ვიცი, ამ ნაზვავის ქვეშ მღვიმეა, მაგრამ ვერასოდეს მოვიცალე შესასვლელი გამეწმინდა, სცადეთ, იქნებ თქვენ შესძლოთო.

ნესტიანი, ხავსგადაკრული ლოდები გვერდზე გავზიდეთ. ერთ საათში ფსკერზე ხვრელი გაიხსნა, საიდანაც ჰაერი უბერავდა. ამან ძალა შეგვმატა. თავგამოდებით ვეკვეთეთ ლოდებს. ჩასასვლელი იმდენად გავაფართოვეთ, ადამიანი გაეტეოდა.

დაწოლილები წინ გავხოხდით. ვიწრო ხვრელით რამდენიმე მეტრში ნაღვენთებიან დარბაზში აღმოვჩნდით. ფსკერზე კამკამა ნაკადული გაედინებოდა, რომელიც ნაზვავიდან ჟონავდა.

ოთხასი მეტრის სიგრძის მღვიმე ორიოდე საათში ავგეგმე ბორის გერგედავასთან ერთად.

საოცარი გრძნობა დაგვეუფლა, დავაბიჯებდით ტალანებში, სადაც ჩვენამდე ძეხორციელს არ დაედგა ტერფი, არც თვალწინ გადაშლილი ზღაპრული პეიზაჟი ეხილა ვინმეს...

მეორე დღეს, ბატონებმა შალვა ყიფიანმა და ზურაბ ტატაშიძემ თბილისში დეპეშა აფრინეს, — გეოგრაფიის ინსტიტუტის დამაარსებელსა და პირველ დირექტორს, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილს აუწყებდნენ, რომ ახალ მღვიმეს პირველაღმომჩენთა უფლებით გეოგრაფიის ინსტიტუტის სახელი ეწოდა!

იმ წელს ბუნებამ დიდი გამოცდაც მოგვიწყო, — ოჩამჩირის რაიონში, ცნობილი აბრსკილის მღვიმის მახლობლად, ოტაპისთავის მღვიმის ბოლო დარბაზში ძლიერმა წყალდიდობამ მოგვისწრო. მე და არსენ ოქროჯანაშვილს ეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა. დარბაზი ჩვენს თვალწინ სანახევროდ აივსო წყლით! ვიწრო ხვრელი, რომლითაც დარბაზში შევედით, წყალმა დაფარა და ჩაკეტილ სივრცეში აღმოვჩნდით, მაგრამ არსენას გაბედულებამ მიხსნა... მას შემდეგ მღვიმეში წყალდიდობამ რამდენჯერმე მომისწრო, მაგრამ პირველი გაკვეთილი მაინც განსაკუთრებული იყო...

იმ დღიდან მღვიმეები ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მახსოვს, პირველი წიგნი მღვიმეებზე იყო ცნობილი ფრანგი სპელეოლოგის ნორბერ კასტერეს ნაშრომი „ათი წელი მიწის ქვეშ“, რომლის წინასიტყვაობა გამოჩენილმა ქართველმა გეოგრაფმა, მრავალი პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა ლევან მარუაშვილმა დაწერა. იგი ამავე ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

პირველად მაშინ გავიგე ამერიკისა და მსოფლიოს უდიდეს და ულამაზეს — მამონტისა და კარლსბადის მღვიმეებზე.

ექსპედიციიდან დაბრუნებისთანავე კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიაში გადამიყვანეს, სადაც აქამდე ვმუშაობდი.

ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვიარე საქართველოს კარსტული ზოლი — რაჭა და სამაჩაბლო, იმერეთი და სამეგრელო, აფხაზეთის კარსტული მასივები, — არაბიკა, ბზიფი, წებელდა, ფანავი... ასობით მღვიმისა და უფსკრულის შესწავლაში ვიმონაწილეობდი. პირველად ავგეგმე ახალი ათონის მღვიმე, რომელიც მალე კეთილმოეწყო და მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი; საზღვარგარეთაც ვიმოგზაურე. მინახავს პოლონეთისა და ბულგარეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის, უნგრეთისა და იტალიის ულამაზესი მღვიმეები; რა თქმა უნდა, ყირიმის, ურალისა და შორეული აღმოსავლეთის მღვიმეებიც მინახავს, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ოდესმე ამერიკის მღვიმეებსაც თუ ვიხილავდი!

მოხდა სასწაული ჩემთვის! — ორი წლის წინათ გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ზურაბ ტატაშიძისა და იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის, აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილის დახმარებით ამერიკაში ჩამოვედი.

ხომ გრანდიოზულია მიწისზედა ამერიკა, გამაოგნებელი, თავბრუდამხვევი ინფრასტრუქტურით, მაგრამ არანაკლებ გრანდიოზული ყოფილა ამერიკის მიწისქვეშეთი!

ათეულ ათასობით აღრიცხული და გამოკვლეული, ასორმოცზე მეტი კეთილმოწყობილი მღვიმე — აი, ამერიკელ სპელეოლოგთა ნაღვაწი! ამდენი მღვიმე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არაა აღრიცხული! კეთილმოწყობილ მღვიმეებს ყოველწლიურად ასეულთასობით ადამიანი ათვალიერებს. ზოგიერთ მათგანს ეროვნული პარკის სტატუსი აქვს მინიჭებული!

ამერიკის მღვიმეების გაცნობას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ვცდილობ, სურვილი ნაწილობრივ მაინც დავიკმაყოფილო. უკვე მოვინახულე კოპწია „რუბი ფოლსი“ მიწისქვეშა ჩანჩქერით ბოლო დარბაზში და „დაკარგული ზღვის მღვიმე“ — მსოფლიოში ყველაზე დიდი მიწისქვეშა ტბით — ჩატანუგასთან, ტენესის შტატში; შესანიშნავი არქეოლოგიური ძეგლი — „რასელის მღვიმე“ და დიდებული „კათედრალური“ — ალაბამას შტატში; განუმეორებელი ოჰაიოს მღვიმე — შტატის დედაქალაქის, კოლუმბუსის მახლობლად, მაგრამ მამონტის მღვიმის ნახვას ვერა და ვერ ვეღირსე.

როგორც ბიბლიაშია — ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგიღებენ (მათე, 7, 7), და მეც შევთხოვდი უფალს — საქართველოში მამონტის მღვიმის უნახავად ნუ მიმაბრუნებ-მეთქი.

უფალმა ისმინა ჩემი თხოვნა...

დღეს აქ ვარ, მსოფლიოში ყველაზე გრძელი (550 კილომეტრი?!) — მამონტის მღვიმური სისტემის კარიბჭესთან...

რამდენიმე წუთში ასრულდება ჩემი ოცნება!

— გმადლობთ, უფალო!

— სეზამ, გაიღე!

ჯუმბერ ჯიშკარიანი,
კეივ-სიტი, კენტუკის შტატი, აშშ.
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.

მილოცვა თემაში

ამას წინათ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ ზურაბ ტატაშიძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

ბატონმა ზურაბმა ნახევარ საუკუნეზე მეტი საქართველოს მიწისქვეშა სამყაროს შესწავლას შეალია.

იგი დღესაც ჭაბუკური გატაცებით იკვლევს ჩვენი ბუნების „ოქროს ფონდს“ — საქართველოს მღვიმეებს.

ჯანმრთელობასა და სულის სიმხნევეს გისურვებთ, ბატონო ზურაბ!

ღმერთმა ინებოს, ისე დალაგებულიყოს ცხოვრება ჩვენს სამშობლოში, რომ მალე ერთად შევავლოთ თვალი ოჰაიოსა და ლურეის, „რუბი ფოლსისა“ და „კათედრალურის“, მამონტისა და კარლსბადის ფანტასტიკური მღვიმეებისთვის!

დიდი პატივისცემით,
ჯუმბერ ჯიშკარიანი.

რკინიგზა

ვინც იყენებს, მანვე მოუაროს

განშტოებათა შენახვას ყოველწლიურად 16-17 მილიონი ლარი სჭირდება

ბანოჯაში პეტრემ პავლეს რაიმე რომ აწყენინოს, პავლე მაშინვე სამტრედიაში ან ხაშურში გამორბის, დაჯდება რკინიგზის ლიანდაგზე და რომ მოკლა, ვეღარ ააყენებ, გინდა თუ არა, ხელისუფლებამ ჩემი პრობლემები მოაგვაროსო. ვინაიდან ხელისუფლებას პეტრე-პავლეს უთანხმოების გასარკვევად არ სცალია, ზის პავლე, სანამ წვერი არ ამოუვა და მზეწარი არ დაეხვევა, სანამ ცარიელი კუჭი ბუყბუყს არ დაუწყებს, ან ტელევიზიის რომელიმე ენაჭარტალა ჩიტკორესპონდენტი სურათებს არ გადაუღებს, სულაც ფეხებზე ჰკიდია, ამ დროს რამდენი სახალხო მატარებელი ამოვარდება გრაფიკიდან, რამდენ ავადმყოფს დააგვიანდება ექიმთან, დედას — შვილთან, შეყვარებულს — ნანდურთან. პავლემ პეტრეს სწორედ რკინიგზის მეშვეობით უნდა გაუსწოროს ანგარიში! მორჩა და გათავდა!

მიელენ რკინიგზელები, ეხვეწ-ემუდარებიან, რომ მოვცდეთ, პენსიასა და ხელფასს ვეღარ მიიღებ, ჩვენ თუ არ გეცოდებით, შენი თავი მაინც შეიბრალეო, მაგრამ პავლე ყურსაც არ აპარტყუნებს — ჩემი არ გესმით და თქვენი რატომ უნდა გავიგონოო.

ზუსტად ისეა, ცხენზე გაჯავრებულმა უნაგირი რომ დაამტვრია.

მაგრამ უნაგირიც არის და უნაგირიც. ეს „უნაგირი“ — საქართველოს რკინიგზა, აპურებს ათასობით მუშა-მოსამსახურეს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო შემოსავლების 10 პროცენტი შეაქვს. წლეულს, მაგალითად, შენატანები 80 მილიონი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, რკინიგზის ბლოკირება ამგვარი მასშტაბებით კვლავ არ გაგრძელდა.

მაგრამ რკინიგზას მარტო მავანთა გაუგებარი მისწრაფებებისა და პრეტენზიების ნიაღვარი კი არ აწუხებს. არის სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც, ნებას თუ მისცემ, კუდის რიკამდე გაფცქვნის. მხედველობაში მაქვს ფინანსთა სამინისტრო, რომელსაც ყოველწლიურად რკინიგზის საერთო შემოსავლების თითქმის 30 პროცენტი მიაქვს. ამ დროს ქვეყნის ბიუჯეტის ხერხემალს — რკინიგზას არ ჰყოფნის ვაგონ-ცისტერნები და ბევრი სხვა რამაც!

ჰოდა, აბა, რა ჭკუა უნდა მოვკითხოთ პეტრესა თუ პავლეს, როცა სახელმწიფო უწყების გასაჭირი იმავე სახელმწიფოს მეორე უწყებას სულაც არ ადარდებს? თვე არ გავა, ჩვენს გაზეთში ამ და სხვა შეუსაბამობებზე მწვავე კრიტიკული წერილი არ დაიბეჭდოს, მაგრამ რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი, რკინიგზელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება არავის სურს!

კაცმა რომ თქვას, რა უფრო კარგია, სიმდიდრე თუ სიღარიბე? ჩვენს დღევანდელ ყოფას რომ ვუკვირდები, იმ დასკვნამდე მივადივარ, რომ... ლამის ორივე ერთნაირი უბედურებაა. ჯერჯერობით მაინც. სიმდიდრე იმიტომ, რომ, რა ჯოჯოხეთური შრომითაც უნდა იყოს მოპოვებული, ყველა მაინც ეჭვის თვალით უყურებს და ხელს უფათურებს, ეგებ მეც რაიმეს გამოვრჩეო. ამიტომაც გამძაფრდა საზოგადოების სიძულვილი მქონებელთა მიმართ. რაც შეეხება სიღარიბეს... თუმცა, განა დღეს ვინმეს სჭირდება იმის განმარტება, რა ჯანდაბა და დოზანაც არის ეს ოხერი სიღარიბე? ამიტომ, სანამ ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს ცხოვრების ნორმალური პირობები არ შეექმნება, არც უნდობლობა შემცირდება და არც აგრესია. გასაოცარი ის არის, რომ სახელმწიფო სტრუქტურა გამდიდრებულ უწყებებს ხელს კი არ უწყობს, არამედ, პირიქით, უშლის! ამაში ლომის წილი უდევს ყბადაღებულ საგადასახადო კოდექსსაც, რომელსაც დღემდე ვერაფერი მოუხერხეს.

ეს არის ჩამონათვალის არასრული სია, რაც რკინიგზის ხელფეხს უბორკავს და ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევს. შარშან და წლეულს ჩვენს გაზეთში ორჯერ დაიბეჭდა წერილი განშტოებებზე, რომელთა საერთო სიგრძე 744,3 კილომეტრია. **2000 წელს მათ შენახვას 15534,3 ათასი ლარი დასჭირდა, 2001 წელს — 16016,1, 2002 წელს — 17 მილიონი. მარაბდა-ახალქალაქის 160 კილომეტრიანი მონაკვეთი თითქმის არაფერს იძლევა. შარშან ამ განშტოებაზე დაიცალა მხოლოდ 139 ვაგონი, დაახლოებით 8350 ტონა ტვირთი. შემოსავალმა 350 ათას ლარამდე შეადგინა. გასავალმა კი 3 მილიონს გადააჭარბა! სავალალო მდგომარეობაა სხვა მონაკვეთებზეც. მაგალითად, შესტაფონი-საჩხერის 48-კილომეტრიანმა უბანმა 2001 წელს რკინიგზას სულ 435,3 ლარი მისცა, წაღებით კი 2123,9 ათასი წაიღო. როგორია სხვა უბნების მაჩვენებელი? ინებეთ: რიონი-ტყიბული — შესაბამისად 64 და 1270,8; ბროწეულა-წყალტუბო — 317, და 409,6; ხაშური-ვალე — 168,4 და 2333,5; ნატანები-ოზურგეთი — 9 და 537,6; ინგირი-ჯვარი — 2,3 და 424; მარნეული-კაზრეთი — 131,4 და 528,1; დედოფლისწყარო-წნორისწყალი-თელავი — 1843,5 და 3698,9; ხაშური-სურამი — 6,9 და 96,1...**

თუ ამ მონაცემებს შევაჯერებთ, მივიღებთ, რომ განშტოებებმა სულ 2001 წელს რკინიგზას მისცეს 3068,5 ათასი ლარი, თვითონ კი 13889 ათასი ლარით მეტი მოიხმარეს!

იგივე ტენდენციაა 2002 და მიმდინარე წლებშიც.

სსრ კავშირის დროს განშტოებები სრული დატვირთვით მუშაობდნენ და თითქმის ანაზღაურებდნენ მათი შენახვისთვის გაწეულ ხარჯებს, და თუ ვერ ანაზღაურებდნენ, ზარალს ბიუჯეტი ფარავდა. ახლა ეს შესაძლებლობა გამორიცხულია, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკამ სულ სხვა რეალობა შემოგვთავაზა. შპს „საქართველოს რკინიგზაც“ ამ რეალობის წნეხში მოექცა — თავისი შემოსავლებით ცხოვრობს. ამ პირობებში **ქვეყნად არც ერთი უწყება არ შეინახავდა წამგებიან ობიექტს, ვინაიდან ეს წყალში გადაყრილი თანხები იქნებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა მაინც დათმობებზე მიდის, რადგანაც ისინი რეგიონებთან კავშირის ერთ-ერთი საშუალებაა — ხალხს სჭირდება! ამას რკინიგზა საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ აკეთებს.**

არადა, უწყებას ჰაერივით სჭირდება ვაგონ-ცისტერნები, მოსაგვარებელი აქვს უამრავი სხვა პრობლემაც. დიახაც, რომ ის 13-14 მილიონი ლარი წამალივით წაადგებოდა. სავალალო ისიც არის, რომ განშტოებები ამორტიზებულია და მოძრავი შემადგენლობა ზოგიერთ მონაკვეთზე 10-12 კილომეტრ სიჩქარესაც ვერ ავითარებს. ეს ზრდის მომსახურების ხარჯებს. რკინიგზას განშტოებათა რეაბილიტაციისათვის 160-180 მილიონი ლარი მაინც სჭირდება. ცხადია, ბიუჯეტს ამ თანხის გაღების საშუალება არა აქვს, მით უმეტეს — რკინიგზას.

— ***სად არის გამოსავალი?*** — ვკითხე საქართველოს რკინიგზის დირექტორს საერთო საკითხებში **ვახტანგ შენგელიას.**

— დიდი ხანია, რკინიგზის ხელმძღვანელობა აყენებს საკითხს: ან გაიზარდოს ტვირთზიდვის ტარიფები, ან განშტოებებზე ზრუნვა მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა იტვირთონ. ტარიფების გადიდება არაპოპულარული ღონისძიებაა, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიც ქესატად არიან. ზესტაფონი-ჭიათურის უბანზე რკინიგზას ტვირთი საერთო ტარიფით გადააქვს და თითოეულ ტონაზე, სულ ცოტა, 10-12 ლარს ზარალობს, ხოლო თბილისი საკვანძო-დედოფლისწყაროს უბანზე კიდევ უფრო მეტს. როგორც გავარკვიეთ, ზესტაფონის „ფეროშენადნობი“ და დედოფლისწყაროს კირქვის საბადოები, ფაქტობრივად, კერძო მფლობელებს ეკუთვნით. **ამიტომ რკინიგზის ხელმძღვანელობა მოითხოვს, რომ დაიდოს შესაბამისი ხელშეკრულება და კერძო საწარმოებმა ტარიფი თვითღირებულებით გადაიხადონ. თუ ეს პირობა ხელს არ აძლევთ, მაშინ კეთილი ინებონ, იმავე „ფერომ“, დედოფლისწყაროს კირქვის საბადოებმა, მადნეულის „კვარციტმა“ „ჭიათურმანგანუმმა“, „ტყიბულნახშირმა“ განშტოებები შეიძინონ და თვითონ მოუარონ. სხვა გამოსავალი არ არის, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.** ამ ნაბიჯის გადადგმას გვაიძულებს საბაზრო ეკონომიკა, რომლის მოშველიება ჩვენს პარტნიორებს ხშირად უყვართ ხოლმე. საბაზრო ეკონომიკამ ძმაბიჭობა არ იცის, ის ყველასათვის ერთნაირად მკაცრია. ამის უგულებელყოფა რკინიგზისთვის დამღუპველია.

ალბათ, ზემოთ ხსენებული ინსტანციების ხელმძღვანელებს ეს წინადადება არ ეპიტნავებათ, თუმცა კარგად იციან, რომ რკინიგზის მოთხოვნა სამართლიანია. რკინიგზას — ტრასეკას ერთ-ერთ მთავარ ობიექტს, უამრავი პრობლემა აწუხებს და განა უპრიანი არ იქნება, რომ თავისი შემოსავლების გაზრდაზე ამ კუთხითაც იზრუნოს, ის შემოსავლები კი თავისი პრობლემების გადაჭრას მოახმაროს? ვფიქრობ, სავსებით სამართლიანი ლოგიკაა და ხელისუფლებისგან მხარდაჭერას იმსახურებს.

ელგუჯა ლებანიძე.

დღეს — ხვალისათვის

კარგი დასაწყისი მართლაც საქმის ნახევარია

ლაგოდეხელი მეწარმეები — ევროპის ელიტარულ ბაზარზე

ყველა ქვეყნის ბიზნესმენები ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, — აღნიშნეს ახლახან ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში გადამამუშავებელი საწარმოთა ხელშემწყობი პროექტის (SAVE) მეორე ფაზის პრეზენტაციაზე ჩამოსულმა ამერიკელმა, ფრანგმა, გერმანელმა და ქართველმა ბიზნესმენებმა. პროექტს აშშ-ს მთავრობა აფინანსებს და ამავე ქვეყნის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით ხორციელდება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე, USAID-ის კავკასიის მისიის დირექტორი დენი როჯერსტონი, ამავე სააგენტოს ეკონომიკური განვითარების ოფისის დირექტორი ჯერალდ ანდერსონი, პროექტის დირექტორი რიჩარდ ჰიურელბრინკი, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სატყეო დეპარტამენტის, მხარეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, გამგებლები, ადგილობრივი ფერმერები.

წელიწადზე მეტია, რაც აშშ-ს მთავრობამ USAID-ის მეშვეობით საკვები პროდუქტების გადამამუშავებელთა ხელშემწყობი პროექტი დაიწყო. მიაჩნიათ, რომ მისი მეშვეობით, ქართული პროდუქცია კონკურენტიანი გახდება და მოიპოვებს თავის კუთვნილ ადგილს საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე.

არავინ დაობს, რომ საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, — ითქვა შეხვედრაზე, მაგრამ აუცილებელია ამ რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენება, რათა საქართველო გავიდეს საერთაშორისო ბაზრებზე. ამისათვის კვების პროდუქტების ქართველ მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს დახმარება სჭირდებათ, რათა უკეთ გაეცნონ ბაზარს და შესაბამისად უპასუხონ მის მოთხოვნებს.

ქართველი ჟურნალისტებისთვის მეტად საინტერესო იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ SAVE-ს შექმნის ერთადერთი მიზანია, დააჩქაროს საქართველოს ეკონომიკური ზრდა, უცხოელ პარტნიორთა სურვილია, დაეხმარონ საქართველოს აგრობიზნესში მომუშავე კომპანიებს, რათა ისინი კონკურენტიანნი გახდნენ და საგარეო ბაზარზე მაღალი ხარისხის პროდუქტების საიმედო მიმწოდებელთა რეპუტაცია შეექმნათ. ეს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას დააჩქარებს. მაგალითისათვის: საქართველოში უმაღლესი ხარისხის წაბლის არსებობის მიუხედავად, მისი ორგანიზებული შეგროვების, გარჩევის, დახარისხების, მარკეტინგისა და ტრანსპორტირების შესაძლებლობა დღემდე არასდროს ყოფილა განხილული.

ახალი პროექტის თანახმად მიხედვით მოხდა პროდუქტების და ბაზრების საერთო შესწავლა, ის პროდუქტები შეირჩა, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, ამჟამად პროექტი გადადის მეორე ფაზაში, რომლის განმავლობაშიც დაგეგმილია თანამშრომლობა უშუალოდ აგრობიზნესის სექტორში მომუშავე ქართულ კომპანიებთან და ინდივიდუალურ მეწარმეებთან იმ პროდუქტებისა და ბაზრების განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც სწორედ პირველი კვლევის ფაზაში შეირჩა.

ამჟამად დაწყებულია ქართული წაბლის ორგანიზაციული შეგროვება, გადარჩევა, დახარისხება და მარკეტინგი. საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ცნობით, საქართველოში დაახლოებით 150 000 ჰექტარი ტყეებს უჭირავს. მასში ბევრია წაბლის მსხმოიარე ხეები, კახეთიდან აჭარამდე გადაჭიმულ ტყეებში სექტემბრიდან დეკემბრამდე გრძელდება მოსავლის აღება.

ის, რომ საერთაშორისო ბაზარზე ქართული წაბლი გააქვთ, ეს ამ პროექტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. ამ წამოწყების მიზანია წაბლის შემგროვებელთა ასოციაციის ჩამოყალიბება და შემდგომში მისი ახალი, ელიტარული საექსპორტო ბაზრის წარმომადგენელ მყიდველთან დაკავშირება. გარდა ამისა, მოცემული საქმიანობის შედეგად იმედოვნებენ, რომ მოშორებულ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის შემოსავალიც გაიზრდება და არა მარტო წლეულს.

როგორც აქ, ნინიგორში, ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნა, ისინი სიხარულით შეხვდნენ ჩვენი წაბლის გადამუშავების და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ამ შესაძლებლობას.

— დღეში 30 კილოგრამამდე წაბლს ვაგროვებთ, ანაზღაურება ჩვენთვის მისაღებია, ეს თითოეული ჩვენი ოჯახის დამატებითი შემოსავალია, რაც ურიგო არ არის, — თქვა ჩემთან საუბარში ნინიგორელმა ლია ბარბაქაძემ.

— მთელი ოჯახი ვმონაწილეობთ ტყეში წაბლის შეგროვებაში, მადლობა ამერიკულ მხარეს, რომელიც ცდილობს, რომ ყოველმხრივ დაგვეხმაროს, — თქვეს მანანა შველიძემ და გოგუცა გოზალიშვილმა.

— იმედი მაქვს, რომ გადამუშავებული პროდუქტების რაოდენობა მნიშვნელოვნად და სწრაფად გაიზრდება. შევხედით ადგილობრივ მოსახლეობას, ვიცით მათი განწყობა, ეს კი გვაძლევს რწმენას, რომ კახეთში ყოველნაირი შესაძლებლობა არსებობს ანალოგიური პროგრამების განსახორციელებლად, — თქვა USAID-ის ეკონომიკური განვითარების ოფისის დირექტორმა ჯერალდ ანდერსონმა და დასძინა, რომ საქართველო, მართალია, დღეს ღარიბია, მაგრამ მალე მდიდარი იქნება, და ეს, უპირველესად, ქართველებმა უნდა გააკეთოთო.

მოწვეული სტუმრები ადგილობრივი ასოციაციასა და ევროპულ კომპანიას შორის დადებული გარიგების მოწმენი გავხდით.

ერთ-ერთმა ფრანგულმა ფირმამ წინასწარ დადებული ხელშეკრულების თანახმად, 100 ტონა წაბლის წაღება გადაწყვიტა ევროპაში.

„ფრანგებს ძალიან უყვართ წაბლი, ასევე ამერიკელებს, ყველაზე საინტერესოა, რომ საშობაო სიმღერა ამერიკაში სწორედ წაბლს ეხება“, — თქვა უცხოელმა პარტნიორმა.

აი, რა კომენტარი გაუკეთა ამ შეხვედრას **საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ.**

— ამ დღეს ნამდვილად მოუთმენლად ველოდით ყველანი, არცთუ დიდი დრო გავიდა, რაც პირველი ხელშეკრულება გავაფორმეთ და აი, დღეს უკვე ფაქტის წინაშე ვართ. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი 100 ტონა წაბლის ექსპორტი? მოსახლეობის უმეტესობას მცირე ნაკვეთი აქვს, შემოსავალსაც მხოლოდ თავისი ოჯახისთვის თუ გამოიყენებს. ნებისმიერი ალტერნატიული წყარო დამატებითი შემოსავლის მიღებისა და დასაქმებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება. გარდა ამისა, ტყის უკანონო ჭრაც სერიოზული პრობლემაა. თუ ეს პროექტი ფრთებს შეისხამს, ტყის მოვლაზე დამატებითი ღონისძიებები საჭირო აღარც იქნება, თვითონ აქაურები დაიცავენ ტყეს.

იმედი მაქვს, ქართული ორგანული წაბლი ევროპული ოჯახის სადღესასწაულო სუფრას აუცილებლად დაამშვენებს, — დასძინა მინისტრმა.

საინტერესო იყო წაბლის შემგროვებელთა ასოციაციის წარმომადგენლის **პაატა კულოშვილის** გამოსვლაც:

— სოფელ ნინიგორისა და ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების სხვა სოფლების მოსახლეობა, ვინც წაბლის ხეებით გაშენებულ ზოლში ცხოვრობს, დიდი ხანია, წაბლს აგროვებს საკუთარი მოხმარებისა და გაყიდვის მიზნით. ზუსტად არ ვიცით, ნორმალური ნალექიანობის პირობებში რამდენ ტონა წაბლს იძლევა ჩვენი ტყეები წელიწადში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შევძლებთ დაახლოებით 200 ტონა წაბლის შეგროვებასა და ბაზარზე გატანას. გვესმის, რომ წელს, ევროპული მყიდველისათვის საქართველოში წარმოებული წაბლის მიყიდვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია და მომავალში ჩვენი პროდუქტის ფასი მოიმატებს, თუ წაბლს ზომის მიხედვით დავახარისხებთ და უკეთაც შევინახავთ, დარწმუნებული ვარ, კახეთში შეგროვებული წაბლის ღირებულება კიდევ უფრო გაიზრდება. მით უმეტეს, როცა მყიდველები გაიგებენ, რომ ეს პროდუქტი 100 პროცენტით ორგანულია. ჩვენ უკვე ვაყალიბებთ კახეთის წაბლის შეგროვებისა და მარკეტინგის ასოციაციას, რომელიც თავის წევრებს შეგროვებული წაბლის დახარისხებაში, მოსავლის შემდგომ პერიოდში აუცილებელ მოვლასა და ბაზარზე გატანაში დაეხმარება. ასოციაცია დაეხმარება თავის წევრებს პროდუქტის ორგანულობის დამადასტურებელი სერტიფიკატების მოპოვებაში (სერტიფიკატებს გასცემს ახლად დაარსებული ორგანიზაცია „კავკასსერთი“). გარდა ამისა, ასოციაცია იბრძოლებს წაბლის წარმოების მდგრადობაზე. ის ყველა ღონეს იხმარს ტყეების დასაცავად და შეეცდება თავიდან აიცილოს წაბლის ხეების ჩეხვა კომერციული მიზნებისთვის.

ვიცით, რომ წაბლი სწრაფი გამდიდრების საშუალება არ არის. ევროპელმა მყიდველებმა და ამერიკული პროექტის — SAVE წარმომადგენლებმა ნათლად განგვიმარტეს, რომ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რათა არ გავამტყუნოთ ბაზრის მოლოდინი მდარე ხარისხის პროდუქტის მიწოდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, წლევანდელი რეალიზაცია მხოლოდ ერთჯერად ღონისძიებად დარჩება, შელახული რეპუტაციის აღსადგენად კი მრავალი წლის შრომა დაგვჭირდება.

ასოციაცია იზრუნებს, რომ მისმა ყველა წევრმა კარგად გააცნობიეროს ეს. შევეცდებით, რომ დავამკვიდროთ ჩვენი საფირმო ნიშანი და მივაღწიოთ ევროპულ სტანდარტებს. ევროპელ მყიდველს უნდა ჰქონდეს იმედი, რომ მიწოდებული პროდუქცია შეკვეთის შესაბამისი იქნება. ამერიკული პროექტი კონსულტაციებს გაგვიწევს და ყოველივე ზემოთქმულის მიღწევაში დაგვეხმარება, ვიმედოვნებთ, რომ ასოციაციას ექნება პოტენციალი, რითაც თავის წევრებს მაქსიმალურად დაეხმარება ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელი პრობლემების დაძლევაში.

— მაშ ასე, დღეს წაბლი, ხვალ და სამომავლოდ — დანარჩენი...

ნაზი იმნაიშვილი.
თბილისი-ლაგოდეხი.

სატკივარი

გვიშველეთ

ქსანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებაა მცხეთის რაიონში, რომელსაც თავისი სამრეწველო პოტენციალით გარკვეული წვლილი შეაქვს ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებაში.

აქ მდებარეობს ენერგეტიკის უმსხვილესი ობიექტი, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მაღალი ძაბვის 500 კვ-იანი ქვესადგური, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს თბილისისა და მთლიანად საქართველოს ენერგომომარაგებას.

ქსანშია, აგრეთვე, საქართველოში ერთადერთი მინის მწარმოებელი ქარხანა, რომელიც ასევე ბიუჯეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, დღეს იქ არსებული ატმოსფერო ამ საწარმოებში მომსახურე პერსონალსა და მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. საუბარი ეხება სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ ორ კოლონიას. ადრე მათ საზოგადოება იცნობდა, როგორც შრომა-გასწორების დაწესებულებებს, რომელთაგან ერთ-ერთი კოლონია — საავადმყოფო იყო, სადაც ძირითადად ტუბერკულიოზით დაავადებული პატიმრები იხდიდნენ სასჯელს. დღეს ეს დაწესებულებები ეკუთვნის იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებით დეპარტამენტს. სოფლის მოსახლების მოთხოვნით დღის წესრიგში დადგა ტუბდაწესებულების სოფლის ტერიტორიიდან გატანა. მათი ეს მოთხოვნა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მაგრამ...

ამ პრობლემამ, ჩვენი დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე, განსაკუთრებით თავი მწვავედ დღეს იჩინა.

საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ აქაური მოზარდი თაობის კოხის ჩხირზე ტესტირების გავლის შედეგად მაღალი სარისკო მაჩვენებლები დაფიქსირდა, აღნიშნული მდგომარეობა კი, ძირითადად, ტუბზონის ამ ტერიტორიაზე არსებობითაა განპირობებული. ამ ფონზე განსაკუთრებით საგანგაშოა საავადმყოფოდან გამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც, რა თქმა უნდა, დაინფიცირებულია. ეს ნარჩენები კი პირდაპირ საძოვრებსა და მინდვრებზე იყრება, სადაც არც თერმულ-ქიმიურად მუშავდება და არც კონსერვდება.

განსაკუთრებულ საშიშროებას იგი მაინც სოფლის მსხვილფეხა საქონელს უქმნის, რომელიც ამ ნაგავს ყოველდღე ქექავს, ხოლო მისი ხორცით ისევ მოსახლეობა იკვებება.

ვინ არის ყოველივე ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი წვლილი, უპირველესად, რაიონის ხელმძღვანელობას მიუძღვის, რომელთაც ეს პრობლემა, ეტყობა, მაინცდამაინც არ აწუხებთ. სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი ანდაზა: ვისაც არ სურს, რიყეზე ისე გაივლის, ქვას არ დაინახავსო.

ნინო ალავერდაშვილი,
ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მიყვარხარ, მთაო, ტიალო...

მთაში რომ დარჩეს მთიელი...

ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი, თუშეთი და დანარჩენი მთიანეთი კარგა ხანია მწვავე დემოგრაფიულ ზონად გამოცხადდა, მაგრამ რატომღა ვრცელდება სეკვესტრი ამ ზონებზე ისევე, როგორც სხვაგან, რა საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობა, თუკი ყველაფერი ისევ აქაური მოსახლეობის გარეშე გადაწყდება?

უმძიმესი სოციალური მდგომარეობაა მთებში. ხალხი იძულებულია აიყაროს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან. ეს კი გადამთიელებისთვის მთების მიტაცების რეალური საშუალება გახდება.

ვისაც დაავიწყდა, მინდა შევახსენო, რომ რუსულ ბოლშევიზმს XX საუკუნის ოციან წლებში დიდი უბედურება აქვს დატრიალებული ხევსურეთში. ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის რაზმს შეუერთდნენ ხევსურები და მაშინდელ ხელისუფლებას სერიოზული შეიარაღებული წინააღმდეგობაც გაუწიეს, მაგრამ, ქართველების ღალატითა და დახმარებით, მაშინაც დამარცხდა ეროვნული მოძრაობა. გუდამაყრის მხრიდან შემოსულმა საჯარისო ნაწილებმა, საჩალის მთაზე ცხენებით აიტანეს ზარბაზნები, ტყვია-წამალი, სურსათ-სანოვაგე, აიღეს ყველა მაღლობი და აქედან დაბომბეს და გადაწვეს ახლო-მახლო მდებარე სოფლები: აჭეხა, უკანახო, ბუზუკურთა, უბანი, ოხერხევი, აკუშო. ზოგიერთი სოფელი არ დაუბომბავთ, მაგრამ ბარბაროსულად დაარბიეს.

შატილი სამხრეთის მხრიდან.

ხევსურეთის ზღუდე-საზღვარი რომ არ მოიშალ-მოღიავდეს!


არდოტი, მურღვას სახლი.

ძველად ხევსურეთში არ არსებობდა სოციალური ფენები. ამის საშუალებას არ იძლეოდა მისი მკაცრი რელიეფი და კლიმატი. სამაგიეროდ, არსებობდა ხევისბერისა და თემის ინსტიტუტები, რაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა „კომუნის“ ინსტიტუტებს არაფრით ჩამოუვარდებოდა, პირიქით, იგი დემოკრატიის თანამედროვე მოთხოვნილებებსა და პრინციპებს უფრო მაღალ დონეზე პასუხობდა. აქედან გამომდინარე, ხევსური კაცისთვის ყველაზე ძვირფასი განძი თავისუფლებაა, საკუთარი მიწა-წყალია, ყველაფერი, ის რასაც ხევსურეთი და... საქართველო ჰქვია.

გვესაუბრება ხევსურეთის თემთა საკრებულოს გამგებელი მირზა ჭინჭარაული:

— ყველაფრის თავი და თავი ხევსურეთში მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირეა, მაგრამ შესაძლებელია გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩვენს ყოფას ამ სიდუხჭირიდან გამოიყვანენ.

როცა გამგებლად მუშაობას ვიწყებდი, იყო დიდი დაპირებები, იმედი, ჩაფიქრებული გვქონდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ხევსურეთში ენერგეტიკული საკითხები საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო, ეს კი გამოასწორებდა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ცნობილია, რომ ხევსურები ძალიან თავმოყვარენი არიან, ეს რომ ილახება, ზოგიერთი უარს ამბობს სიცოცხლეზეც კი და თავს იკლავს. სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში თვითმკვლელობები გახშირდა.

ელექტროენერგიას ჟინვალჰესიდან ვიღებთ, გვაქვს არაპირდაპირი ხაზი. ეს კი შემდეგნაირად ხდება: ელექტროენერგია ჟინვალიდან ჯერ თიანეთში გადაიცემა, იქიდან თვალივში, თვალივიდან კი ჩვენ მოგვეწოდება.

წლების განმავლობაში ჩვენთან და ფშავში ელექტროენერგიით მომარაგების მუდმივი პრობლემაა. ყველაზე ცუდად ფშავ-ხევსურეთს მიეწოდებოდა. ეს ორი კუთხე 2002 წლის აგვისტოდან 2003 წლის მაისამდე თითქმის მთლიანად იყო ჩაბნელებული. ზოგჯერ, ღამის 12 საათიდან თუ მოგვაწოდებდნენ. ამას მთელი მოსახლეობა დაადასტურებს. ჩემი ადგილობრივი გამგებლობის განმავლობაში ასეთი მძიმე ზამთარი ხევსურეთს არ გადაუტანია.

ამის შესახებ გუბერნატორს მივმართე, პრეზიდენტის განკარგულებით ჩვენი ელექტროგადამცემი ხაზი (მაღაროსკარი II) არ უნდა გამორთულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ფშავ-ხევსურეთი უფრო ჩაბნელდა. დასაფიქრებელი ფაქტია, და გამოსარკვევი, თუ ვინ და რატომ არ შეასრულა პრეზიდენტის ბრძანებულება. ეს არა მარტო მე, მოსახლეობასაც აინტერესებს. იგივე მდგომარეობაა ახლაც... ფშავ-ხევსურეთისთვის საჭიროა 400 კვტ-მდე ელექტროენერგია. როგორც ცნობილია, ჟინვალჰესი გამოიმუშავებს 130 მეგავატს. იქ დგას 4 ტურბინა 32,5 მეგავატიანი. ეს ენერგია ფშავ-ხევსურეთისა და მთელი გუდამაყრის ხარჯზე მიიღება.

ჟინვალჰესმა უზარმაზარი ტერიტორია დატბორა, შეცვალა მიკროკლიმატი (თუ არ გავიზიარებთ დაქირავებული ექსპერტებისა და მეცნიერების აზრს), რამდენიმე კილომეტრით დააგრძელა ფშავ-ხევსურეთის საავტომობილო გზა. ამჟამად ეს გზა არის ურთულესი, ზამთრის პერიოდში ძალზე სახიფათო და ამის გაუთვალისწინებლობა ხელისუფლების მხრიდან გულსატკენი და მიუღებელია.

ჩვენი პრობლემების შესახებ მივმართე სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს. წერილს ხელს აწერდა 145 კაცი და მთელი საკრებულო. მისგან არც პასუხი მიგვიღია და არც რაიმე რეაგირება მოჰყოლია.

ხევსურეთში მუშაობს სოფლის მეურნეობის საერთაშორისო განვითარების პროგრამა „იფადის“ სახელწოდებით. ამ პროგრამით, როგორც გამონაკლისი, ხევსურეთში უნდა გადაწყვეტილიყო ენერგეტიკული პრობლემა. ჩვენი მიმართვის შემდეგ, პრეზიდენტმა განკარგულება გასცა, რომ მდინარე როშკის წყალზე აშენებულიყო მცირე 0,5 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

ეს მშენებლობაც უკვე ჩიხში მოექცა და დღემდე არ დაწყებულა, ჯერ ქვა-ქვაზე არ დადებულა. თუმცა, მზად გვაქვს რკინაბეტონის სხვადასხვა კონსტრუქციები, ხეტყე, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი, რომლის მომზადებაშიც დაგვეხმარა თბილისის მერიის ენერგოსამსახურის უფროსი თემურ ჭინჭარაული და საქართველოს მთების მოყვარულთა კავშირის თავმჯდომარე ჯუმბერ ხანთაძე, მხარი დაგვიჭირა ქალბატონმა მარინა მოლოდინმაც.

„იფადსა“ და მთავრობას შორის სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, ჩვენი მთავრობის დასაფინანსებელი იყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის 45 პროცენტი, ხოლო 55 პროცენტი „იფადს“ უნდა დაეფინანსებინა.

დაახლოებით 30 პროცენტი სამუშაოებისა, შესაძლებელია ხევსურეთის თემთა საკრებულომ შეასრულოს. სამუშაოები აპრილის ბოლოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რატომღაც გაჭიანურდა. არ გვაქვს რადიოხაზი კორშა-ბარისახოს გარდა და პირველი არხის გადაცემები ვერც ერთ სოფელში ვერ აღწევს, არ გვაქვს სატელეფონო კავშირი, არ ფინანსდება ადგილობრივი საავტომობილო გზები, ეს კი იწვევს ხევსურეთის გაუკაცრიელებას. სახელმწიფო დეპარტამენტის განკარგულების გარეშე, ადგილობრივი საგზაო უბანი უძლურია შეასრულოს მიმდინარე სამუშაოები. საგზაო დეპარტამენტს „შპს საგზაო-19“-ისთვის არ გაუსტუმრებია ძველი დავალიანება — 40 ათასი ლარის ოდენობით და არ გაუცია ერთი წლის ხელფასი, რაც იწვევს ადგილობრივი საგზაო უბნის ქმედუნარიანობის დაქვეითებას.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხევსურეთი დატოვა 50-ზე მეტმა ოჯახმა. წლეულს, ზამთრის პერიოდში განახევრდება საზღვრისპირეთის, არხოტისა და მიღმა ხევის სოფლები. მართალია, აქაური გზები ერთხანს მოწესრიგდა, მაგრამ სტიქიის გამო ხშირად საჭიროებს გაწმენდას. თუ ასე გაგრძელდა და არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები, არ მივაქციეთ საგანგებო ყურადღება, ხევსურეთის მაღალმთიანეთს და საზღვრისპირეთს, სულ ცოტა ხანში ხევსურეთში დარჩება ორი დასახლებული პუნქტი — ბარისახო და შატილი. თუმცა, აქაც საკმაოდ ბევრი პრობლემა გვაქვს.

არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ არხოტის თემის მოსახლეობის ადგილზე დასამაგრებლად საჭიროა საავტომობილო გზების გაყვანა, რადგან ვერტმფრენით ხშირად ვერ სარგებლობს ჩვენი მოსახლეობა. მგზავრობა ზარალიანია როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მოსახლეობისთვის. ადამიანები მთელი კვირის განმავლობაში ამაოდ ელიან ვერტმფრენს... ამ პრობლემებმა იმ ზომამდე მიმიყვანა, უარს ვამბობ გამგებლობაზე. რისთვის მოვაცდინო ადგილი...

გოდერძი ჭინჭარაული — ხევსურეთის თემთა საკრებულოს წევრი, იურისტი: მე გუდანიდან ვარ, პირაქეთა ხევსურეთში გუდანი და როშკალა დარჩა დასახლებული სოფლები. ჩემს თვალწინ უკვე ოცი სოფელი დაიცალა. აქედან მხოლოდ სააგარაკოდ ათ სოფელში ბრუნდებიან, ათი სოფელი ნასოფლარად იქცა.

როგორც იცით, მიგრაციის თავი და თავი მძიმე სოციალური პრობლემებია, უგზოობა, უმუშევრობა და ა. შ. მესამე წელია რადიოს ხმაც კი სანატრელი გაგვიხდა. ამ ფონზე ჩვენთვის ერთადერთ წინგადადგმულ ნაბიჯად ვთვლით სასაზღვრო რაზმ „ხევსურეთის“ ჩამოყალიბებას. რაზმში ყველას სტაბილური ხელფასი აქვს.

2002 წელს ბატონ ბადრი პატარკაციშვილს ჰესის მშენებლობის პროექტი მივაწოდეთ. იქნებ, ამ ცნობილმა ქველმოქმედმა ჩვენკენაც მოიხედოს.

ზვიად ლიქოკელი — ბარისახოს მცხოვრები: — ბარისახოში ჭიდაობა ძიუდოს სექცია მუშაობს, რომელიც საკრებულოს ბიუჯეტზეა. სპორტული ბაზა ოცდახუთი წლის წინანდელი ლეიბებით სარგებლობს. არ არის ლეიბის გადასაფარებლები, არ გვყოფნის საჭიდაო ჩოხები, დარბაზი თითქმის დანგრეულია და ავარიული.

* * *

პირიქითა ხევსურეთი მთავარი წყალგამყოფი მთაგრეხილის ჩრდილოეთ კალთებზე მოქცეულა. პირაქეთა ხევსურეთთან ერთად იგი კავკასიონზე ხურჯინივით გადაკიდებულა. კლდე-ქარაფებს მიკრული სოფელ-სიმაგრეები დიდი წვალებით და ჭაპანწყვეტით აუგიათ. რომ არა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის მთიან გაყოლებაზე ფორპოსტ-ციხეთა და მამაც მეციხოვნეთა თავდადებული ბრძოლა ჩრდილოელ დამპყრობლებთან, საქართველოს ბარი სულ წაილეკებოდა.

დღეს პირიქითა ხევსურეთი ფიჭვენის დროებით წაგლეჯის გარდა, საქართველოს ზღუდემოურღვეველ მონაკვეთად რჩება. თუმცა, მაინც იგრძნობა აქაურების თვალებიდან ჩვენი ქვეყნის დღევანდელი, არასტაბილური მდგომარეობის ანარეკლი. ბომბდამშენებისგან აქაური საჰაერო სივრცის არაერთხელ გადმოლახვამაც, ყოველ მათგანს მყუდროება დაუკარგა.

ბინდდებოდა ქაჩუს ციხის ზღურბლს რომ გავცდით, შატილიც გამოჩნდა და... ძველი კოშკებიდან ერთში შუქი ენთო... მე, ჟურნალისტი, პოეტი თამარ შაიშმელაშვილი და ჩემი თანამგზავრი ზაქრო ჯაჭვაძე სიხარულით ავივსეთ.

რა თქმა უნდა, აქაური სკოლა-ინტერნატით დავინტერესდით... გვესაუბრება **მასწავლებელი ზვია წიკლაური-ჭინჭარაული:**

— შატილში საშუალო სკოლა 1991 წელს გაიხსნა, მანამდე დაწყებითი კლასები იყო. შატილისა თუ პირიქითა ხევსურეთის ყმაწვილები ბარისახოს სკოლა-ინტერნატში სწავლობდნენ. შატილში დაწყებითი სკოლა საშუალო სკოლა-ინტერნატად ირაკლი (ხამურზა) ჭინჭარაულის ძალისხმევით გადაკეთებული. მისი დირექტორია შოთა (აპარეკა) ჭინჭარაული.

ჩვენთან ოცდაათი მოსწავლე ირიცხება. ცამეტი მასწავლებელია. სკოლის შენობა 2000 წელს დაიწვა, გადარჩა მხოლოდ ერთი, ფინური ხის ნაგებობა, სადაც განთავსებულია სასადილო და სამზარეულო. სასწავლო კორპუსი და საძინებელი ოთახები სულ განადგურდა. დაწყებითი კლასები სასადილო ოთახშია განთავსებული, სხვა დანარჩენი შატილის სამი უბნის — ვაკისუბნის, გორისუბნის და ახალი დასახლების დაქირავებულ საცხოვრებელ სახლებში.

მიზეზს რა დალევს?..

სწავლის ხარისხი დაბალია იმის გამო, რომ შატილის დასახლებაში მიმოფანტულია საკლასო ოთახები, ყმაწვილებსა და მასწავლებლებს უხდებათ გადარბენ-გადმორბენა, სკოლა-ინტერნატის შენობა კვლავ აღუდგენელია.

სკოლის მშენებლობისათვის მოეწყო ტენდერი, რათა პირველი სართულის მშენებლობა დასრულებულიყო. ამისთვის პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხის ნაწილი მიზნობრივად გაიხარჯა, სკოლის მშენებლობას ხელისშემშლელი მიზეზი გაუჩნდა და შუა გზაზე გაჩერდა. შატილიველები დღემდე ელოდებიან მშენებლობის გაგრძელებას.

შატილის გამგებელი ნოდარ ჭინჭარაული:

— ჩვენი უმთავრესი გასაჭირი კვლავ უგზოობაა. მიღმა ხევიანად ჩვენს ხეობაში ზამთარ-ზაფხულ 60 კომლია. მძიმე პირობების გამო სოფლები თანდათან იცლება. ორიოდე წლის წინათ 70 კომლი იყო. ზამთრის განმავლობაში, როცა უღელტეხილი იკეტება და ყოველგვარი მიმოსვლა წყდება, ღვთისანაბარად ვრჩებით გარესამყაროსთან. სწორედ ამის გამო დაიცალა სოფლები. არჭილოში, ლებაისკარში, კისტანში აღარავინ დარჩა. ამას ეკონომიკური სიდუხჭირე ემატება. ლოთები და ზარმაცები, ბარია თუ მთაა, ყველგან არიან. არ შრომობენ და ამიტომ უჭირთ. აქ დარჩენის მთავარი პირობა — დასაქმებაა.

ალბათ იცით, სკოლის პრობლემების შესახებ, მაგრამ მაინც გეტყვით: ახლახან შევხვდი ჩვენს გუბერნატორს. რამდენიმე საკლასო ოთახს გააკეთებენ. ამას ის თანხა გასწვდება, რაც პრეზიდენტის ფონდიდან გვაქვს დარჩენილი. ამჯერად სკოლისათვის 9 ოთახი დავიქირავეთ. ნიჭიერი ყმაწვილები გვყავს, მათ რომ სწავლისათვის კარგი პირობები ჰქონდეთ, ჩვენ ერთ-ერთი საინტერესო და ძლიერი სკოლა-ინტერნატი გვექნებოდა. ხალხის სია შევადგინე, თუ ვის რა ესაჭიროება. აქაურების გამოსაზამთრებლად განსაკუთრებით აუცილებელია ფქვილი, შაქარი, მარილი... ვცდილობ, შეღავათი გავუწიო და ვაჭრების ხელში არ ჩავარდნენ, უფრო იაფი დაუჯდეთ მათი შეძენა.

როცა დუშეთის რაიონიდან შემატყობინეს, რომ სოციალური დახმარების ფონდიდან შესაძლებელი იყო აქაური მოსახლეობის თანადგომა, ჩვენი საკრებულოს მოსახლეობის სია გადავეცი. იქიდან კი მხოლოდ ოცი ოჯახისთვის გამოიყო ყოველთვიური ფულადი დახმარება. მერე, ჯანდაცვის სამინისტროში ჩავედი და ამ საკითხთან დაკავშირებით ასე განმიმარტეს: ეს გახლავთ პრეზიდენტის ბრძანება, რომ ასეთი დახმარება მიეცეს მხოლოდ შატილის მოსახლეობას... ისიც ამიხსნეს, რომ შატილელებისთვის იმიტომ გამოყვეს ეს დახმარება, რომ სწორედ იმ პერიოდში დაიბომბა შატილი და მისი შემოგარენიო. რაიონის ხელმძღვანელობა ახლა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შატილის საკრებულოს მოსახლეობა მთლიანად დაკმაყოფილდეს ამგვარი დახმარებით, რაც მთაში დამაგრების ერთ-ერთი საშუალებაც გახდება.

შატილიდან სხვა სოფლებში ვერ გავდივარ, არ მაქვს მანქანის საშუალება, რომ იქაურ მოსახლეობასაც შევხვდე. ეს, რა თქმა უნდა, იქაურებში უკმაყოფილებას იწვევს. ზოგიერთებს ჰგონიათ, მარტო შატილისათვის ვზრუნავ.

ჩვენ ერთი მძიმე შემთხვევა გვქონდა. ცხენით მოჰყავდათ ფეხმძიმე ქალი და აქვე დაეწყო მშობიარობა. ეტყობა ცხენით ჯაყჯაყმა მოუშალა მუცელი, ძლივს გამოვტაცეთ სიკვდილს. დაგვეხმარა ბატონი არმაზ შამანაური, რომელმაც ვერტმფრენით მოაფრინა ექიმთა ბრიგადა და აქვე ჩაუტარეს პირველი დახმარება. შემდეგ კი მცხეთაში გადაიყვანეს და უფასოდ უმკურნალეს. ამის გამო ხალხი მადლიერი დარჩა, მანქანა რომ გვქონოდა, უსაფრთხოდ ჩამოვიყვანდით და ახალშობილიც გადარჩებოდა. არადა, რამდენად საჭიროა ჩვენთვის ყოველი ახალშობილის დაბადება.

ზამთრის განმავლობაში პირიქითა ხევსურეთისთვის ვერტმფრენით სარგებლობისათვის გამოყოფილია თანხა. მოსახლეობა ვერტმფრენის სიკეთეს მაინც მოკლებულია. ზაფხულშიც უტრანსპორტოდ ვართ. თუ ზამთარში შეიძლება ვერტმფრენზე ამ თანხის დახარჯვა, ზაფხულის სეზონზე რატომ არ შეიძლება მის ხარჯზე კვირაში ერთი რეისი მაინც დაინიშნოს და ამასთან ერთად, ერთი სამარშრუტო ორხიდიანი მაინც გადმოგვეცეს საკუთრებაში, რათა არც ბართან და არც მთაში არ მოვშალოთ კავშირი ერთმანეთთან მისასვლელად.

ია ჯაჭვაძე,
„სრ“. სპეც. კორ.
ბარისახო-შატილი-მუცო-არდოტი-თბილისი.

(დასასრული იქნება).

- გაავრცელეს სადამ ჰუსეინის ახალი მიმართვა
- სერბეთში ზედიზედ მეოთხედ ჩაიშალა პრეზიდენტის არჩევნები
- ბუში ერაყში მკაცრი ზომების მიღებას აპირებს

დამხობილმა დიქტატორმა ნაცად პროპაგანდას მიმართა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა „ძველი პროპაგანდა“ უწოდა ერაყის დამხობილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის ახალ მიმართვას, რომლის აუდიოჩანაწერი კვირას გადასცა ტელეკომპანია „ალ-არაბიამ“.

„ეს ძველი პროპაგანდისტული ხერხია, — განუცხადა თეთრი სახლის მეთაურმა ჟურნალისტებს ვაშინგტონში კემპ-დევიდის რეზიდენციიდან დაბრუნების შემდეგ. — ჩვენ არ წავალთ ერაყიდან, სანამ ბოლომდე არ მივიყვანთ დაწყებულ საქმეს“.

კვირას არაბულმა სატელევიზიო სადგურმა ეთერში გაუშვა აუდიოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი ხმა წააგავს სადამ ჰუსეინის ხმას. დამხობილი დიქტატორი მოუწოდებს ერაყის მოქალაქეებს გააააქტიურონ „საღვთო“ ომი ამერიკელთა ჯარების წინააღმდეგ. სადამ ჰუსეინი კოალიციის ძალებს ახალი ტერორისტული აქტებით დაემუქრა. მიმართვაში, რომელიც კვირა საღამოს გადასცა დუბაის „ალ-არაბიის“ ტელეარხმა, ჰუსეინი არ გამორიცხავს დაბრუნებას ხელისუფლების სათავეში.



აუდიოჩანაწერში დამხობილი დიქტატორი გამოთქვამს იმედს, რომ რამადანის თვე გახდება „ოკუპანტებზე გამარჯვების დასაწყისი“. ამერიკელები და მათი ბრიტანელი მოკავშირეები ვერ შეძლებენ ერაყის დამარცხებას. ჰუსეინმა ქვეყანა შეადარა იმ ქიმიურ შემადგენლობას, რომლის ფორმულაც იციან მხოლოდ ერაყის „ჭეშმარიტმა შვილებმა“.

ერთადერთი გამოსავალი ოკუპანტებისათვის, განაცხადა სადამ ჰუსეინმა, არის ის, რომ დატოვონ ერაყი. მან მოუწოდა ქვეყნის მოსახლეობას ჯიჰადისა და წინააღმდეგობისაკენ და აღნიშნა, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა „ალაჰისა და ისტორიის წინაშე“.

ამავე დროს, ყოფილმა დიქტატორმა თქვა, რომ „შეიძლება იმ შეცდომებისა და დიდი დანაშაულის გამოსწორება, რომელიც ჩაიდინეს აგრესორებმა. ეს უნდა მოხდეს პოლიტიკური გზით, რათა ერაყის ერთგული შვილები, რომლებიც მართავდნენ ქვეყანას და რომელთა ხელმძღვანელობითაც ერაყმა მიაღწია პროგრესს ყველა სფეროში, კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლების სათავეში“.

არჩევანი, მიაჩნია სადამ ჰუსეინს, ერაყელმა ხალხმა უნდა მოახდინოს, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს საოკუპაციო ჯარებისაგან თავისუფალ ერაყში. „ხალხმა იცის, თუ ვის უყვარს იგი და ვინ მოქმედებს მისი ინტერესებისთვის, ვინ არიან მისი ერთგული შვილები“, დასძინა ყოფილმა პრეზიდენტმა.

ფირზე აღბეჭდილი ხმა აგრეთვე აცხადებს, რომ ერაყში არ ყოფილა მასობრივი განადგურების იარაღი და ამის აღიარება მოუწევს ყველას, მათ შორის „ცილისმწამებლებს შავი სახლიდან (ასე მოიხსენია სადამ ჰუსეინმა თეთრი სახლი).“

როგორც ამტკიცებენ, აუდიოჩანაწერი გაკეთებულია დაახლოებით 10 ნოემბრისათვის.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აცხადებს, რომ ახლა აანალიზებენ აუდიოფირს, რათა დაადგინონ, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა მასზე აღბეჭდილი ხმა ერაყის დამხობილ დიქტატორს.

როგორც ჩანს, სერბებს უპრეზიდენტოდ სურთ ცხოვრება

ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სერბეთში უკვე ზედიზედ მეოთხედ ჩაიშალა პრეზიდენტის არჩევნები. როგორც თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის ცენტრი იტყობინება, კვირას, განმეორებით კენჭისყრაზე ამომრჩეველთა მხოლოდ 38 პროცენტი გამოცხადდა.

ადგილობრივი კანონმდებლობით, არჩევნები გამართულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ხმისუფლებისმქონე 6,5 მილიონი მოქალაქიდან 50 პროცენტზე მეტი.

როგორც მოელიან, სერბეთის საარჩევნო კომისია საბოლოო შედეგებს ოფიციალურად მხოლოდ ხუთშაბათისათვის გამოაცხადებს.

სამი კენჭისყრის შემდეგ, რომლებიც გაიმართა გასული წლის 29 სექტემბერს, 13 ოქტომბერსა და 8 დეკემბერს, სერბეთის პრეზიდენტის არჩევა ვერ მოხერხდა. ისევ და ისევ ამის მიზეზი იყო ამომრჩეველთა აქტიურობის დაბალი დონე.

გასული წლის დეკემბრიდან რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა სერბეთის სკუპშჩინის (პარლამენტი) თავმჯდომარე 38 წლის ნატაშა მიჩიჩი.

გასულ ხუთშაბათს ქალბატონმა მიჩიჩმა დაითხოვა რესპუბლიკის სკუპშჩინა და 28 დეკემბრისათვის დანიშნა პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. სკუპშჩინის დათხოვნამდე რამდენიმე კვირით ადრე კი, ოპოზიციური პარტიების ინიციატივით, სერბეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო განიხილავდა თვით მიჩიჩის გადადგომისა და ზორან ჟივკოვიჩის მთავრობისათვის ნდობის ვოტუმის გამოტანის საკითხს.

fvthbrtkt,b itwdkbfy thf.ib vjmvtlt,bc nfmnbrfc

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკელთა ჯარები ერაყში შეცვლიან ტაქტიკას და დაიწყებენ აქტიურ ბრძოლას პარტიზანული ძალების წინააღმდეგ.

როგორც ამერიკის პრეზიდენტმა თქვა, გასული კვირა საკმაოდ მძიმე იყო. იგი გულისხმობდა ორი ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად თითქმის 20 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვას. თუმცა, ბუშმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები მზად არის მიმართოს უფრო მკაცრ ზომებს, რათა საკადრისი პასუხი გასცეს ტერორისტებს.

ამერიკელთა ჯარებმა ერაყში დაიწყეს დიდმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია სადამ ჰუსეინის დამხობილი რეჟიმის მხარდამჭერი მოთარეშეების წინააღმდეგ.

პირველად მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის 1 მაისს გამოაცხადეს ერაყში აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შესახებ, მოთარეშეთა ბაზების მიმართულებით გაუშვეს დამიზნების თანამგზავრული სისტემით აღჭურვილი რაკეტა. სამიზნე მდებარეობდა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ ქირკუკის მახლობლად.

ეს ოპერაცია გახდა კოალიციის ჯარებზე მოთარეშეთა მიერ განხორციელებული თავდასხმების სერიის წინააღმდეგ გადადგმული საპასუხო ნაბიჯი. ამერიკელ სამხედროთა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამერიკელთა ჯარები მიმართავენ უფრო აგრესიულ ტაქტიკას. „მსურს ყველას ვუჩვენო, რომ შეგვწევს ძალა გავუწიოთ კოორდინაცია ჩვენს მოქმედებას დიდ ტერიტორიაზე“, — თქვა პოდპოლკოვნიკმა ბილ მაკდონალდმა.

როგორც მან აღნიშნა, 200-კილოგრამიანი ქობინით აღჭურვილი რაკეტა ჩამოვარდა ქალაქ ქირკუკიდან დასავლეთით, მდინარეში მდებარე კუნძულზე.

ამავე დროს, კვირა საღამოს ბაღდადში გაისმა რამდენიმე აფეთქების ხმა. ერაყის დედაქალაქში ამერიკელთა სარდლობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქმე ეხება „მოწინააღმდეგის მიერ ნაღმსატყორცნის ცეცხლის გახსნას“. დაღუპულთა და დაჭრილთა შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

მანამდე კი ერაყში ამერიკელთა ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ჩაებნენ „სერიოზულ ბრძოლაში“. ჩვენ გვყავს რამდენიმე შეურიგებელი ოპონენტი. განსაკუთრებით ეს ეხება საერთაშორისო ტერორისტებს, რომლებიც თავს იყრიან ერაყში ამ ბოლო ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში, აღნიშნა ბრემერმა ამერიკის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში. — მაგრამ, თუ შეხედავთ მოსახლეობაში განხორციელებული გამოკითხვის შედეგებს, ცხადი გახდება, რომ ერაყელთა უმრავლესობა მხარს უჭერს ამერიკელების დარჩენას ამ ქვეყანაში მანამდე, სანამ ერაყში არ დამყარდება მშვიდობა და სტაბილურობა“, — დასძინა ბრემერმა.

ვაშინგტონმა კი გამოაცხადა, რომ დაგეგმილი აქვს, რაც შეიძლება მალე გადასცეს ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას. თეთრი სახლის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ეს პროცესი მომავალი წლის ზაფხულისათვის უნდა დასრულდეს.

ერაყში დამოუკიდებელი კაბინეტი უნდა ჩამოყალიბდეს 2005 წლისათვის, ქვეყანაში არჩევნების გამართვის შემდეგ. მანამდე ბუშის ადმინისტრაციას იმედი ჰქონდა, რომ ერაყში გარდამავალი მთავრობის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე მოხერხდებოდა ქვეყნის კონსტიტუციის ახალი პროექტის მიღება. ამერიკელთა მიერ სტრატეგიის შეცვლა განაპირობა ერაყში სიტუაციის გართულებამ და ქვეყნის მმართველი საბჭოს მოქმედების გამო სულ უფრო მზარდმა უკმაყოფილებამ.

თუმცა, ამერიკელი სახელმწიფო მოხელეები უარყოფენ გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, თითქოს ამერიკელი სამხედროები დატოვებენ ერაყს მაშინვე, როგორც კი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ადგილობრივი წარმომადგენლები მოვლენ. „ამას არანაირი დამოკიდებულება არა აქვს ერაყში კოალიციის ჯარებთან“, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა. თავის მხრივ, პოლ ბრემერი აცხადებს, რომ ერაყის ახალი მთავრობა, ალბათ, მოისურვებს დატოვოს ქვეყანაში ამერიკელი ჯარისკაცები მანამ, სანამ ერაყში არ აღსდგება ნორმალური ცხოვრება.

სხვადასხვა

თურქეთის გაზეთ „რადიკალის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის სპეცსამსახური „მოსადი“ აპრილსა და სექტემბერში აფრთხილებდა თურქეთის მხარეს ამ ქვეყანაში ტერორისტული აქტების განხორციელების საშიშროების თაობაზე. „მოსადი“ კერძოდ, აღნიშნავდა, რომ არსებობდა „ნევე შალომის“ სინაგოგის, აგრეთვე ისრაელის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხე.

* * *

მძლავრი აფეთქებები გაისმა ერაყის ქალაქ ქირკუკში, „ქურთისტანის ისლამური მოძრაობის“ შტაბ-ბინის მახლობლად. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ტერორისტთა სამიზნე სწორედ ეს ორგანიზაცია იყო. აფეთქების შედეგად ერთი კაცი მძიმედ დაიჭრა. წინადღით კი ქირკუკში განხორციელდა ქალაქის გუბერნატორის მოადგილეზე ისმაილ ჰადიდზე თავდასხმის მცდელობა.

* * *

ჩინელი და ტაილანდელი სპეციალისტების მიერ ერთობლივად შემუშავებულმა შიდსის საწინააღმდეგო საშუალებამ გაიარა კლინიკური გამოცდა. ეს წამალი შეიმუშავეს ტრადიციული ჩინური მედიცინის მეთოდების საფუძველზე, და მის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ველური მცენარეები. ახალი პრეპარატი უკვე მიმდინარე წელს გაიყიდება.

* * *

ორშაბათს საკრამენტოში გაიმართა კალიფორნიის ახალი გუბერნატორის არნოლდ შვარცენეგერის ინაუგურაცია. ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მდიდარი შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფიცის დადების ცერემონია საკმაოდ მოკრძალებულია. იგი გადასახადების გადამხდელებს მხოლოდ 250 ათასი დოლარი დაუჯდებათ.

ბრიტანეთის პოლიცია სრულ მობილიზაციაშია მოყვანილი

ორშაბათს დიდ ბრიტანეთში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სახელმწიფო ვიზიტის დროს უშიშროების უზრუნველყოფისათვის გამიზნული უპრეცედენტო ოპერაცია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციის თანამშრომელთა დამატებითი რაზმები პატრულობენ ბრიტანეთის ნავსადგურებსა და აეროპორტებს, გარდა ამისა ხორციელდება მგზავრების შერჩევითი შემოწმება, რომლებიც „ევროსტარ“ ჩქაროსნული მატარებლით ნისლიან ალბიონში საფრანგეთიდან ჩამოდიან.

ოპერაციას ხელმძღვანელობს სკოტლენდ-იარდი, რომელსაც ლონდონის ქუჩებში გამოყვანილი ჰყავს ხუთი ათასზე მეტი ოფიცერი. ამავე დროს, ბრიტანეთის პოლიციის წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებას საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან „შევაჩეროთ ომი“ იმ ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციების სავარაუდო მარშრუტების შესახებ, რომელთა გამართვაც უახლოესი დღეებისათვის იგეგმება.

ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 20 ნოემბერს ლონდონში უნდა გაიმართოს საპროტესტო მარში ბუშის ვიზიტის გამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 60 ათასზე მეტი კაცი. სულ კი, ბრიტანეთში სამი სხვადასხვა ორგანიზაცია გეგმავს საპროტესტო აქციების გამართვას ბუშის ვიზიტის დროს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი აღნიშნავდა, რომ ასეთი მრავალრიცხოვანი საპროტესტო გამოსვლები არ არის სასურველი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტის დროს და მოითხოვდა, რომ ლონდონში დროებით აეკრძალათ ანტიამერიკული და ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციების გამართვა.

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ამერიკის პრეზიდენტის უშიშროებას უზრუნველყოფს 500 პირადი მცველი, რომელთაგან 200 ამერიკის საიდუმლო სამსახურის თანამშრომელია. ამერიკის მხარე დიდ ბრიტანეთში აპირებს ჩაიტანოს ორი ვერტმფრენი — საზღვაო ქვეითი ჯარის ვერტმფრენი „სი კინ გი“ და „ბლეკ ჰოკის“ ტიპის საბრძოლო ვეტრმფრენი. გათვალისწინებულია აგრეთვე 15 სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლის ჩაყვანა, რომლებიც დაგეშილები არიან ასაფეთქებელი ნივთიერებების მოსაძებნად.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 311. სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2003 წელი.

მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი. ტექნიკური მომსახურების სპეციალისტების საკონკურსო შერჩევის შესახებ

მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს ტექნიკური მომსახურების შემდეგ სპეციალისტებზე

რძისა და ხორცის ტექნოლოგიის სპეციალისტი

კონტრაქტის მიზანი

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოების, ხარისხის, მარკეტინგის განვითარების სტრატეგიული მიმართულების კვლევა პროგრამის რეგიონებში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური, შუახევი), რათა დაადგინოს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები, მეთოდოლოგიები და საჭირო რჩევები.

სპეციფიკური ტექნიკური დავალება

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის საქმიანობები მოიცავს:

ა. რძისა და ხორცის პროდუქტების ხარისხობრივი ვარგისიანობის დადგენას პროგრამის რაიონებში.

ბ. ადგილებზე დღეს არსებული ფერმერების საქმიანობების აღწერას, რომ გაუმჯობესდეს წარმოებული პროდუქციის ხარისხი, როგორც პირველადი ისე სათანადო გადამუშავების მიზნებისათვის.

გ. გამოკვლევა პროდუქციის შესაძლო მარკეტინგისათვის შესაძლო ფორმებით (ახალი რძე, რძის ნაწარმი, ყველი, ხორცი, ლორი და ა.შ), ადგილზე წარმოებული პროდუქციის საბაზრო შესაძლებელი რაოდენობის დადგენა.

დ. ადგილებზე მცირე მერძევეობა-მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მოწყობილობა-დანადგარების შესაძლო ამუშავების შეფასება და პერსპექტივა, გადასამუშავებელი ხაზების სპეციფიკაციის განსაზღვრა, წარმოებული პროდუქციის მასშტაბისათვის.

კონკრეტული საქმიანობების წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ასპინძის, დუშეთის, შუახევის და ამბროლაურის რაიონებისათვის.

სპეციალისტი კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს პროგრამის იმ რაიონებისათვის, სადაც რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება-გადამუშავება რენტაბელური იქნება, დეტალურ ანგარიშს და კონკრეტულ წინადადებებს ქვემოთ ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით:

1. რძისა და ხორცის პროდუქტების გადამუშავების სტრატეგიული მიმართულების განვითარება პროგრამის თითოეული რაიონისთვის.
2. ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე პროექტის დიზაინის მომზადება. უნდა მოიცავდეს პროექტის ამოცანას, დანიშნულებას და სპეციფიკურ მიზნებს; პროექტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს; პროექტის ლოგიკური სტრუქტურის მატრიცას; შეთანხმებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებას; პროექტის განხორციელების გეგმას; მოსალოდნელ შედეგებს; შეფასების ინდიკატორებს; შესყიდვისა და დაფინანსების დეტალურ გეგმას; სასწავლო პროცესს; მცირე ფერმერული ოჯახების თანამონაწილეობის შემადგენლობებს.

კვალიფიკაცია და გამოცდილება

მოწვეული სპეციალისტისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ტექნიკური წინადადების მოწოდებისათვის:

1. არანაკლებ 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება რძისა და ხორცის გადამუშავების ტექნოლოგიაში;
2. სასურველია სოფლად მცირე ფერმერულ ოჯახებთან და ფერმერულ მეურნეობებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. სამოქმედო გარემოში ადგილობრივი კონტექსტის სადემონსტრაციო ცოდნა;
4. სათანადო გამოცდილება ზემოთ აღნიშნული წინადადებების შედგენაში.

საკონტრაქტო ვადა: 4-6 კვირა.

მებოსტნეობის სპეციალისტი

კონტრაქტის მიზანი

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს ბოსტნეულის წარმოების, ხარისხის, მარკეტინგის განვითარების სტრატეგიული მიმართულების კვლევა პროგრამის რეგიონებში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური, შუახევი), რათა დაადგინოს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები, მეთოდოლოგიები და საჭირო რჩევები.

სპეციფიკური ტექნიკური დავალება

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის საქმიანობები მოიცავს:

ა. პროგრამის რეგიონებში წარმოებული ბოსტნეულის და ბოსტნეულის გადამუშავების ნაირსახეობისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა.

ბ. ადგილებზე დღეს არსებული ფერმერების საქმიანობების აღწერას, რომ გაუმჯობესდეს წარმოებული პროდუქციის ხარისხი როგორც პირველადი, ისე სათანადო გადამუშავების მიზნებისათვის.

გ. გამოკვლევა პროდუქციის შესაძლო მარკეტინგისათვის შესაძლო ფორმებით (ახალი ბოსტნეული, კონსერვი, მჟავეული) ადგილზე წარმოებული პროდუქციის საბაზრო შესაძლებელი რაოდენობის დადგენა.

დ. ადგილებზე ბოსტნეულის და ბოსტნეულის გადამუშავების, და შესაფუთი მოწყობილობა-დანადგარების შესაძლო ამუშავების შეფასება და პერსპექტივა, აღნიშნული დანადგარების სპეციფიკაციის განსაზღვრა, წარმოებული პროდუქციის მასშტაბისათვის.

კონკრეტული საქმიანობების წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე დუშეთის, ასპინძის, შუახევის და ამბროლაურის რაიონებისათვის.

სპეციალისტი კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს პროგრამის იმ რაიონებისათვის, სადაც ბოსტნეულის წარმოება-გადამუშავება რენტაბელური იქნება, დეტალურ ანგარიშს ქვემოთ ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით:

1. ბოსტნეულის წარმოების სტრატეგიული მიმართულების განვითარება პროგრამის თითოეული რაიონისთვის.
2. ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე პროექტის დიზაინის მომზადება. უნდა მოიცავდეს პროექტის ამოცანას, დანიშნულებას და სპეციფიკურ მიზნებს; პროექტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს; პროექტის ლოგიკური სტრუქტურის მატრიცას; შეთანხმებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებას; პროექტის განხორციელების გეგმას; მოსალოდნელ შედეგებს; შეფასების ინდიკატორებს; შესყიდვისა და დაფინანსების დეტალურ გეგმას; სასწავლო პროცესს; მცირე ფერმერული ოჯახების თანამონაწილეობის შემადგენლობებს.

კვალიფიკაცია და გამოცდილება

მოწვეული სპეციალისტისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ტექნიკური წინადადების მოწოდებისათვის:

1. არანაკლებ 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება მებოსტნეობის დარგში.
2. სასურველია სოფლად მცირე ფერმერულ ოჯახებთან და ფერმერულ მეურნეობებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. სამოქმედო გარემოში ადგილობრივი კონტექსტი სადემონსტრაციო ცოდნა;
4. სათანადო გამოცდილება ზემოთ აღნიშნული წინადადებების შედგენაში.

საკონტრაქტო ვადა: 4-6 კვირა.

ვეტერინარიის, ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტი

კონტრაქტის მიზანი

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობაში ხელოვნური განაყოფიერების განვითარების სტრატეგიული მიმართულების კვლევა პროგრამის რეგიონებში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური, შუახევი), რათა დაადგინოს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები, მეთოდოლოგიები და საჭირო რჩევები.

სპეციფიკური ტექნიკური დავალება

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის საქმიანობები მოიცავს:

ა. პროგრამის რეგიონებში დაადგინოს საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაში დაინტერესებული ფერმერები.

ბ. პროგრამის ყველა რეგიონში შეარჩიოს და მოამზადოს ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტი.

გ. ფერმერული სისტემების სპეციალისტთან ერთად გადაწყვიტოს ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო მასალების, ნივთიერებების და ინსტრუმენტების მოპოვების, შენახვის და ტრანსპორტირების საკითხები.

დ. პროგრამის რეგიონებში გამოიკვლიოს საქონლის ეპიდემიოლოგიური და გენეტიკური ვითარება.

ე. დაარწმუნოს ფერმერები ხელოვნური განაყოფიერების ფასიანი მომსახურების ეფექტურობაში და განაყოფიერების პროცესებთან დაკავშირებული წერილობითი დოკუმენტაციის წარმოების აუცილებლობაში.

კონკრეტული საქმიანობების წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე დუშეთის, ასპინძის, შუახევის და ამბროლაურის რაიონებისათვის.

სპეციალისტი კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს პროგრამის იმ რაიონებისათვის, სადაც ხელოვნური განაყოფიერება რენტაბელური იქნება, დეტალურ ანგარიშს ქვემოთ ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით:

1. ხელოვნური განაყოფიერების სტრატეგიული მიმართულების განვითარება პროგრამის თითოეული რაიონისთვის.
2. ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე პროექტის დიზაინის მომზადება. უნდა მოიცავდეს პროექტის ამოცანას, დანიშნულებას და სპეციფიკურ მიზნებს; პროექტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს; პროექტის ლოგიკური სტრუქტურის მატრიცას; შეთანხმებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებას; პროექტის განხორციელების გეგმას; მოსალოდნელ შედეგებს; შეფასების ინდიკატორებს; შესყიდვისა და დაფინანსების დეტალურ გეგმას; სასწავლო პროცესს; მცირე ფერმერული ოჯახების თანამონაწილეობის შემადგენლობებს.

კვალიფიკაცია და გამოცდილება

მოწვეული სპეციალისტისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ტექნიკური წინადადების მოწოდებისათვის:

1. არანაკლებ 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება ვეტერინარიის დარგში.
2. სასურველია სოფლად მცირე ფერმერულ ოჯახებთან და ფერმერულ მეურნეობებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. სამოქმედო გარემოში ადგილობრივი კონტექსტის სადემონსტრაციო ცოდნა;
4. სათანადო გამოცდილება ზემოთ აღნიშნული წინადადებების შედგენაში.

საკონტრაქტო ვადა: 4-6 კვირა.

მევენახეობის სპეციალისტი

კონტრაქტის მიზანი

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს ყურძნის წარმოების, ხარისხის, მარკეტინგის განვითარების სტრატეგიული მიმართულების კვლევა პროგრამის რეგიონებში (ამბროლაური, შუახევი), რათა დაადგინოს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები, მეთოდოლოგიები და საჭირო რჩევები.

სპეციფიკური ტექნიკური დავალება

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის საქმიანობები მოიცავს:

ა. პროგრამის რეგიონებში წარმოებული ყურძნის და ყურძნის გადამუშავების ნაირსახეობისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა.

ბ. ადგილებზე დღეს არსებული მევენახე ფერმერების საქმიანობების აღწერას, რომ გაუმჯობესდეს წარმოებული პროდუქციის ხარისხი როგორც პირველადი, ისე სათანადო გადამუშავების მიზნებისათვის.

გ. გამოკვლევა პროდუქციის შესაძლო მარკეტინგისათვის შესაძლო ფორმებით (ყურძენი, წვენი, ღვინო) ადგილზე წარმოებული პროდუქციის საბაზრო შესაძლებელი რაოდენობის დადგენა.

დ. ადგილებზე ყურძნის გადამუშავების, წვენისა და ღვინის ჩამოსასხმელი და შესაფუთი მოწყობილობა-დანადგარების შესაძლო ამუშავების შეფასება და პერსპექტივა, აღნიშნული დანადგარების სპეციფიკაციის განსაზღვრა, წარმოებული პროდუქციის მასშტაბისათვის.

კონკრეტული საქმიანობების წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე შუახევის და ამბროლაურის რაიონებისათვის.

სპეციალისტი კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს პროგრამის იმ რაიონებისათვის სადაც ყურძნის წარმოება-გადამუშავება რენტაბელური იქნება, დეტალურ ანგარიშს და კონკრეტულ წინადადებებს ქვემოთ ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით:

1. ადგილობრივი ჯიშის ყურძნის წარმოების სტრატეგიული მიმართულების განვითარება პროგრამის თითოეული რაიონისთვის.
2. ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე პროექტის დიზაინის მომზადება. უნდა მოიცავდეს პროექტის ამოცანას, დანიშნულებას და სპეციფიკურ მიზნებს; პროექტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს; პროექტის ლოგიკური სტრუქტურის მატრიცას; შეთანხმებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებას; პროექტის განხორციელების გეგმას; მოსალოდნელ შედეგებს; შეფასების ინდიკატორებს; შესყიდვისა და დაფინანსების დეტალურ გეგმას; სასწავლო პროცესს; მცირე ფერმერული ოჯახების თანამონაწილეობის შემადგენლობებს.

კვალიფიკაცია და გამოცდილება

მოწვეული სპეციალისტისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ტექნიკური წინადადების მოწოდებისათვის:

1. არანაკლებ 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება მევენახეობის დარგში.
2. სასურველია სოფლად მცირე ფერმერულ ოჯახებთან და ფერმერულ მეურნეობებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. სამოქმედო გარემოში ადგილობრივი კონტექსტის სადემონსტრაციო ცოდნა;
4. სათანადო გამოცდილება ზემოთ აღნიშნული წინადადებების შედგენაში.

საკონტრაქტო ვადა: 4-6 კვირა.

მეხილეობის სპეციალისტი

კონტრაქტის მიზანი

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს ხილის წარმოების, ხარისხის, მარკეტინგის განვითარების სტრატეგიული მიმართულების კვლევა პროგრამის რეგიონებში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური, შუახევი), რათა დაადგინოს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები, მეთოდოლოგიები და საჭირო რჩევები.

სპეციფიკური ტექნიკური დავალება

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის საქმიანობები მოიცავს:

ა. პროგრამის რეგიონებში წარმოებული ხილის და ხილის გადამუშავების ნაირსახეობისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა.

ბ. ადგილებზე დღეს არსებული ფერმერების საქმიანობების აღწერას, რომ გაუმჯობესდეს წარმოებული პროდუქციის ხარისხი, როგორც პირველადი ისე სათანადო გადამუშავების მიზნებისათვის.

გ. გამოკვლევა პროდუქციის შესაძლო მარკეტინგისათვის შესაძლო ფორმებით (ახალი ხილი, ჩირი, კონსერვი, წვენი, მურაბა, ჯემი, კონცენტრატი). ადგილზე წარმოებული პროდუქციის საბაზრო შესაძლებელი რაოდენობის დადგენა.

დ. ადგილებზე ხილის და ხილის გადამუშავების, და შესაფუთი მოწყობილობა-დანადგარების შესაძლო ამუშავების შეფასება და პერსპექტივა, აღნიშნული დანადგარების სპეციფიკაციის განსაზღვრა, წარმოებული პროდუქციის მასშტაბისათვის.

კონკრეტული საქმიანობების წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე დუშეთის, ასპინძის, შუახევის და ამბროლაურის რაიონებისათვის.

სპეციალისტი კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს პროგრამის იმ რაიონებისათვის სადაც ხილის წარმოება-გადამუშავება რენტაბელური იქნება, დეტალურ ანგარიშს ქვემოთ ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით:

1. ხილის წარმოების სტრატეგიული მიმართულების განვითარება პროგრამის თითოეული რაიონისთვის.
2. ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე პროექტის დიზაინის მომზადება. უნდა მოიცავდეს პროექტის ამოცანას, დანიშნულებას და სპეციფიკურ მიზნებს; პროექტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს; პროექტის ლოგიკური სტრუქტურის მატრიცას; შეთანხმებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებას; პროექტის განხორციელების გეგმას; მოსალოდნელ შედეგებს; შეფასების ინდიკატორებს; შესყიდვისა და დაფინანსების დეტალურ გეგმას; სასწავლო პროცესს; მცირე ფერმერული ოჯახების თანამონაწილეობის შემადგენლობებს.

კვალიფიკაცია და გამოცდილება

მოწვეული სპეციალისტისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ტექნიკური წინადადების მოწოდებისათვის:

1. არანაკლებ 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება მეხილეობის დარგში.
2. სასურველია სოფლად მცირე ფერმერულ ოჯახებთან და ფერმერულ მეურნეობებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. სამოქმედო გარემოში ადგილობრივი კონტექსტის სადემონსტრაციო ცოდნა;
4. სათანადო გამოცდილება ზემოთ აღნიშნული წინადადებების შედგენაში.

საკონტრაქტო ვადა: 4-6 კვირა.

მეფუტკრეობის სპეციალისტი

კონტრაქტის მიზანი

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს თაფლის წარმოების, ხარისხის, მარკეტინგის განვითარების სტრატეგიული მიმართულების კვლევა პროგრამის რეგიონებში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური, შუახევი), რათა დაადგინოს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები, მეთოდოლოგიები და საჭირო რჩევები.

სპეციფიკური ტექნიკური დავალება

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის საქმიანობები მოიცავს:

ა. ქართული დედა ფუტკრის გამრავლების, მისი მოვლა-შენახვისა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.

ბ. პროგრამის რეგიონებში წარმოებული თაფლის ნაირსახეობისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა.

გ. ადგილებზე დღეს არსებული მეფუტკრე ფერმერების საქმიანობების აღწერას, რომ გაუმჯობესდეს წარმოებული პროდუქციის ხარისხი, როგორც პირველადი ისე სათანადო გადამუშავების მიზნებისათვის.

დ. გამოკვლევა პროდუქციის შესაძლო მარკეტინგისათვის შეფუთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ადგილზე წარმოებული პროდუქციის საბაზრო შესაძლებელი რაოდენობის დადგენა.

ე. ადგილებზე მცირე შესაფუთი მოწყობილობა-დანადგარების შესაძლო ამუშავების შეფასება და პერსპექტივა, შესაფუთი ხაზების სპეციფიკაციის განსაზღვრა, წარმოებული პროდუქციის მასშტაბისათვის.

კონკრეტული საქმიანობების წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ასპინძის, დუშეთის, შუახევის და ამბროლაურის რაიონებისათვის.

სპეციალისტი კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს პროგრამის იმ რაიონებისათვის სადაც თაფლის წარმოება-გადამუშავება რენტაბელური იქნება, დეტალურ ანგარიშს და კონკრეტულ წინადადებებს ქვემოთ ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით:

1. თაფლის წარმოების სტრატეგიული მიმართულების განვითარება პროგრამის თითოეული რაიონისთვის.
2. ქართული დედა ფუტკრის გამრავლება-დივერსიფიკაციის გამოკვლევა.
3. ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე პროექტის დიზაინის მომზადება. უნდა მოიცავდეს პროექტის ამოცანას, დანიშნულებას და სპეციფიკურ მიზნებს; პროექტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს; პროექტის ლოგიკური სტრუქტურის მატრიცას; შეთანხმებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებას; პროექტის განხორციელების გეგმას; მოსალოდნელ შედეგებს; შეფასების ინდიკატორებს; შესყიდვისა და დაფინანსების დეტალურ გეგმას; სასწავლო პროცესს; მცირე ფერმერული ოჯახების თანამონაწილეობის შემადგენლობებს.

კვალიფიკაცია და გამოცდილება

მოწვეული სპეციალისტისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ტექნიკური წინადადების მოწოდებისათვის:

1. არანაკლებ 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება მეფუტკრეობის დარგში.
2. სასურველია სოფლად მცირე ფერმერულ ოჯახებთან და ფერმერულ მეურნეობებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. სამოქმედო გარემოში ადგილობრივი კონტექსტის სადემონსტრაციო ცოდნა;
4. სათანადო გამოცდილება ზემოთ აღნიშნული წინადადებების შედგენაში.

საკონტრაქტო ვადა: 4-6 კვირა.

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ტექნიკური სპეციალისტი

კონტრაქტის მიზანი

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის სფეროს განვითარების სტრატეგიული მიმართულების კვლევა პროგრამის რეგიონებში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური, შუახევი), რათა დაადგინოს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები, მეთოდოლოგიები და საჭირო რჩევები.

სპეციფიკური ტექნიკური დავალება

ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის საქმიანობები მოიცავს:

ა. სამედიცინო მომსახურების არსებული ობიექტების შესწავლა პროგრამის რეგიონებში (1000 მეტრი და მაღლა).

ბ. რეგიონებში იმ სოფლების დადგენა, სადაც გარემონტებული და ახალი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი ამბულატორიების განთავსება ეფექტიანი იქნება ადგილობრივი და მეზობელი მოსახლეობისათვის.

გ. რეგიონებისათვის დამახასიათებელი დაავადებების შესწავლა

დ. რეგიონებში არსებული ეპიდემიოლოგიური და გენეტიკური პათოლოგიების შესწავლა.

ე. არსებული სამედიცინო სტატისტიკის ინდიკატორების დადგენა პროგრამის რეგიონებში (შობადობა, სიკვდილიანობა და ა. შ.).

ვ. სანიტარიული ვითარების შესწავლა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება.

ზ. რეგიონებში აუცილებელი სამედიცინო აპარატურის და პრეპარატების დადგენა.

თ. რეგიონებში საოჯახო ექიმის ინსტიტუტის შემოღების პერსპექტივების დადგენა.

ი. ადგილობრივი მედპერსონალისათვის კვალიფიკაციის ამაღლების და სწავლების პროგრამის შემუშავება.

კონკრეტული საქმიანობების წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე დუშეთის, ასპინძის, შუახევის და ამბროლაურის რაიონებისათვის.

სპეციალისტი კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს პროგრამის რაიონებისათვის დეტალურ ანგარიშს ქვემოთ ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით:

1. სამედიცინო მომსახურების სტრატეგიული მიმართულების განვითარება პროგრამის თითოეული რაიონისთვის.
2. ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე პროექტის დიზაინის მომზადება. უნდა მოიცავდეს პროექტის ამოცანას, დანიშნულებას და სპეციფიკურ მიზნებს; პროექტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს; პროექტის ლოგიკური სტრუქტურის მატრიცას; შეთანხმებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებას; პროექტის განხორციელების გეგმას; მოსალოდნელ შედეგებს; შეფასების ინდიკატორებს; შესყიდვისა და დაფინანსების დეტალურ გეგმას; სასწავლო პროცესს; მცირე ფერმერული ოჯახების თანამონაწილეობის შემადგენლობებს.

კვალიფიკაცია და გამოცდილება

მოწვეული სპეციალისტისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ტექნიკური წინადადების მოწოდებისათვის:

1. არანაკლებ 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება ჯანდაცვის დარგში.
2. სასურველია სოფლად მცირე ფერმერულ ოჯახებთან და ფერმერულ მეურნეობებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
3. სამოქმედო გარემოში ადგილობრივი კონტექსტის სადემონსტრაციო ცოდნა;
4. სათანადო გამოცდილება ზემოთ აღნიშნული წინადადებების შედგენაში.

საკონტრაქტო ვადა: 4-6 კვირა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ ავტობიოგრაფია ქართულ და ინგლისურ (CV) ენებზე, განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი, სერტიფიკატების ასლები.

საბუთების მიღება და კონსულტაციები იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა. წ. 25 ნოემბრის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას ქ. 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა, ოთახი 501, ბატონ ნოე ხოზრევანიძესთან, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრის დირექტორთან.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დასაქმება

სურვილი იყოს, თორემ სამუშაო არის

სამუშაო ადგილების ვაკანსიები 18 ნოემბრისთვის

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	400	[illegible]
6	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
7	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
8	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
9	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
10	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
11	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
12	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
13	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
14	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
15	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
16	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
17	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას გასცემენ დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებზე. რეგისტრაციისთვის მოქალაქემ რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა (პასპორტი); ბ) შრომის წიგნაკი; გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები განთავსებულია:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება – დავით აღმაშენებლის 140-ა, გამგეობის შენობა, I სართ. ტ. 94-24-98.

ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება – მოსკოვის გამზირი 25. ტ. 71-15-40.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება – გ. გულუას I. გამგეობის შენობა, IV სართ. ტ. 72-01-30.

ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება – კოსტავას 68-ა, გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 33-23-97.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება – სარაჯიშვილის 1. გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 62-59-92.

საგვარეულო

ყველაზე ძველი...

ყძველესი გვარის შეკრება

ბესელია ძველი ქართული, დასავლური (კოლხური) გვარია. ა. სილაგაძის და ა. თოდაძის წიგნში „გვარ-სახელები საქართველოში" ბესელია საქართველოში გავრცელებულ 1000 გვარს შორის რაოდენობრივად 885-ე ადგილზეა, რაც შეადგენს დაახლოებით 1180 კაცს. ბესელიები უმეტესად ცხოვრობენ სენაკში, თბილისში, ზუგდიდში, სოხუმში, ბათუმში, ნოქალაქევში.

არის აზრი, რომ გვარი ბესელია ძველ კოლხეთში მაკედონიიდან შემოსულა. მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ამ გვარის წარმოშობა დაკავშირებულია ადამიანის სახელთან – ბესარიონი, ბესო, ბესელა.

ახლახან „გვარების შეკრების და გვართა ისტორიების წარმოჩინების საქველმოქმედო კავშირის" ხელშეწყობით გაიმართა ბესელიების საგვარეულოს პირველი შეკრება. გვარის წარმომავლობაზე მოკლედ ისაუბრა საქველმოქმედო კავშირის თავმჯდომარემ, ისტორიკოსმა მარინე წერეთელმა. გვარი აკურთხა ბოლნისის ტაძრის მოძღვარმა მამა იოანემ (ჩიგოგიძე). დაისახა საგვარეულოს შეკრების სამომავლო გეგმები. შეკრების დასასრულ საგვარეულოს თავმჯდომარემ ვაჟა ბესელიამ აღნიშნა, რომ ქართულ გვართა ასეთი შეკრებები ხელს შეუწყობს საქართველოს გამთლიანებას და მის სახელმწიფოებრივ ძლიერებას.

თამარ კაციტაძე.

სურათზე: ბესელიების საგვარეულოს შეკრებაზე.

განცხადება

საააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკი" 2003 წლის 20 დეკემბერს 13 საათზე იწვევს თავის აქციონერებს აქციონერთა მორიგი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის № 127-ში სს „ინტელექტბანკის" სათაო ოფისის იურიდიულ მისამართზე. კრების სააღრიცხვო თარიღად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილია 2003 წლის 13 ნოემბერი.

საერთო კრების დღის წესრიგია:

1. სს „ინტელექტბანკის" წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა;
3. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა;
4. სს „ინტელექტბანკის" გარე აუდიტის არჩევა;
5. სს „ინტელექტბანკის" რეესტრის მწარმოებლის არჩევა;
6. სხვადასხვა.

მორიგი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის აქციონერები (ჩვეულებრივი აქციების მფლობელები), რომლებიც რეგისტრირებული არიან აქციათა შეესტრში 2003 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, საერთო კრებაზე წარმოადგენენ აქციათა რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციათა რეესტრიდან ამონაწერს და პირადობის მოწმობას.

აქციონერებს, მორიგი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლების შემოწმება, კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში, შეუძლიათ სს „ინტელექტბანკის" აქციათა რეგისტრატორთან კახაბერ კახიანთან მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 127. ტელ: 94-18-14.

აქციონერებს, მორიგი საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით დაწერილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სს „ინტელექტბანკის" სათაო ოფისში (ტელ: 94-18-14), ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნას დასმული დირექტორატის წინაშე კრების მოწვევის თარიღამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო.

განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ, საქართველოსათვის უსასყიდლოდ გადმოცემული 50000 ტონა სასურსათო ხორბლის მიღება-რეალიზაციის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „აგროსისტემები", რომელთანაც მ. წ. 8 ოქტომბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა შპს „აღმშენებლის" განცხადება აუქციონის გამართვის თაობაზე. პირველივე აბზაცში მიწის ღირებულება ნაცვლად მითითებული 15588,48 ლარისა უნდა იყოს – 228,48 ლარი.

სს „თბილისის 28-ე პოლიკლინიკის" აქციონერთა საყურადღებოდ

2003 წლის 9 დეკემბერს, 16 საათზე, თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.: №37 დ-ში გაიმართება სს „თბილისის 28-ე პოლიკლინიკის" აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების სახელწოდების და ადგილსამყოფელის შეცვლა;
2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა;
3. აუდიტის არჩევა.

დირექციის და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები: დღის წესრიგის ყველა საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

დირექცია და სამეთვალყურეო საბჭო.

წყალხტომა

ნეისენის თასზე მოპოვებული შედეგები

საქართველოს ახალგაზრდა წყალმხტომელები (მწვრთნელები – ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები) ბოლო წლებში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე. გასულ უქმეებზე მათ კიოლნში (გერმანია) გამართულ ტურნირზე ისახელეს თავი. ნეისენის თასის გათამაშების ტრადიციულ შეჯიბრებაში ამჯერად 12 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ, მათ შორის – საქართველოს წარგზავნილებიც. გუნდი ძირითადად წყალჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტმა, „ლაგუნა ვერეს" დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა დააფინანსა. რამდენიმე სპორტსმენს მატერიალური დახმარება თბილისის ოლიმპიური რეზერვის სპორტული კომპლექსის დირექტორმა გიორგი უდესიანმა გაუწია.

როგორც ირაკლი ბართაიამ გერმანიიდან გვაცნობა, ათწლიანებში ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა მოიგო თეონა ყაჭეიშვილმა, რომელიც საერთაშორისო ტურნირში პირველად მონაწილეობდა. ამავე სახეობაში თორმეტწლიანთა შორის მესამე იყო ჯესიკა მელიქოვა. თოთხმეტწლიანი გოგონები გუნდური ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ. საქართველოს ნაკრებმა (სალომე ჯუღელი, სოფიკო ხუციშვილი და ნინო ყვავაძე) ყველა მეტოქეს სძლია და მთავარ პრიზთან ერთად ოქროს მედლებიც დაიმსახურა.

თექვსმეტწლიანებში ჩვენმა ვაჟთა გუნდმა ჭოლა ჭანტურიას, შოთა კორახაშვილისა და გიორგი გევორქიანის შემადგენლობით, ასევე „ოქრო" მოიპოვა. საგულისხმოა, რომ კორახაშვილი ჯერ მხოლოდ 12 წლისაა და ოთხი წლით უფროს მეტოქეებსაც ტოლი არ დაუდო.

ასპარეზობის ბოლო დღეს გაიმართა ორთაბრძოლები სინქრონულ ხტომებში და აქაც გვასახელეს გოგონებმა: სალომე ჯუღელმა და ნინო ყვავაძემ სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედლები მოიპოვეს, ხოლო ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი მე-4 ადგილზე გავიდნენ.

ვაჟა დანელია.

კადრი

ფეხბურთის სიყვარული ბოლომდე გაჰყვა...

დიდებულ მსახიობს, ცნობილ სპორტულ კომენტატორს კოტე მახარაძეს ფეხბურთის სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ის ეთაყვანებოდა არა მარტო დიდ ფეხბურთს, ამ სახალხო თამაშის კაშკაშა ვარსკვლავებს, არამედ ნორჩებსაც, ვინც ასევე ფეხბურთის ჯადოს ჰყავს აყვანილი და თამაშობს ყველგან – მოუკირწყლავ ქუჩებსა თუ ხელოვნურსაფარიან მოედნებზე, მწვანე მინდორზე თუ გაყინულ დარბაზებში...

ამიტომაც დააარსა ბატონმა კოტემ ნორჩების ტურნირი, რომლის გამართვა მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგაც გრძელდება.

ამჯერადაც, თბილისის „ქარიშხალას" სპორტული კომპლექსისა და არმიის სასპორტო კლუბის დარბაზებში, ასევე მუშტაიდის ბაღში მდებარე „იმედის" მოედანზე 48 სხვადასხვა ასაკის ნორჩი ფეხბურთელების გუნდი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს კოტე მახარაძის თასს, დიდმა სპორტულმა კომენტატორმა და საყვარელმა მსახიობმა რომ დააწესა.

ამ ფოტოზე ხედავთ, როგორი სიამაყით და სიყვარულით გადასცემდა კოტე მახარაძე თავის ჯილდოს ერთ-ერთი ანალოგიური ტურნირის პრიზიორებს თბილისის სპორტის სასახლეში...

გუშინ დამთავრებული ასპარეზობის გამარჯვებულებს კი მთავარი პრიზები, სამწუხაროდ, უკვე ტურნირის დამაარსებლის გარეშე გადასცეს...

(ამ ტურნირის საბოლოო ტექნიკურ შედეგებს გაცნობებთ).

ანდრო ბარძაია.
რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ფეხბურთი

მეკარის ბედი

ფეხბურთელთა XV ეროვნული ჩემპიონატის I ეტაპის ფინიშამდე ოთხი ტურია დარჩენილი, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსს კი ერთბაშად 10 გუნდი ინარჩუნებს (რასაკვირველია, მეტ-ნაკლებს). ერთ-ერთი მათგანია „თბილისი", რომელიც ახალგაზრდა მწვრთნელის გიორგი დევდარიანის თავკაცობით შეუპოვრად იბრძვის თითოეული ქულისათვის. გამონაკლისს არც გუშინდელი მატჩი წარმოადგენდა.

ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონთან და წლევანდელი გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან დედაქალაქის „დინამოსთან" თამაში უმაღლესი ლიგის ამბიციურმა დებიუტანტმა დავითაშვილის, სიდამონიძისა და მიკუჩაძის გარეშე დაიწყო (მოგვიანებით მინდორზე მხოლოდ პირველი გამოჩნდა), მაგრამ საწყის ნახევარ საათში პირწმინდად დაჯაბნა მრისხანე მეტოქე და აუცილებლად უნდა დაწინაურებულიყო, მაგრამ ჭელიძემ, ლოლაძემ და ოდიკაძემ იმდენი მოახერხეს, რომ უაღრესად ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს – პირველ ეპიზოდში ტექნიკურმა წუნმა იჩინა თავი, დანარჩენებში კი გვარამაძემ იყოჩაღა. ასეთ „იაღლიშებს", მოგეხსენებათ, ხშირად სასჯელი ახლავს თან. ასე მოხდა ამჯერადაც – მინდვრის კიდიდან ბურდულის ჩაწოდებულ საჯარიმოს ავლაბრელთა მეკარის ივარდავას (იგი მანამდეც რამდენჯერმე შეცდა) ბავშვური ლაფსუსი და ანგარიშის გახსნა მოჰყვა – 1:0. კიდევ უფრო კურიოზული გოლი გავიდა ზედ შესვენების წინ, როცა გოგობერიშვილმა ლამის კუთხურის ხაზიდან ჩასვა ბურთი მოწინააღმდეგის კარის „ცხრიანში".

ასეთ ფსიქოლოგიურ დარტყმას მანუჩარ ივარდავამ ვეღარ გაუძლო და თვითონვე მოითხოვა შეცვლა, მაგრამ თუნდაც ქულის გადასარჩენად მის პარტნიორებს აღარც დრო ეყოთ და, რაც მთავარია, აღარც ოსტატობა – მე-60 წუთზე გოგობერიშვილმა ალექსიძის ზუსტი გადაცემით უკვე ნაჭყებია დაამწუხრა და „დუბლიც" გაიფორმა – 3:0.

დანარჩენი შედეგები: „კოლხეთი" – „ლოკომოტივი" 2:1, „ტორპედო" – „მერცხალი" 2:0.

სადღეისოდ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: „დინამო" – 40, „სიონი" – 37, „ვიტ ჯორჯია" – 32 (17 თამაშიდან), „დილა" – 30, „ტორპედო", „თბილისი", „ლოკომოტივი" – 25-25, „ბათუმი" – 23 (17 თამაშიდან), „მცხეთა" – 20, „კოლხეთი" – 18, „სპარტაკი" – 13, „მერცხალი" – 10 ქულა.

XIX ტურში ითამაშებენ: „დილა" – „სპარტაკი", „მცხეთა" – „ბათუმი", „თბილისი" – „ტორპედო", „მერცხალი" – „კოლხეთი" (21 ნოემბერს), „სიონი" – „დინამო", „ლოკომოტივი" – „ვიტ ჯორჯია" (22 ნოემბერს).

გია პლატონიშვილი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ცურვა

დიდუბელი ნორჩები ცისფერ ბილიკებზე



ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის კომპლექსის (დირექტორი გიორგი უდესიანი) 25-მეტრიან დახურულ აუზში სხვადასხვა ასაკის 200-ზე მეტი სპორტსმენი ეუფლება ცურვის საიდუმლოებას. ახლახან აქ გაიმართა დია პირველობა, რომელშიც დიდუბის რაიონის ნორჩი მოცურავეები გამოდიოდნენ.

1995 წელს დაბადებულ გოგონათა შორის ანა ლომინაძემ ორი პირველი ადგილი დაიკავა. 1991 წელს დაბადებულთა შორის თავი გამოიჩინა თათია ჭიკაძემ. პირველ დღეს მან გაიმარჯვა 25 მეტრზე ბრასით, ხოლო მეორე დღეს 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში. 1994 წელს დაბადებულებში ყველას აჯობა გიორგი გურგენიძემ 25 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში, მომდევნო დღეს კი მეორე იყო ამავე დისტანციაზე, ოღონდ – ბრასით. მას მცირედით ზურიკო ხაბაზმა აჯობა. 1996 წელს დაბადებულთაგან თავისუფალი ყაიდით ცურვაში გაიმარჯვა გიორგი ჯარაშნელმა. ზურგით ცურვა ანა კაპანაძემ მოიგო.

ასპარეზობის მეორე დღეს სხვადასხვა ყაიდით შეჯიბრებები მოიგეს ხატია თოთიაურმა, მარი ავსაჯანიშვილმა, ირაკლი ჩიქოვანმა, გიორგი მოდებაძემ, გიორგი ორახველიშვილმა, ნოდარ გვრიტიშვილმა, ზურაბ ხაბაზმა, გიორგი ღარიბაშვილმა, ნიკა იაშვილმა. 7 წლის დათო მძინარიშვილს ტოლი არ ჰყავდა 25 მეტრზე თავისუფალი ყაიდით შეჯიბრებაში.

გვჯერა, რომ ნიჭიერი ნორჩი სპორტსმენები რამდენიმე წელიწადში ოსტატობას აიმაღლებენ და საქართველოს რეკორდსაც დაამყარებენ.

შალვა ჩიხლაძე.

სურათებზე: გიორგი გურგენიძე; ღია პირველობის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ერთი ჯგუფი.
რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ყოველი მხრიდან

ირაკლი ლაბაძემ გაგვახარა

არა ქართული ტელევიზიით, არამედ უკრაინული პირდაპირი ტელერეპორტაჟით ვიხილეთ ქართველი ჩოგბურთელის ირაკლი ლაბაძის ტრიუმფი დნეპროპეტროვსკში დამთავრებულ „ჩელენჯერის" საჩოგბურთო ტურნირზე Privat Bank Cup-2003.

მეოთხედფინალში ირაკლიმ დაამარცხა ხორვატელი კარლოვიჩი. პირველი სეტი ჩვენებურმა დამაჯერებლად მოიგო – 6:2, მეორე სეტში კი, როცა ანგარიში იყო 2:1, მეტოქემ თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

ნახევარფინალში რუმინელ პაველთან ქართველმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი შედარებით იოლად მოიგო – 6:3, ძალზე დაძაბული გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარი – 7:6 (7:5).

ფინალში ირაკლი ლაბაძის მეტოქე აღმოჩნდა ისრაელის წარმომადგენელი ლევი, რომელმაც რუსეთელი სტოლიაროვისა და დანიელი კარლსონის დამარცხებით გაიკვლია გზა აქეთკენ.

ვინც ფინალურ მატჩს უყურებდა, დამეთანხმება, რომ დნეპროპეტროვსკის კორტებზე მოსული გულშემატკივრების უმრავლესობა სწორედ ირაკლის უჭერდა მხარს.

პირველი სეტი ლაბაძემ „ჩვეული" ანგარიშით – 6:3 მოიგო, მაგრამ მეორე სეტში ლევიმ მოახერხა უპირატესობის მოპოვება და იმავე ანგარიშით 6:3 გაიმარჯვა, რამაც, როგორც ჩანს, გააბრაზა ირაკლი და მესამე სეტში თითქმის აღარაფერი დაუტოვა მოწინააღმდეგეს – 5:0-ს იგებდა, მხოლოდ აქ მისცა ლევის მშრალი ანგარიშისათვის თავის დაღწევის საშუალება, შეხვედრის საბოლოო შედეგია – 6:1.

მაყურებელმა მქუხარე ტაშით გააცილა ქართველი ჩოგბურთელი იმ იმედით, რომ მომავალ წელს იგი კვლავ ეწვევა დნეპროპეტროვსკს და კვლავ გაახარებს თავის გულშემატკივრებს.

კასპაროვი ანგარიშს ათანაბრებს

კვირას ნიუ-იორკში, მანჰეტენის სპორტული კლუბის დარბაზში მიმდინარე ადამიანისა და კომპიუტერის ორთაბრძოლის მესამე ტურში მსოფლიოს პირველმა მოჭადრაკემ შური იძია მეორე ტურში X3D Fritz**-თან დამარცხებისათვის და მესამე პარტიის 45-ე სვლაზე აიძულა მეტოქე-მანქანა, დანებებულიყო.**

ამჯერად დიდოსტატმა გამოიყენა ძალზე იშვიათი ვარიანტი, რომელიც სულ უკანასკნელად 55 წლის წინათ თუ შეხვედრიათ მოჭადრაკეებს, ერთბაშად მოიგო დებიუტი და დიდი უპირატესობა მოიპოვა, რაც გამარჯვებამდე მიიყვანა.

შეგახსენებთ, რომ პირველ პარტიაში თეთრებით მოთამაშე კასპაროვმა ვერ გამოიყენა უპირატესობა და ყაიმს დასჯერდა, მეორე პარტიაში კი, მართალია, ცაიტნოტში ინიციატივა მოიპოვა, მაგრამ ბოლოს უხეშად შეცდა და დამარცხდა. ამჯერად, მატჩის ანგარიში გათანაბრდა 1,5:1,5.

მორიგი, მეოთხე პარტია დღეს გაიმართება. გამარჯვების შემთხვევაში კასპაროვი 200 ათას დოლარს მიიღებს. ყაიმის შემთხვევაში კი – 175 ათასს.

როცა სეზონი თითქმის დასრულდა

„ეს გამარჯვება ძალზე ბევრს ნიშნავს ჩემთვის, ძალზე ძნელ ჯგუფში მოვხვდი და ყოველი მატჩში დაძაბული ბრძოლა იყო. თუმცა თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ შემიძლია თითოეული მეტოქის – ექსტრაკლასის ჩოგბურთელის დამარცხება", – განაცხადა პროფესიონალ ჩოგბურთელთა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატის Master Cup **ფინალში გამარჯვების შემდეგ შვეიცარიელმა როჯე ფედერერმა. მან ხომ პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე ანდრე აგასი დაამარცხა – 6:3, 6:0, 6:4.**

თავად აგასიმაც, დიდი მუზარადის სერიების 8-გზის გამარჯვებულმა, შეაქო თავისი ოპონენტი და თამაში მოუწონა. აღსანიშნავია, რომ ფედერერმა სეზონის ამ დასკვნით ტურნირში ერთმანეთზე მიყოლებით ბრძოლიდან გამოთიშა ენდი როდიკი, ხუან კარლოს ფერერო, დავიდ ნალბანდიანი, დაბოლოს, ანდრე აგასი.

22 ნოემბერიც გათენდება!

სწორედ ამ დღეს მწვანე კონტინენტზე მორაგბეთა მსოფლიო თასის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ავსტრალიის და ინგლისის ნაკრებები. ხოლო ორი დღით ადრე, 20 ნოემბერს მესამე ადგილის მფლობელის გასარკვევად იბრძოლებენ ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის გუნდები.

სხვათა შორის, ნახევარფინალში მონაწილენი უჩვეულოდ დაწყვილდნენ – ერთში თუ ოკეანიის წარმომადგენლები – ახალი ზელანდია-ავსტრალია იბრძოდნენ ფინალში მოსახვედრად, მეორე სრულიად ევროპული გამოდგა – საფრანგეთი-ინგლისი.

პირველ მატჩში ავსტრალიელებმა – მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონებმა – ძალზე მძიმე ბრძოლა გადაიტანეს მეზობლებთან – 22:10.

მეორეში კი – ინგლისელებმა დამაჯერებლად დაჯაბნეს ფრანგები – 24:7. უნდა აღინიშნოს, რომ 24-ვე ქულა გუნდს მისმა მთავარმა ვარსკვლავმა ჯონი უილკინსონმა მოუტანა.

ცინცხალი ამბები

მსოფლიოში ცნობილი კოლუმბიელი ავტომრბოლელი, ამჟამად „უილიამსის" გუნდის წევრი ხუან-პაბლო მონტოია 2005 წლიდან „მაკლარენის" ღირსებას დაიცავს.

ამ შეთანხმებით უაღრესად კმაყოფილია „მაკლარენის" საჯინიბოს მეფე რონ დენისი, რომელმაც თავის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ საკონტრაქტო ვალდებულება რომ არა, მონტოიას, დღესვე მიიღებდა თავის გუნდში.

ინგლისის „ჩელსის" მფლობელი, რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი სათხილამურო სპორტითაც დაინტერესდა.

მას სურს, რომ 150 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეისყიდოს საფრანგეთის ალპებში მდებარე ზამთრის კურორტი კურშეველ 1850, რომელიც ზღვის დონიდან 1850 მეტრზე მდებარეობს, სადაც ტრადიციულად სამეფო ოჯახები ისვენებენ, მათ შორის ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის ოჯახიც.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



შუხუთის ქართველ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი ტაშკენტში. პირველ რიგში მარცხნიდან: ლევან იაშაღაშვილი, გივი ოდიშარია, გრიგოლ თარაშვილი, ანატოლი ნადირაშვილი, ნოდარ ადამაშვილი. მეორე რიგში: რამაზ მამალაძე, თარიმან გომარაძე, გურამ ადამაშვილი. 1964 წლის 18 ნოემბერი.

მოგვაწოდა ზურამ ოდიშარიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ღიმილის დოზა

კაცი მეზობლის ჭიშკარს მიადგა და დააბრახუნა. არავინ ხმა არ გასცა. ისევ დააბრახუნა. ჭიშკარს ეზოს მხრიდან ძაღლი მიუახლოვდა, ეუბნება კაცს:

— რა ჩამოილე ჭიშკარი, ხომ ხედავ, რომ შინ არ არიან.

კაცი გულწასული დაეცა.

გონს რომ მოეგო, თვალები გაახილა და ხედავს, რომ ის ძაღლი თავზე ადგას.

— ძაღლო, შენ რა, ყეფა არ იცი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ შენი შეშინება არ მინდოდა.

* * *

ორი თავი კარგია, მაგრამ უსაფრთხო ატომი მაინც უკეთესია.

* * *

— უკაცრავად, რა გვარი ხართ?

— ვერ გავიგე...

— ეს კაცი შტერია.

— საიდან გაიგეთ ჩემი გვარი?

* * *

ორი მეგობარი კამათობს, ვისი ცოლი უფრო ყურადღებიანია თავისი ქმრის მიმართ.

— ჩემი ცოლი, — ამბობს ერთი, — ისეთი ყურადღებიანია, ისე თბილად მეპყრობა, რომ უკეთესს ვერც წარმოიდგენ. შინ დავბრუნდები თუ არა, გამხდის პალტოს, მომაწვდის ფაჩუჩებს და ხელთათმანებს.

— ხელთათმანებს? — გაიკვირვებს მეორე.

— დიახ, რეზინის ხელთათმანებს, ჭურჭლის გასარეცხად.

* * *

— ცოლს ხშირად ეკამათებით?

— ჩვენ საერთოდ არ ვკამათობთ.

— ?!

— პირდაპირ ჩხუბზე გადავდივართ.

* * *

განცხადება: „გამოცდილი დეპუტატი, რომელსაც კომპლექსები არ აწუხებს, განახორციელებს ფულიანი ბატონების ნებისმიერ ფანტაზიას: ჯგუფურად ხმის მიცემა, მრისხანე ორალური გამოსვლები, სპიკერის მასაჟი, საჭირო კანონპროექტების მიღება გარანტირებულია“.

ნუგზარ გაბრიჩიძე თანაუგრძნობს რამაზ ლიპარტიას დედის
ლამარა ლიპარტიას
გარდაცვალების გამო.

პალიკო კინტრაია ოჯახით, ნინო და ნიკოლოზ კინტრაიები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ დათო ბერძენიშვილს დედის ქალბატონ
ნინო ბერძენიშვილის
გარდაცვალების გამო.

დავით წერეთელი ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ ვიტალი ხაზარაძეს დედის ქალბატონ
შუშანა (შურას)
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური სამძიმარს უცხადებს ბატონ მამუკა ჩხაიძეს მამის
აკაკი ჩხაიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი
ვალერიან ვარლამის ძე ბახტაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მანა გურელიანი, შვილები მარსელი, ლელა, ლია, მერაბ გაზდელიანები, სიძეები გიორგი მაისურაძე, მიხეილ გოგაშვილი, რძალი ნაგაშა გაზდელიანი, შვილიშვილები სოფიო, რუსუდან, მანანა გოგაშვილები, გიორგი, გიგა, ნინო, საბა გაზდელიანები, თამარ, მარიამ, ქეთევან, გიორგი მაისურაძეები, და ფათით გაზდელიანი, დისწულები და ძმისწულები თენგიზ, გულიკო, მანანა, ლამარა, ზვიად, ჟინვერი, გულნაზი, თამაზ, ამირან გაზდელიანები, ასმათ, რუსუდან ხაბულიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
სამსონ (სალიბე) სასოს ძე გაზდელიანი
პანაშვიდი 18, 19 XI, თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ. გოლთეთი, 20 XI, ქ. თბილისი, საბურთ. სასაფლაო, ამაღლების ეკლესიაში 11 სთ. გამოსვენება 20 XI, 2 სთ. ეკლესიიდან.

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს!

მონათხრობი ნეტარისა და ცოტად უცნაურის მწერლისა

ახალი რომანით — „გიორგი ბრწყინვალეთი“ შეეგება თავის ოთხმოცდამეორე გიორგობისთვეს თანამედროვე ქართული პროზის ცოცხალი კლასიკოსი, „გამხმარი, გაძვალებული, სიკვდილისაგან ვერმკვდარი“, ათასჭირვარამგამოვლილი, მაგრამ, მაინც იმედიანი...

„გიორგი ბრწყინვალე“ უზადოდ გამოუცია „ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობას“, წიგნს ახლავს შესანიშნავი ილუსტრაციები გოგი წერეთლისა და თემო ჯაფარიძისა, ხოლო რედაქტორია ვაჟა გიგაშვილი. ავტორი მადლობას უხდის ბატონებს — პანტიკო თორდიასა და კობა ნარჩემაშვილს წიგნის გამოცემაში გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

წიგნის რედაქტორი, ბატონი ვაჟა გიგაშვილი ბოლოთქმაში წერს:

„ამ ერთი წლის წინათ ოთხმოცდაერთი წლის ჭაბუასთვის ფრიად მძიმე ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ...



ექიმები სანუგეშოს მაინცდამაინც ვერაფერს ეუბნებოდნენ ახლობლებს. იმედი ძალიან მცირე იყო, მაგრამ თავად ჭაბუა სავსე იყო იმედითა და რწმენით, თუმც კარგად იცოდა, რაც ელოდა (ექიმებისაგან დაუფარავად ჰქონდა ახსნილი არსებული მდგომარეობა)...

ოპერაციის დღეს დილიდანვე ავედი ჭაბუასთან. ყოჩაღად, როგორღაც არხეინადაც კი, გამოიყურებოდა. ჯერ იყო და, ერთი გემოზე გააბოლა მკაცრად აკრძალული სიგარეტი. იქვე მდგარ ქალბატონ თამარს არც სიტყვით, არც სახის მოძრაობით პროტესტი არ გაუმჟღავნებია... მერე რაღაცეებზე, სხვა რამეებზე წავისაუბრეთ... ერთი-ორი სიტყვა გაზეთზე, ერთი-ორი სიტყვა მომავალ ტელესერიალზე... მერე სანიტრებმა გორგოლაჭებიანი საკაცე შემოაგორეს პალატაში და ჭაბუა ისე წამოფრინდა საწოლიდან, თითქოს რინგზე აპირებდა გასვლას, და თვითონ დაწვა საკაცეზე... სანიტრებს ჰაერში დარჩათ ოთხმოცდაერთი წლის პაციენტისთვის შესაშველებლად გაწვდილი ხელები... თვითონ არავის დამშვიდობებია... არც იქ მყოფთაგან ვინმეს დაგვცდენია გამამხნევებელი მორიგე ფრაზები... ალბათ, ქალბატონი თამარი გულში ილოცებოდა... მდუმარე ღიმილით გავაცილეთ... წაიყვანეს... არავინ იცოდა, უკან მოიყვანდნენ თუ არა ცოცხალს... მე კი მომეწონა და გამიხარდა ეს ბიჭური, ყოყლოჩინა, გამომწვევი ჟესტი... კარგი იყო!.. კარგი იყო თავისთავად, ორივე ვარიანტში, როგორც გინდა დამთავრებულიყო ოპერაცია...

გადარჩა... გამოკეთდა და ერთი წლის შემდეგ აი, ეს წიგნი დაასრულა...

... და, დაასრულა ჩინებულად, რომანი დიდი ინტერესით იკითხება, მას წითელ ზოლად გასდევს ერის მარადიული ყოფის იდეა, რომელიც თაობებში უნდა გადავიდეს და, რომელიც არამც და არამც არ უნდა ჩაკვდეს.

რომანის დასასრულს დიდი მეფის შინაგანი ხმა მწერლის პირით ამბობს: „ნეტარი და ცოტად უცნაური მეფე ვიყავ ნეტარისა და ცოტად უცნაურის, გარნა ზეცით უხვად ნიჭდასხმული ერისა და გეტყვი იმასაც, რომ ნაუბარი ჩემგან უნდა დაიწეროს ნეტარისა და ცოტად უცნაურის მწერლისა მიერ, რათა ნამდვილობა არ მოაკლდეს ცხოვრებისა აღწერას ჩემსას.

ხოლო მრწამს უაღრესად, რომ მომავალი აღმოაცენებს წიაღიდან ერისა ქართველთა კაცს, რომელი სძლევს დროთა ვითარებას, სიმუხთლესა ჟამთა და აღასრულებს ოცნებას ყოველთა ქართველთა და ღონის ძიებითა თვისითა შეუვალ ქმნის საქართველოს მტერთა და მოძულეთაგან, რამეთუ მაღალი ღმერთი არს მსურველი ამისა. ამინ!

თქვენს მრწამსს და ნატვრას ჯვარი ეწეროს, ბატონო ჭაბუა, გმადლობთ იმ სიამოვნებისთვის, რაც მე თქვენი ახალი რომანის კითხვისას მივიღე, ქართულ სიტყვასთან ჭიდილში კიდევ ერთ გამარჯვებას გილოცავთ, დაბადების დღეს გილოცავთ!

ვილენ მარდალეიშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქციო კოლეგია თანაუგრძნობს ვიტალი ხაზარაძეს დედის
შუშანა ჩიქაშუა-ხაზარაძის
გარდაცვალების გამო.

ნუგზარ გაბრიჩიძე ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ ვიტალი ხაზარაძეს დედის
შუშანა ჩიქაშუა-ხაზარაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნოდარ ხადური სამძიმარს უცხადებს ბატონ ვიტალი ხაზარაძეს დედის ქალბატონ
შუშანა (შურა) ჩიქაშუა-ხაზარაძის
გარდაცვალების გამო.

სულიკო ბექანიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვიტალი ხაზარაძის დედის
შუშანა ალექსანდრეს ასულ ჩიქაშუა-ხაზარაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„საქართველოს ბანკი“ სამძიმარს უცხადებს ვიტალი ხაზარაძეს
დედის
გარდაცვალების გამო.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ხსოვნა

გიორგი მირაშვილი

არიან ამ ქვეყნად ადამიანები, რომელთა ღვაწლი უკიდეგანო და განუსაზღვრელია. მათი ცხოვრება კი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომ გარდაცვალების შემდეგ ნათელი კვალი დატოვოს. ასეთი ადამიანები სიცოცხლეშივე იმზადებენ უფალთან მისასვლელ გზას და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე სიკეთედ იფანტებიან, ბოლომდე იხარჯებიან საკუთარ საქმეში და სიყვარულად იღვრებიან. ასეთი ადამიანები არ კვდებიან.

სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა კაცი, რომლის მთელი ცხოვრება სიკეთის ერთი დიდი გაკვეთილი იყო, რომელიც ცდილობდა პატარა ადამიანების გულში მოყვასისადმი სიყვარულის ნაპერწკალი გაეღვივებინა, კაცი, რომელსაც მასწავლებელი ერქვა.

გიორგი სტეფანეს ძე მირაშვილი დაიბადა 1928 წელს. 1950 წელს დაამთავრა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1963 წლიდან მუშაობდა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს ს. დოდაშვილის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორად. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა პარტიულ სამუშაოზე. სადაც კი ბატონ გოგის უმუშავია, ყველგან სითბო და სიყვარული დატოვა. ის იყო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი და ღირსებით ეკიდებოდა თავის საქმეს.

თაობებს ახსოვთ გოგი მასწავლებლის კეთილშობილება, მისი უკიდეგანო სიკეთე. მისგან ისწავლეს ახალგაზრდებმა სამშობლოს სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა, მისგან ისწავლეს ჭეშმარიტი მამულიშვილობა და კეთილშობილების ფასი.

გოგი მირაშვილი ის კაცი იყო, ვინც საკუთარი ოჯახის მამადაც ვარგოდა და სოფლის ახალგაზრდობის აღმზრდელადაც. ის მთელი სკოლა იყო ახალბედა მასწავლებლებისათვის. მისი ღვაწლი განუზომელია.

წავიდა ჩვენგან სიცოცხლეზე, საკუთარი ქვეყნის ახალგაზრდობაზე, სამშობლოზე შეყვარებული კაცი. კაცი, რომელიც სიკეთედ გაიფანტა და ამოუვსები სიცარიელე დატოვა აღზრდილებსა და კოლეგების გულში.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო გოგი მასწავლებელო! მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მაღაროს მიწა!

სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს ს. დოდაშვილის სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

გახსენება

ოთარ ჩიკვილაძე

დინჯი, კეთილი, შრომისმოყვარე, თავისი საქმის მცოდნე, ადამიანებთან ურთიერთობაში გულწრფელი და, საერთოდ, მაღალი მორალური თვისებებით გამორჩეული — ასეთი იყო ბატონი ოთარ ჩიკვილაძე, ასეთი დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში.

ამ კაცის განელილი, არცთუ ხანგრძლივი ცხოვრებით, შეუძლიათ იამაყონ მისი ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა.

მსუბუქი იყოს მისთვის ჩვენი ქალაქის მიწა.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომლები.

შვილი ნუგზარი, რძალი მარინე, შვილიშვილები ია, თამთა მასხულიები, დისწულები ჯემალ, ლევან ორაგველიძეები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრა (შურა) გრიგოლის ასული ყიფიანი-მასხულია
პანაშვიდი 18, 19 XI, 4 სთ. დაკრძალვა 20 XI, 2 სთ. გარე კახეთის 6, ბინა 13 (მეტრო „ისანთან“).

ბიძაშვილები გიზო, ივეტა ყიფიანები ოჯახებით იუწყებიან
შურა გრიგოლის ასულ ყიფიანი-მასხულიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თამარ, შვილები ლაურა, ლერი, რძალი დიზი, შვილიშვილი გიორგი მირაშვილები, შვილიშვილები ოთარი, გიორგი, რძალი ხატია ქერელაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გიორგი სტეფანეს ძე მირაშვილი
პანაშვიდი 18, 19 XI, დაკრძალვა 20 XI, 2 სთ. სიღნაღის რაიონი, სოფ. მაღარო.

სოსო ჯღარკავა ოჯახით სამძიმარს უცხადებს ლერი მირაშვილს
მამის
გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ლერი მირაშვილს
მამის
გარდაცვალების გამო.

სპარტაკ ჯანიაშვილი, მერაბ ტარყაშვილი, ელდარ ლვინიაშვილი, ვანო ბაიდოშვილი, გენადი უსენაშვილი სამძიმარს უცხადებენ ლერი მირაშვილს მამის
გიორგი მირაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ აპარატის თანამშრომლები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ბატონ ვიტალი ხაზარაძეს
დედის
გარდაცვალების გამო.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ბატონ ვიტალი ხაზარაძეს დედის
შუშანა ჩიქაშუა-ხაზარაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ ვიტალი ხაზარაძეს გარდაეცვალა დედა
შუშანა ჩიქაშუა-ხაზარაძე.
მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე, პარტიის თითოეული წევრი სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

დემურ, აპოლონ, იოსებ გადელიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვიტალი ხაზარაძის დედა
შუშანა ჩიქაშუა-ხაზარაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სპი-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 374-ე ჯგუფის 1964 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი თანაჯგუფელი
ხუტა გოგია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ედუარდ (ხუტა) გოგია

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოებისა და მაღაროს აეროლოგიის კათედრის დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ედუარდ (ხუტა) კალისტრატეს ძე გოგია.

იგი დაიბადა 1937 წელს ქ. თბილისში. 1959 წელს დაამთავრა რკინიგზის № 7 საშუალო სკოლა. 1964 წელს — სპი-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი მარგი წიაღისეულის საბადოთა დამუშავების სპეციალობით. 1973 წელს ქ. დონეცკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მიწისქვეშა ნაგებობების და შახტების მშენებლობა“. 1969 წლიდან სპი-ს მეცნიერ-თანამშრომელია, ხოლო 1990 წლიდან დღემდე — სტუ-ს დოცენტი.

ხუტა გოგია 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. 1970 წლიდან 1990 წლამდე იყო 20 სამეცნიერო თემისა და თემის ეტაპის პასუხისმგებელი შემსრულებელი და ხელმძღვანელი. იგი ერთგულად ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, ცოდნა და გამოცდილება მეცნიერებას და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეალია. პრინციპული, სიმართლისა და სიკეთის მოყვარული, მაღალი პროფესიონალიზმითა და საგნის ღრმა ცოდნით გამორჩეული მუდამ იდგა სტუ-ს მოწინავე პედაგოგთა შორის. დიდი წარმატებით მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, მუდამ ახლის ძიებაში იყო.

ძნელია წარსულ დროში საუბარი ბატონ ხუტაზე, განსაკუთრებით მისი მეუღლისათვის, ქალბატონი დოდოსათვის, მისი ცხოვრების უერთგულესი მეგზურისათვის, რომელთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი.

იძინე მშვიდად ამაგდარო ადამიანო, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი; შრომის უსაფრთხოების და მაღაროს აეროლოგიის კათედრა.

აკაკი ჩხაიძე



გარდაიცვალა ფოთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მხატვარი აკაკი ანდროს ძე ჩხაიძე. ა. ჩხაიძე დაიბადა 1919 წელს. 1936-1940 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე ს. კაკაბაძის, ი. ნიკოლაძის, ა. მუზუევის ხელმძღვანელობით.

აკაკი ჩხაიძე წლების მანძილზე მუშაობდა ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში მხატვარ-ბუტაფორისად, ფოთის, ოზურგეთის, ცაგერის, ტყიბულის, ზუგდიდის მუზეუმებში მხატვარ-გამფორმებლად, ფოთის ხელოვნებისა და სამხატვრო სასწავლებელში — პედაგოგად, 1998 წლიდან კი — დირექტორად.

1946 წლიდან აკაკი ჩხაიძე მხატვართა კავშირის წევრია. მისი ნამუშევრები დაცულია ფოთის, სოხუმის, ბათუმის, ოზურგეთის, ცაგერის, ტყიბულის, ზუგდიდის, ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. ის დაჯილდოებულია ორდენებით, მედლებით.

აკაკი ჩხაიძის უფროსი ვაჟი, ნაადრევად გარდაცვლილი ანზორ ჩხაიძე, ცნობილი მხატვარი იყო, უმცროსი — მამუკა კი, ასევე, ცნობილი არქიტექტორია.

აკაკი ჩხაიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მეგობრები.

ერმონია ხახუტაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიის ღვაწლმოსილი მუშაკი, ობსერვატორიის მთავარი მაგნიტოლოგი ერმონია ხახუტაშვილი.

ქალბატონი ერმონია 1938 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა დუშეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ობსერვატორიაში წარმოებდა უწყვეტი დაკვირვებები დედამიწის მაგნიტურ ველზე.

ე. ხახუტაშვილი სისტემატურად მონაწილეობდა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მის მიერ მოპოვებული დაკვირვებათა მასალები საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პერიოდში, რომელიც დღემდე აქტიურად გამოიყენება მკვლევარების მიერ.

საქმისადმი დიდმა სიყვარულმა, მაღალმა პროფესიონალიზმმა და გამორჩეულმა პირადულმა თვისებებმა, ქალბატონ ერმონიას დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული მოუპოვა ინსტიტუტის კოლექტივში.

ქალბატონ ერმონია ხახუტაშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი; დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია.

ნელი და ზაურ ფხალაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ თენგიზ ქავთარაძეს ძმის
თემურ მიხეილის ძე ქავთარაძის
გარდაცვალების გამო.

ნუგზარ გაბრიჩიძე ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ თენგიზ ქავთარაძეს ძმის
თემურ ქავთარაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნუგზარ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს თენგიზ ქავთარაძეს ძმის
თემურ ქავთარაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

სიმონ მაჭავარიანი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თენგიზ ქავთარაძის ძმის
თემურ ქავთარაძის
გარდაცვალების გამო.

გივი ინწკირველი და ვალიკო ბილანიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ თენგიზ ქავთარაძეს ძმის
თემურის
გარდაცვალების გამო.

ჯემალ ჯიქურაული ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ თენგიზ ქავთარაძეს ძმის
თემურ ქავთარაძის
გარდაცვალების გამო.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „არესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, ზურაბ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, გ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.